

ყოველთვიური ჟურნალი მენარმეებისა და ფინანსისტიკისათვის

№ 3(303) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

ა	უდიტი
ა	ლრიცხვა
ფ	ინანსები
i	ინფო კონსულტანტი

ვლუს

დამოუკიდებელი გამოცემა


იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – ფრიდონ ალშიბაია:
 მსს ფასს 2015-ის კომენტარები:
 მე-16 განყოფილება „საინვესტიციო ქონება“

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: მარტი-2025

3

ფრიდონ ალშიბაია

მსს ფასს 2015-ის კომენტარები: მე-16 განყოფილება „საინვესტიციო ქონება“

9

მაკა ხარაზიშვილი

2024 წელს საბანკო სექტორმა 3 მილიარდ ლარზე მეტი მოგება მიიღო

16

თემურ იობაშვილი

რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოზე ტარიფების ომმა

19

თემურ იობაშვილი

ინფლაციამ ზრდა დაიწყო და მიზნობრივ მაჩვენებელს გადააჭარბა

23

მაკა ხარაზიშვილი

„რძის სკანდალი“ საქართველოში

26

კითხვა-პასუხი

32

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

42

ფრიდონ კერვალიშვილი

ჩინეთი არ აპირებს სავაჭრო ომში ტრამპს რამე დაუთმოს

44

უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), მაკა ხარაზიშვილი.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: info@aaf.ge

ვებგვერდი: www.aaf.ge

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

**„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და
„ბიზნესი და მენეჯმენტის“**

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

**12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.**

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

**დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.**

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.04.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

საბადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიასლექსი: მარტი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ მარტის თვეში რამდენიმე ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში.

– ფინანსთა მინისტრის მიერ 18.03.2025-ში მიღებული №66 ბრძანებით დაკორექტირდა დანართი №III-01 („დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ“ განცხადება) კერძოდ, განცხადების ფორმას დაემატა გრაფა, რომელიც ივსება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში.

დანართი №III-01

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

სსკ-ის 165-ე, 57-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, დამარეგისტრიროთ დღგ-ის გადამხდელად

შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „V“ ნიშნით	
საკვალდებულო წესით	ნებაყოფლობით

შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „V“ ნიშნით	
საკვალდებულო წესით რეგისტრაციის გარემოება	
დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცი(ებ)ის ჯამური თანხა აღემატება 100 000 ლარს;	
აქციზური საქონლის მწარმოებელი პირის მიერ აქციზური საქონლის მიწოდება;	
რეორგანიზაციის შედეგად	
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პარტნიორისგან/წევრისგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღება;	
ფიქსირებული დაწესებულების მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდება;	
გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე	

გაცნობებთ, რომ წარმოვადგენ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გარდაცვლილი ფიზიკური პირის უფლებამონაცვლეს

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

გარდაცვალების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

*ივსება სავალდებულო წესით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში

<p>დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)</p>	<p>-----/-----/-----</p>	
<p>დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, განცხადებით მომართვის თვეში რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა იმ გათავისუფლებული ოპერაციებისა, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით) თანხა</p>	<p>----- ლარი</p>	
<p>დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, სავალდებულოდ რეგისტრაციის თარიღიდან განცხადებით მომართვის თვის საანგარიშო პერიოდამდე რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა იმ გათავისუფლებული ოპერაციებისა, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით) თანხა</p>	<p>საანგარიშო პერიოდი/პერიოდები</p>	<p>----- ლარი</p>

შენიშვნა: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდზე დღგ-ის დეკლარაციების წარდგენის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება მხოლოდ სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

განმცხადებლის ხელმოწერა -----
(თარიღი)

გრაფაში აისახება ინფორმაცია დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, სავალდებულოდ რეგისტრაციის თარიღიდან განცხადებით მომართვის თვის საანგარიშო პერიოდამდე რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა იმ გათავისუფლებული ოპერაციებისა, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით) თანხის და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

- 25.03.2025-ის №77 ბრძანებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ინსტრუქციის №I-15 და №I-15¹ დანართები, რომელიც ეხება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნას და მის შევსების წესს.

დაინტერესებულმა პირმა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს №I-15 დანართით გათვალისწინებული ფორმით, რომელიც შევსებული უნდა იქნეს №I-15¹ დანართით დადგენილი წესის მიხედვით.

მოცემული ცვლილება უზრუნველყოფს №I-15¹ დანართის საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებასთან (2020 წლის 14 ივლისის №6817-რს საქართველოს კანონი) შესაბამისობაში მოყვანას, რომლითაც გაფართოვდა

ის საკითხები, რომელზეც შესაძლებელია წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა. როგორც სამსახურში განმარტავენ, ამ ცვლილებით დაიხვეწა და გამარტივდა წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ მოთხოვნის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს დღგ-ის მდგომარეობით პრაქტიკაში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას.

- 28.03.2025-ის №79 ბრძანებით, დაკორექტირდა ინსტრუქციის 33³ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს.

ცვლილება ეხება საგადასახადო კოდექსის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში, სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზისა და იმპორტის გადასახადის იმპორტიორისათვის დაბრუნებისას, დეკლარაციის წარდგენისა და შევსების წესს.

კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზისა და იმპორტის გადასახადის იმპორტიორისათვის დაბრუნებისას (რომელიც გათვალისწინებული იყო

ნამეტი შემოსავლის გაანგარიშებისას და რომლის დაბრუნების შედეგად წარმოიშობა/იზრდება მიღებული ნამეტი შემოსავალი), დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს გადასახადის დაბრუნების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ასეთ შემთხვევაში, ივსება დეკლარაციის III ნაწილის მე-8 სვეტი – მიღებული ნამეტი შემოსავლის ოდენობა.

ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის განახლებული დეკლარაცია გადასახადის გადამხდელისათვის ხელმისაწვდომი იქნება 2025 წლის აპრილის თვის საანგარიშო პერიოდიდან.

დაკორექტირდა 40¹ მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შენიშვნის „ა.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც 16.1 სტრიქონში შეიტანება 2008 წლამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი, თუმცა 16.1 სტრიქონში არ შეიტანება მოგების განაწილება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე, გარდა:

- 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის აღნიშნულ პირ(ებ)ზე განაწილებისა, ხოლო სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში – მის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის აღნიშნულ პირ(ებ)ზე განაწილებისა;

- 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის მიმღები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმის და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) მიერ მისი შემდგომი განაწილება, ხოლო 2008 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან – სადაზღვევო ორგანიზაციისგან მიღებული დივიდენდის განაწილება.

ცვლილება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში

– შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ, 20.03.2025-ში მიღებული №4989 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ბრძანებაში, რომელიც ამოქმედდა მიმდინარე წლის 1 აპრილიდან.

შედეგად, დაკორექტირდა 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია,

რომლის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული სტატუსის მოქმედების პერიოდში შეჩერებული აქვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების ან/და ჩათვლის მიღების) უფლება, ამ დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემა, ასევე საბაჟო დეკლარაციის გამოყენების უფლება დღგ-ის ჩათვლის მიღების მიზნით და რომელსაც მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად მინიჭებული აქვს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი.

ეს ცვლილება ამოქმედდა 2025 წლის 1 აპრილიდან.

ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

– საქართველოს პარლამენტის მიერ 19.03.2025-ში მიღებული №387-III-XIმპ კანონით ცვლილება განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. კანონი ამოქმედდება 2025 წლის 1 აპრილიდან.

კერძოდ, 96¹ მუხლის (ელექტრონერგის ან ბუნებრივი აირის დატაცება) მე-2 ნაწილის მიხედვით, ელექტრონერგის წარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსლიდან ელექტრონერგის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსლიდან ბუნებრივი გაზის დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტრონერგის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების განმეორებით დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

იგივე ეხება სასმელი წყლის უკანონო მოხმარებასაც, ასევე წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობას.

ცვლილება „მეწარმეთა შესახებ“ კანონში

– 18.03.2025-ში მიღებული №365-III-XIმპ კანონის მიხედვით დაკორექტირდა „მეწარმეთა შესახებ“ 254-ე მუხლი.

ამ მუხლის თანახმად, რეგისტრირებულმა საწარმომ, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, ვალდებულია 2026

წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს საწარმოს ან ფილიალის სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარუდგინოს დამფუძნებელთა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საწარმოს ბოლო, 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული წესდებით საერთო კრების გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრული ზოგადი წესით დადგენილი ხმათა რაოდენობით. თუ 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული საწარმოს რეგისტრირებული წესდებით შესაბამის საკითხზე საერთო კრების გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრულია ზოგადი წესით დადგენილზე მეტი ხმათა რაოდენობა, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისას შესაბამის საკითხზე დამფუძნებელთა გადაწყვეტილება მიიღება მოცემული წესდებით განსაზღვრული ხმათა რაოდენობით. ზოგადი წესით დადგენილი ხმათა რაოდენობით გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ საწარმოს რეგისტრირებული წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი საკითხის შინაარსი უცვლელადაა ასახული საწარმოს ახალ სადამფუძნებლო შეთანხმებაში და არ ეწინააღმდეგება კანონს.

განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო 2027 წლის 1 იანვრიდან იღებს გადაწყვეტილებას ვალდებულების დამრღვევი მეწარმის რეგისტრაციის ხარვეზიანობის შესახებ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მას 3-თვიან ვადას უდგენს.

რეგისტრაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ინფორმაციის სახით გამოქვეყნდება მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალის რეგისტრირებული მონაცემების გვერდზე, რომელიც სპეციალურად ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის განთავსებისთვის არის განკუთვნილი.

სსპა ცვლილებები

– ეროვნული ბანკის მიერ 04.03.2025-ში მიღებული №54/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესში“.

შედეგად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტზე თანდართული ნებისმიერი პირობის ან შეზღუდვის დარღვევის შემთხვევაში ბანკი დაჯარიმდება დარღვევის გამოვლენის მომენტიდან ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.01%-ის, 0.05%-ის, 0.1%-ის, 0.5%-ის ან 1%-ის, მაგრამ არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის სერიოზულობის ან კომერციული ბანკის აქტივებისათვის მიყენებული ზარალის ანდა შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე.

ამასთან, იგივე ეხება მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება) ან ეროვნული ბანკის მოთხოვნებითა და

წერილობითი მითითებით აკრძალული ოპერაციების წარმოებისას ან დაწესებული შეზღუდვების, ლიმიტების, მოთხოვნების და აკრძალვების შეუსრულებლობას. ბანკი დაჯარიმდება თითოეული ასეთი ოპერაციის თუ ქმედების განხორციელების გამოვლენის მომენტისათვის იგივე ოდენობის ჯარიმით.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 14.03.2025-ში მიღებული №70/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციაში. კომერციულმა ბანკებმა ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყონ 2025 წლის პირველ ივნისამდე.

ამ ბრძანების მიხედვით, თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ. ამ მიზნებისთვის კრედიტის თანხაში გაითვალისწინება ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით.

თუ კრედიტის თანხა აღემატება 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება სავალდებულოა განხორციელდეს შესაბამისი უძრავი ქონების შეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელი შემფასებლის მიერ. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის კრედიტის თანხაში გაითვალისწინება ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით. ამასთან, თუ უძრავი ქონების პირველადი შეფასების ფარგლებში უძრავი ქონების ინსპექტირება არ განხორციელებულა შემფასებლის მიერ, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, უნდა განხორციელდეს უძრავი ქონების გადაფასება და შემფასებლის მიერ უძრავი ქონების ინსპექტირება.

ამავე ბრძანებით განიმარტა ტერმინები:
შემფასებლის დამხმარე – ამ ინსტრუქციით განსაზღვრული შემფასებლის დამხმარე პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს შესაფასებელი უძრავი ქონების მხოლოდ ინსპექტირება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის კრედიტის თანხაში გაითვალისწინება ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით.

კრედიტი – მსესხებლის მიერ კომერციული ბანკის წინაშე ნაკისრი ნებისმიერი ფინანსური ვალდებულება, მათ შორის, ყველა ტიპის სესხი/კრედიტი, რომელიც მოიცავს ოვერდრაფტს, საკრედიტო ბარათს და სხვა მსგავსი ტიპის პროდუქტებს (ლიმიტების შესაბამისად), მიუხედავად საფინანსო პროდუქტის

სახელწოდებისა, აგრეთვე, სასესხო ხასიათის გარესაბალანსო ვალდებულება და კომერციული ბანკის მიერ მსესხებლისთვის დამტკიცებული და მის მიერ აუთენტიკაციის გარესაბალანსო ვალდებულება, რომლის ათვისება-გამოყენებაც კომერციული ბანკის მხრიდან დამატებით სტანდარტული ტიპის განხილვასა და დამტკიცებას აღარ საჭიროებს.

– 07.03.2025-ის №60/04 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“.

წესის მე-11 მუხლს დამატდა ახალი 1¹ და 1² პუნქტები, რომლის მიხედვითაც, ფინანსურ ორგანიზაციას აქვს უფლება, მის მიერ გაცემული კრედიტის მომხმარებლის საკუთარი სახსრებით წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო ან პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს თუ პირგასამტეხლოს, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:

1¹. ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია, მის მიერ გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, მომხმარებელ ფიზიკურ პირს, ასევე, მომხმარებელს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ამავე ფინანსურ ორგანიზაციაში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა. ეს წესი ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტითა ან/და უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით რეფინანსირების შემთხვევებზე. ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია, მის მიერ გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში მომხმარებელს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ამავე ფინანსურ ორგანიზაციაში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

1². ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია, მის მიერ გაცემული დოკუმენტალური ოპერაციების

(აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში, მომხმარებელ ფიზიკურ პირს, ასევე, მომხმარებელს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ამავე ფინანსურ ორგანიზაციაში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა. ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია, მის მიერ გაცემული დოკუმენტალური ოპერაციების (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში, მომხმარებელს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ამავე ფინანსურ ორგანიზაციაში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.

ბრძანება ამოქმედდება 2025 წლის 1 მაისიდან. დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება ამ ბრძანების ამოქმედების შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებზე. მოქმედება ასევე ვრცელდება ბრძანების ამოქმედებამდე დადებულ ხელშეკრულებებზე მათი ვადის გაგრძელების, რესტრუქტურისაციის, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

– საპენსიო სააგენტოს დირექტორის მიერ 10.02.2025-ში მიღებული №018 ბრძანებით დაკორექტირდა ამავე პირის 11.11.2024-ის №015 ბრძანება.

ცვლილების მიხედვით, შეიცვალა წესის მე-6 მუხლის (შემოწმება და შეუსაბამობების იდენტიფიცირება) მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს 2025 წლის 1 მაისამდე პერიოდს და ამ პერიოდისათვის ფიქსირდება მონაწილის/პენსიის მიმღების მიმართ როგორც არაჯეროვანი შესრულების, ისე საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტი, შესაბამისი მონაწილის/პენსიის მიმღების მიმართ დამსაქმებლის/არასტანდარტული დასაქმებულის ვალდებულება კალენდარული წლის (სრული ან არასრული) ჭრილში განისაზღვრება არაჯეროვანი შესრულების შედეგად ნაკლებად განხორციელებული საპენსიო შენატანისა და ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის შეჯერებით (გაქვითვით).

დაკორექტირდა დანართი №1:

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს სამართალდარღვევის ოქმის ფორმა

სსიპ – საპენსიო სააგენტოს
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №

1. -----

ოქმის შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. -----თბილისი-----

ოქმის შედგენის ადგილი

3. ოქმის შემდგენის სახელი, გვარი, თანამდებობა:

4. ინფორმაცია სამართალდამრღვევის შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი; იურიდიული პირის/ადმინისტრაციული ორგანოს შემთხვევაში – სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი), იურიდიული მისამართი, ინფორმაცია წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ):

5. ინფორმაცია გამოვლენილი სამართალდარღვევის შესახებ (სამართალდარღვევის ჩაღების დრო, ადგილი, არსი):

6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----- მუხლი, ----პუნქტი

7. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

8. ოქმზე თანდართული მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

9. ოქმის შემდგენი:

(ხელმოწერა)

10. სამართალდამრღვევი:

(ხელმოწერა; ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აღინიშნება უარის შესახებ)

იხილეთ ასევე:

– საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 12.03.2025 წ. №66 ბრძანება „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 26.03.2025-ის შემოსავლების სამსახურის უფროსის №5619 ბრძანება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 26.03.2025-ის შემოსავლების სამსახურის უფროსის №5620 ბრძანება, „ცალკეულ შემთხვევებში მომსახურების გაწევის ადგილზე დაინტერესებული პირისთვის მომსახურების გაწევის შეზღუდვის შესახებ“

ამავე პირის 2021 წლის 25 ოქტომბრის №33619 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

– 28.03.2025-ის მთავრობის №91 დადგენილება, „აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების პრინციპების, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მოპოვებისა და გაუქმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ამავე პირის 2024 წლის 30 დეკემბრის №465 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 28.03.2025-ის მთავრობის №94 დადგენილება, პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და რეალიზაციის ნებართვის/ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე.

– 31.03.2025-ის მთავრობის №96 დადგენილება, ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მარიამ აფრასიძე

რუბრიკის სპონსორი -



სპეციალისტის კომენტარი

სპეციალისტის კომენტარი - ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება პრაქტიკოსი სპეციალისტების კომენტარები სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვადასხვა სახელების შესახებ. ჟურნალში გაუკეთდება კომენტარები როგორც ახლად გამოქვეყნებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, ასევე ადრე მიღებულ იმ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც დღეს აქტუალურია.

მსს ფასს 2015-ის კომენტარები: მე-16 განყოფილება „საინვესტიციო ქონება“

წინამდებარე სტატიაში მსს ფასს-ის მე-16 განყოფილებას „საინვესტიციო ქონებას“ განვიხილავთ. განყოფილება ზომით არ არის დიდი, მაგრამ ბევრ საყურადღებო სააღრიცხვო ნიუანსს შეიცავს.

განსახილველი განყოფილების მოქმედების სფერო მის 16.1 ქვეპუნქტში არის აღნიშნული:

„16.1. წინამდებარე განყოფილება ეხება მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვას, რომლებიც აკმაყოფილებს 16.2 პუნქტში მოცემულ საინვესტიციო ქონების განმარტებას, ასევე ზოგიერთ ქონებრივ ინტერესს, რომელიც მოიჯარეს გააჩნია ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის საფუძველზე (იხ. პუნქტი 16.3) და აისახება როგორც საინვესტიციო ქონება. ეს განყოფილება ეხება მხოლოდ ისეთი საინვესტიციო ქონების აღრიცხვას, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შესაძლებელია მუდმივად, ნებისმიერ დროს. ასეთი საინვესტიციო ქონება უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა საინვესტიციო ქონება აღრიცხება თვითღირებულების მოდელით, რომელიც აღწერილია მე 17 განყოფილებაში - „ძირითადი საშუალებები“ და დარჩება მე-17 განყოფილების მოქმედების სფეროში, სანამ შესაძლებელი არ გახდება მათი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელი არ იქნება, რომ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს მომავალშიც“.

იმ საწარმოებს, რომლებიც შეიძლება ფლობდნენ საინვესტიციო ქონებას, მიეკუთვნება როგორც საინვესტიციო კომპანიები, ასევე სხვა კომპანიებიც. მრავალი საწარმო, რომლის ძირითად საქმიანობასაც არ წარმოადგენს საინვესტიციო ქონების ფლობა, ქონებას ფლობენ სხვა მხარეებზე გაქირავებისა და კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის. მსგავსი ქონება შეესაბამება საინვესტიციო ქონების განმარტებას, რომელიც მოცემულია 16.2 პუნქტში.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მსს ფასს

2015-ის მიხედვით საინვესტიციო ქონების ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანს! თუ საწარმომ იცის ან შეუძლია საინვესტიციო ქონების ერთეულის რეალური ღირებულების შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, მან აღნიშნული ქონება უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა საინვესტიციო ქონებისათვის, რომლისთვისაც საწარმოს არ შეუძლია საიმედოდ შეაფასოს ქონების რეალური ღირებულება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს - საწარმომ უნდა გამოიყენოს მე-17 განყოფილების („ძირითადი საშუალებები“) თვითღირებულების მოდელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინვესტიციო ქონების განმარტება და ასევე მისი აღიარების კრიტერიუმები მოცემულია 16.2 პუნქტში:

„16.2. საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორცაა:

(ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან

(ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში“.

ზემოთ აღნიშნულ განმარტებაში, შენობებში უნდა ვიგულისხმოდ ნაგებობებიც, მაგალითად ღია საცურაო აუზი ასევე შეიძლება მოხვდეს საინვესტიციო ქონებაში განმარტების არეალში.

როგორც განმარტებიდან ჩანს, საინვესტიციო ქონება გამოიძუშავებს ფულად ნაკადებს მეტწილად საწარმოს მიერ ფლობილი სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად. დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები საინვესტიციო ქონებას განასხვავებს მესაკუთრის მიერ დაკავებული

ქონებისგან (აღწერილია 16.2-(ა) პუნქტში). მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება (თუ მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება მოხდება ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში) აღრიცხება, როგორც ძირითადი საშუალება (იხ. განყოფილება 17 – „ძირითადი საშუალებები“).

16.2-(ბ) პუნქტში განხილული მიზნით ფლობილი ქონება წარმოადგენს მარაგს (იხ. მე-13 განყოფილება – „მარაგები“).

შეიძლება ფლობილი ქონება არ გამოიმუშავედეს ფულად ნაკადებს და მისი ფლობის მიზანი იყო ღირებულების ზრდა – მაგალითად, თუ საწარმომ შეიძინა მიწის ნაკვეთი იმ მიზნით, რომ ვარაუდობს დროთა განმავლობაში მისი ღირებულების ზრდას, ეს ნაკვეთი საწარმოსთვის წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას.

თუ საწარმოს იჯარით აქვს გაცემული ქონება მის შვილობილ ან მშობელ საწარმოზე. ასეთი ქონება არ შეესაბამება საინვესტიციო ქონების განმარტებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ჯგუფის პოზიციიდან ქონება არის მესაკუთრის მიერ დაკავებული. თუმცა, ქონების მესაკუთრე (ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით) საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ქონება წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას, რადგან ის შეესაბამება 16.2 პუნქტში მოცემულ განმარტებას.

საწარმოს ზოგიერთ შემთხვევაში სჭირდება მსჯელობა იმის დასადგენად, ქონება კლასიფიცირდება თუ არა საინვესტიციო ქონებად. მაგალითად, როდესაც საწარმო თავისი ქონების დროებით მფლობელებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას, საწარმოს სჭირდება მსჯელობა, რათა გადაწყვიტოს როგორ აღრიცხოს ქონება. თუ მომსახურება მთლიან შეთანხმებასთან მიმართებით აშკარად უმნიშვნელოა, ქონება წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას. მაგალითად, განვიხილოთ საწარმო, რომელიც ფლობს შენობას, აქირავენ მას საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით და საწარმო შენობის მოიჯარეებს სთავაზობს დასუფთავების, დაცვისა და ტექნიკურ მომსახურებას. თუ საწარმოს მიერ გაწეული მომსახურება მთლიან შეთანხმებასთან მიმართებით უმნიშვნელოა, ქონება წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას. ხშირ შემთხვევაში, დასუფთავების, დაცვისა და ტექნიკური მომსახურება იქნება უმნიშვნელო და აქედან გამომდინარე, შენობა დაკლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ქონება. როდესაც გაწეული მომსახურებები მნიშვნელოვანია, ქონება უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც ძირითადი საშუალება. მაგალითად, თუ საწარმო ფლობს და მართავს სასტუმროს, მთლიან შეთანხმებასთან მიმართებით სტუმრებისთვის გაწეული მომსახურება არის მნიშვნელოვანი.

მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით ფლობილ ქონებას აღრიცხავს, როგორც საინვესტიციო ქონებას, თუმცა, 16.3 პუნქტის თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმოს, რომელიც ჩვეულებრივი საოპერაციო იჯარით ფლობს ქონებას, უფლება აქვს ის აღრიცხოს, როგორც

საინვესტიციო ქონება. განმარტების თანახმად:

„16.3. ქონებრივი ინტერესი, რომელიც მოიჯარეს გააჩნია ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებით, შეიძლება კლასიფიცირებულ და აღრიცხულ იქნეს, როგორც საინვესტიციო ქონება წინამდებარე განყოფილების გამოყენებით მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება სხვა მხრივ დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და მოიჯარეს დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლია ქონებრივი ინტერესის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. ამგვარი ალტერნატიული კლასიფიკაცია გამოიყენება უძრავი ქონების ცალკეული ობიექტის მიმართ“.

თუ მოიჯარის მიერ საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში ფლობილი ქონება აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და მოიჯარეს შეუძლია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, მაშინ მას უფლება აქვს აღიაროს საიჯარო აქტივი (ქონებრივი ინტერესი) როგორც საინვესტიციო ქონება. როდესაც აღნიშნული გზით ხდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის აღრიცხვა, საწარმო თავდაპირველად აღიარებს საიჯარო აქტივს (ქონებრივი ინტერესი) და მასთან დაკავშირებულ საიჯარო ვალდებულებას, მათი ფინანსური იჯარის სახით აღრიცხვით (იხ. 16.6 პუნქტი). შემდგომ, საწარმოს მოეთხოვება ქონებრივი ინტერესი აღრიცხოს რეალური ღირებულებით (იხ. 16.7 პუნქტი). სპეციალური შერჩევა, რომელიც ნებადართულია 16.3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია უძრავი ქონების ცალკეული ობიექტების მიმართ.

მაგალითი 1. საწარმომ საანგარიშო წელს შეისყიდა შენობა №1, საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აიღო შენობები №2 და №3 და ფინანსური იჯარის ფარგლებში აიღო შენობა №4. ის ოთხივე შენობას იჯარით გასცემს მესამე, დამოუკიდებელ მხარე(ებ)ზე. დაგუშვით, რომ საწარმოს ოთხივე შემთხვევაში შეუძლია თავისი ინტერესის რეალური ღირებულების განსაზღვრა, მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს.

საწარმომ შენობა №1 ში და შენობა №4-ში თავისი ინტერესი უნდა აღრიცხოს, როგორც საინვესტიციო ქონება. ამ შემთხვევაში მას არ გააჩნია კლასიფიკაციის არჩევანი. რაც შეეხება შენობა №2 და შენობა №3-ს, საწარმოს გააჩნია კლასიფიკაციის არჩევანი: მას შეუძლია, მაგრამ არ მოეთხოვება, რომ ნებისმიერ მათგანში (მისი შეხედულებისამებრ) თავისი საიჯარო ინტერესი დააკლასიფიციროს, როგორც საინვესტიციო ქონების ერთეული.

ზოგჯერ ქონების ნაწილს ფლობენ საიჯარო

შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის მიზნით (საინვესტიციო ქონება), და ნაწილს – საქონლის წარმოების ან მიწოდების, ან მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის (ძირითადი საშუალებები). 16.4 პუნქტის თანახმად:

„16.4. შერეული მიზნით გამოყენებული ქონება უნდა დაიყოს საინვესტიციო ქონებად და ძირითად საშუალებად. თუმცა, თუ საინვესტიციო ქონების რომელიმე კომპონენტის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, მთლიანი ქონება უნდა აღრიცხოს, როგორც ძირითადი საშუალება, მე-17 განყოფილების შესაბამისად“.

მაგალითი 2. საწარმო ფლობს შენობას, რომელსაც გაცემს მესამე დამოუკიდებელ მხარეებზე საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით. საწარმო შენობის მოიჯარეებს სთავაზობს დასუფთავების, დაცვისა და ტექნიკურ მომსახურებას. აღნიშნულის შესასრულებლად, საწარმოს შენობის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი იკავებს შენობის ფართობის 2% -ზე ნაკლებ ნაწილს. საწარმოს (მეიჯარე) მიერ მთლიანი შენობა კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ქონება. ის წარმოადგენს ქონებას, რომელიც ფლობილია საიჯარო შემოსავლების მისაღებად. მფლობელის მიერ დაკავებული შენობის ნაწილი (მესაკუთრის მიერ ქონების დაკავება) უმნიშვნელოა და ამიტომ შენობა შერეული მიზნით გამოყენებულ აქტივად აღრიცხვას არ საჭიროებს.

მაგალითი 3. საწარმო ფლობს ორსართულიან შენობას. 1-ლი სართული გაცემულია საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით მესამე დამოუკიდებელ მხარეზე. მე-2 სართული დაკავებული აქვს საწარმოს პერსონალს. საწარმოს შეუძლია საიმედოდ შეაფასოს შენობის თითოეული სართულის რეალური ღირებულება, მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე.

საწარმოს (მეიჯარე) მიერ შენობის 1-ლი სართული კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ქონების ერთეული, რადგან ის ფლობილია საიჯარო შემოსავლების მისაღებად (იხ. 16.2 პუნქტი). ის შეფასებულია რეალური ღირებულებით თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. შენობის მე-2 სართული კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება, რადგან ის ფლობილია წარმოებისათვის ან პროდუქციის ან მომსახურების მისაწოდებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის (იხ. 16.2(ა) პუნქტი). ის აღრიცხება, თვითღირებულების მოდელის ან გადაფასების მოდელის გამოყენებით (იხ. 17.15 პუნქტი).

საწარმო იფიქვ მიდგომას გააგრძელებს იმ

შემთხვევაშიც, როდესაც პირველ სართულზე რამდენიმე ოთახია გაქირავებული (თუნდაც ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყვნენ) და მეორეზეც რამდენიმე.

მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ შერეულ შემთხვევაში, არა მარტო შენობა უნდა გაიყოს ორ (ან რამდენიმე) ნაწილად, არამედ ამ შენობაზე მიმაგრებული მიწაც.

არის შემთხვევები, როდესაც ჭირს გამოიჯვანა, ქონების რა ნაწილი ჩაითვალოს საინვესტიციო ქონებად და რა – ძირითად საშუალებად. ამგვარ შემთხვევებში საჭიროა დამატებითი პროფესიული განსჯა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

თუ როგორ ხდება შეფასება საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარებისას, განსაზღვრულია 16.5 პუნქტით:

„16.5. საწარმომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი ალემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება. საწარმომ 17.10–17.14 პუნქტების მიხედვით უნდა განსაზღვროს იმ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება, რომელიც თვითონ საწარმოს მიერ არის აშენებული“.

როგორც 16.5 პუნქტიდან ჩანს, საინვესტიციო ქონების თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრება ძირითადი საშუალებების ანალოგიურად (მე-17 განყოფილება).

„16.6. ისეთი ქონებრივი ინტერესის თავდაპირველი თვითღირებულება, რომელიც მოიჯარეს გააჩნია იჯარის ხელშეკრულებით და კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება, ისე უნდა დადგინდეს, როგორც განსაზღვრულია ფინანსური იჯარისთვის 20.9 პუნქტის შესაბამისად, მაშინაც კი, თუ მოცემული იჯარა, სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირებული იქნებოდა, როგორც ჩვეულებრივი იჯარა, მე-20 განყოფილების – „იჯარა“ – მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქტივი უნდა აღიარდეს ქონების რეალურ ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ამასთან, 20.9 პუნქტის მიხედვით, ეკვივალენტური თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება“.

მსს ფასს 2015 არ განმარტავს ტერმინს „ქონებრივი ინტერესი“. თუმცა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ეს არის განზოგადებული ტერმინი იმ აქტივებისთვის, რომელიც წარმოემოხა საწარმოს როგორც ჩვეულებრივი იჯარის

(თუ ის ამ აქტივს აღრიცხავს როგორც საინვესტიციო ქონებას) ისე ფინანსური იჯარის შემთხვევაში. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ფინანსური იჯარის შემთხვევაში მოიჯარისთვის აქტივი კლასიკური გაგებით ინვესტიციას წარმოადგენს და მისი აღრიცხვა სავალდებულოა როგორც საინვესტიციო ქონების. ჩვეულებრივი იჯარის შემთხვევაში კი ადგილი არ აქვს კლასიკური გაგებით ინვესტიციას და საინვესტიციო ქონებად მისი აღრიცხვა ნებაყოფლობითია (16.3 პუნქტის მიხედვით).

მაგალითი 4. საწარმომ საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აიღო შენობა შესამე და მოუკიდებელი მხარისგან. ამის შემდგომ, საწარმომ ქვეიჯარით (ჩვეულებრივი იჯარით) გასცა შენობა სხვადასხვა საწარმოებზე. ის თავის ინტერესს იჯარით გაცემულ შენობაში აკლასიფიცირებს საინვესტიციო ქონებად და საწყისი აღიარების შემდეგ, ქონებრივ ინტერესს აფასებს რეალური ღირებულებით. როდესაც ქონებაში ინტერესი პირველად აღიარდა, ქონებრივი ინტერესის რეალურ ღირებულება იყო 350 000 ლარი, ხოლო მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღეგანდელ ღირებულება შეადგენდა 300 000 ლარს.

ქონების რეალურ ღირებულებასა (350 000 ლარი) და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღეგანდელ ღირებულებას (300 000 ლარი) შორის უმცირესი თანხა არის 300 000 ლარი. საწყისი აღიარებისას საწარმო აღიარებს ქონებრივ ინტერესსა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას 300 000 ლარის ოდენობით.

საწყისი აღიარების შემდგომ შეფასებას ეხება 16.7 პუნქტი:

„16.7. საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ ქონებრივი ინტერესი, რომელიც მოიჯარეს გააჩნია იჯარის ხელშეკრულებით, კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება, ამ შემთხვევაში რეალური ღირებულებით ასახული მუხლი იქნება ეს ქონებრივი ინტერესი და არა თავად ქონება. რეალური ღირებულების განსაზღვრის შესახებ მითითებები მოცემულია 11.27–11.32 პუნქტებში. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება საწარმომ უნდა აღრიცხოს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, მე-17 განყოფილების შესაბამისად“.

საწყისი აღიარების შემდგომი შეფასება გამოდინარეობს გარემოებებიდან და არა თვითღირებულების მოდელსა და რეალური ღირებულების მოდელს შორის სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანიდან. თუ საწარმოს შეუძლია საინვესტიციო ქონების ერთეულის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი

დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, მან აღნიშნული ქონება უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. სხვა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს თვითღირებულების მოდელი, მე-17 განყოფილების შესაბამისად.

თუ დადგენილია, რომ ერთი ან მეტი ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, შეუძლებელია, მაშინ ასეთი საინვესტიციო ქონებისთვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. სხვა საინვესტიციო ქონება შეფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. დავუშვათ, შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ თვითღირებულების მოდელით (მე-17 განყოფილების შესაბამისად) აღრიცხულ საინვესტიციო ქონებაზე საწარმომ რაიმე მიზეზით დაადგინა მისი რეალური ღირებულება, მაგრამ მიუხედავად ამისა, საწარმოს არ აქვს იმის მოლოდინი, რომ ამ შეფასებას შეძლებს მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ამ საინვესტიციო ქონების აღრიცხვა უნდა გააგრძელოს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

თვითღირებულების მოდელის გამოყენებით აღრიცხული საინვესტიციო ქონება ექვემდებარება 27-ე განყოფილების – „აქტივების გაუფასურება“ – მიხედვით გაუფასურებაზე შემოწმებას. როდესაც საანგარიშგებო თარიღში არსებობს ინდიკატორი, რომ შესაძლოა ქონება იყოს გაუფასურებული, საწარმოს მოეთხოვება შეაფასოს საინვესტიციო ქონების ანაზღაურებადი ღირებულება. ქონების ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა (იხ. 27.14 პუნქტი) და გამოყენების ღირებულებას (იხ. 27.15–27.20 პუნქტები) შორის უდიდესი. თუ ქონების გამოყენების ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას, მაშინ ქონება არ არის გაუფასურებული, ხოლო თუ არ აღემატება, საწარმომ უნდა შეაფასოს ქონების გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება და შეუდაროს საბალანსო ღირებულებას. ასეთ დროს, საწარმოს რეალური ღირებულების შეფასება ევალდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დაადგენს, რომ ეს შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, შეუძლებელია.

თვითღირებულების მოდელით აღრიცხული საინვესტიციო ქონებას დაერიცხება ცვეთა. ცვეთის დათვლისთვის საწარმოს ქონების ნარჩენი ღირებულების შეფასება სჭირდება. აქტივის ნარჩენი ღირებულება (მოძველებული ტერმინოლოგიით, მას სალიკვიდაციო ღირებულებას უწოდებენ) არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იქნებოდა იმ ასაკის და ისეთ მდგომარეობაში, როგორც სასარგებლო

მომსახურების ვადის ბოლოსთვის იქნება. აღნიშნული შეფასებისთვის არ არსებობს მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით გათავისუფლების უფლება.

მაგალითი 5. 2018 წლის 1 იანვარს საწარმომ 3,000,000 ლარად შეიძინა 10-სართულიანი, ახალაშენებული საოფისე შენობა. შენობა შეძენილ იქნა მესამე მხარისგან საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით. შენობის შეძენიდან მცირე დროში, საწარმომ სრულად გააქირაგა ის სამ მოიჯარეზე: ერთი მათგანი იკავებს ორ სართულს, მეორე – სამ სართულს, ხოლო მესამე – ხუთ სართულს. საწარმოს შეუძლია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს და 2018 წლის 31 დეკემბერს რეალური ღირებულება იყო 3,200,000 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბერს რეალური ღირებულება იყო 3,800,000 ლარი.

როგორ აღრიცხავს საწარმო საინვესტიციო ქონებას?

საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არის მისი რეალური ღირებულება 3,200,000 ლარი და 2019 წლის 31 დეკემბერს მისი რეალური ღირებულებაა 3,800,000 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, წლის საოპერაციო შემოსავლად აღიარდება რეალური ღირებულების ნაზრდი – 200,000 ლარის ოდენობით (3,200,000 – 3,000,000). 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება რეალური ღირებულების ნაზრდი - 600,000 ლარის ოდენობით (3,800,000–3,200,000 ლარი).

საინვესტიციო ქონების კლასიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, 16.8 პუნქტი განმარტავს:

„16.8. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საწარმომ ეს აქტივი უნდა აღრიცხოს მე-17 განყოფილების შესაბამისად მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი. საბალანსო ღირებულება, რომელიც საინვესტიციო ქონებას ექნება ზემოაღნიშნული ბოლო თარიღისთვის, გახდება მისი თვითღირებულება მე-17 განყოფილების მიხედვით. 16.10(ე) (iii) პუნქტის თანახმად, აუცილებელია ამ ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში. ეს ცვლილება გარემოებების ცვლილებაა და არა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება“.

ამგვარად, თუ გარემოებები შეიცვალა და რეალური

ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების ერთეულის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, ქონება შემდგომში აღრიცხება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, მანამ სანამ რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება კვლავ არ გახდება შესაძლებელი. დასაშვებია, რომ ქონების საბალანსო ღირებულება კლასიფიკაციის შეცვლის თარიღში იყოს მისი თვითღირებულება. ამასთან, რადგან ეს არ არის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, ფინანსური ანგარიშგების რეტროსპექტული გადაანგარიშება არ მოხდება.

თუ გარემოებები შეიცვალა და საინვესტიციო ქონების ერთეულის, რომელიც აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით, რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელი გახდა მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, ქონება შემდგომში აისახება რეალური ღირებულებით (მანამ, სანამ რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება იქნება შესაძლებელი). ეს ლოგიკურად გამომდინარეობს იქიდან, რომ წინამდებარე განყოფილების დებულებების მიხედვით, „საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის“. შესაბამისად, თუ რომელიმე წელს საწარმომ შეუძლია (თუნდაც ადრე, მე-17 განყოფილების მიხედვით აღრიცხული) საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, ცხადია მან ეს უნდა გააკეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსს ფასს-ის დარღვევა იქნება – საწარმოს ბალანსზე ექნება საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების შეფასება შეუძლია და ამას მაინც არ აკეთებს.

მსს ფასს 2015-ში არ არის ნახსენები, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება განსხვავება: (i) საბალანსო ღირებულებასა, იმ თარიღში როდესაც რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება გახდა შესაძლებელი და (ii) რეალურ ღირებულებას შორის. ვინაიდან მსს ფასს-ის 5.2(ბ) და 5.4 პუნქტები მოითხოვს შემოსავლისა და ზარჯის ერთეულების აღიარებას მოგებაში ან ზარალში, თუ სტანდარტი სხვაგვარად არ მოითხოვს ან ნებას არ რთავს, ამიტომ საწარმომ ეს სხვაობა უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში, როგორც საოპერაციო შემოსავალი. კლასიფიკაციის შეცვლის თარიღში ქონების რეალური ღირებულების ხელახალი შეფასებისას აღიარებული შემოსულობა ან ზარალი მოგებაში ან ზარალში განცალკევებით უნდა გამოვლავდეს, თუ აღნიშნული არსებითია (იხ. 3.2 და 16.10(ე) პუნქტები).

მაგალითი 6. 2017 წლის 1 იანვარს საწარმომ შეიძინა საინვესტიციო ქონება 2,000,000 ლარად

(რომელიც ასე გადანაწილდა: შენობა 1,500,000 ლარი და მიწა 500,000 ლარი). 2018 წლის 31 დეკემბერს საწარმომ შეაფასა ქონების რეალური ღირებულება 2,500,000 ლარად (რომელიც ასე გადანაწილდა: შენობა 1,800,000 ლარი და მიწა 700,000 ლარი) და საინვესტიციო ქონება აღნიშნული ოდენობით აღიარა თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ხელმძღვანელობას ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ შეუძლია. ხელმძღვანელობის შეფასებით, შენობის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა 25 წელია. შენობის ნარჩენი ღირებულება მიჩნეულია ნულის ტოლად. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ წრფივი მეთოდი ასახავს შენობის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

2019 წლის 1 იანვარს საწარმომ რეალური ღირებულებით ასახული საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია უნდა შეცვალოს თვითღირებულებით ასახულ საინვესტიციო ქონებად. კლასიფიკაციის ცვლილება უნდა განხორციელდეს ქონების 2,500,000 ლარის ოდენობის საბალანსო ღირებულებით, რადგან დასაშვებია, რომ აღნიშნული ოდენობა ჩაითვალოს ქონების თვითღირებულებად (1,800,000 ლარი იქნება შენობის თვითღირებულება, 700,000 ლარი – მიწის). 2019 წლის 1 იანვრიდან საწარმომ შენობას უნდა დაარსდეს ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის – 25 წლის განმავლობაში ნულოვან ნარჩენ ღირებულებამდე. საწარმო აღიარებს ერთი წლის ცვეთას 72,000 ლარის ოდენობით (1,800,000/25 წელი) მოგებაში ან ზარალში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. 2019 წლის 31 დეკემბერს საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება არის 2,428,000 ლარი (2,500,000–72,000 ლარი). საწარმომ უნდა გაამჟღავნოს რეკლასიფიკაცია, როგორც ვარემოებების ცვლილება.

„16.9. 16.8 პუნქტში აღწერილი სიტუაციის გარდა, სხვა შემთხვევებში, საწარმომ ამა თუ იმ ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანა, ან პირუკუ, უნდა მოახდინოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს“.

მაგალითი 7. 2018 წლის 1 იანვარს, რეორგანიზაციის შემდეგ, საწარმომ გაათავისუფლა შენობა, რომელსაც ის ფლობდა და რომელიც წლების განმავლობაში დაკავებული ჰქონდა ადმინისტრაციის თანამშრომლებს. საწარმო იყენებს თვითღირებულების მოდელს ყველა ძირითადი საშუალებისათვის. 2018 წლის 1 იანვარს შენობის

საბალანსო ღირებულება იყო 700,000 ლარი (1,000,000 ლარი თვითღირებულება, გამოკლებული 300,000 ლარი დაგროვილი ცვეთა). შენობის განთავისუფლების შემდეგ, საწარმომ გასცა ის მესამე მხარეზე 10-წლიანი ჩვეულებრივი იჯარით. საწარმოს არ შეუძლია საიმედოდ შეაფასოს შენობის რეალური ღირებულება, მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს.

2018 წლის 1 იანვრამდე შენობა კლასიფიცირდებოდა, როგორც ძირითადი საშუალება. თუმცა, 2018 წლის 1 იანვარს საწარმომ შეცვალა შენობის გამოყენების მიზანი და მონდა შენობის საინვესტიციო ქონებად რეკლასიფიკაცია.

რადგან, საწარმოს არ შეუძლია საიმედოდ განსაზღვროს შენობის რეალური ღირებულება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, მან უნდა გააგრძელოს მე-17 განყოფილების თვითღირებულების მოდელის გამოყენება. შესაბამისად, არ მონდება შენობის ხელახალი შეფასება. თუმცა, შენობა (საბალანსო ღირებულებით 700,000 ლარი) გადავა ძირითადი საშუალებებიდან საინვესტიციო ქონებაში, რომელიც ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი ვაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

მაგალითი 8. ფაქტები იგივეა, რაც წინა მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში საწარმოს შეუძლია საიმედოდ შეაფასოს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს. 2018 წლის 1 იანვარს შენობის რეალური ღირებულება შეადგენდა 1,200,000 ლარს.

2018 წლის 1 იანვარს საწარმო ამ ქონების კლასიფიკაციას შეცვლის და ძირითადი საშუალებებიდან გადაიტანს რეალური ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ქონებაში, მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2018 წლის 1 იანვარს შენობის საბალანსო ღირებულება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით იყო 700,000 ლარი. იგივე თარიღში შენობის რეალური ღირებულება იყო 1,200,000 ლარი. საწარმო 500,000 ლარის ოდენობის სწავობას როგორც შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2018 წლის 1 იანვრის შემდეგ, საწარმო ქონებას შეაფასებს რეალური ღირებულებით, თუ მას შეეძლება საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც რეალური ღირებულება შეიცვლება.

მაგალითი 9. 2019 წლის 1 იანვარს საწარმომ დაიწყო შენობის გარემონტება ჩვეული საქმიანობის პროცესში გაყიდვის მიზნით. შენობა ადრე კლასიფიცირდებოდა, როგორც საინვესტიციო ქონება. საწარმოს არ შეუძლია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს და ამიტომ, ის საწყისი აღიარების შემდეგ თვითღირებულების მოდელის გამოყენებით შეაფასა. 2019 წლის 1 იანვარს შენობის საბალანსო ღირებულება იყო 700,000 ლარი (2,000,000 ლარი თვითღირებულება, გამოკლებული 1,300,000 ლარი დაგროვილი ცვეთა).

ამ შემთხვევაში, საწარმომ უნდა მოახდინოს 700,000 ლარის გადატანა მარაგებში (იხ. მე-13 განყოფილება - მარაგები). მე-13 განყოფილების გამოყენებით ქონების დასაშვები საწყისი ღირებულება შემდგომი აღრიცხვისათვის არის 700,000 ლარი.

მაგალითი 10. ფაქტები იგივეა, რაც წინა მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, საწარმოს შეუძლია საიმედოდ შეაფასოს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს და შესაბამისად ის საწყისი აღიარების შემდგომ შეაფასა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2019 წლის 1 იანვარს შენობის რეალური ღირებულება შეადგენდა 900,000 ლარს.

ამ შემთხვევაში, საწარმომ უნდა მოახდინოს 900,000 ლარის გადატანა მარაგებში (იხ. მე-13 განყოფილება). მე-13 განყოფილების გამოყენებით ქონების დასაშვები საწყისი ღირებულება შემდგომი აღრიცხვისათვის არის 900,000 ლარი (ე.ი. გამოყენების ცვლილების თარიღში მისი რეალური ღირებულება).

აღნიშნავთ, რომ მსგავსი მიდგომაა გატარებული ფას-ების სრულ ვერსიაში. კერძოდ, ბასს 40 – „საინვესტიციო ქონება“ მე-60 მუხლში აღნიშნულია:

„60. როდესაც რეალური ღირებულებით ასახული ქონება მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად ან მარაგად იქცევა, მაშინ შემდგომში, ბასს 16-ის, ფასს 16-ის ან ბასს 2-ის შესაბამისად აღრიცხვისათვის, ქონების ღირებულებად ითვლება მისი რეალური ღირებულება, ქონების გამოყენებაში ცვლილების თარიღისათვის“.

და ბოლოს, რა განმარტებით შენიშვნები უნდა გაკეთდეს სუბიექტთა მიერ მათ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი საინვესტიციო ქონების თაობაზე, აღნიშნულია 16.10-16.11 მუხლებში:

„16.10. საწარმომ ყველა თავისი საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (იხ.

პუნქტი 16.7), უნდა გამჟღავნოს:

(ა) საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად გამოყენებული მეთოდები და მნიშვნელოვანი დაშვებები;

(ბ) რამდენად ეფუძნება საინვესტიციო ქონების (რომელიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, ან შენიშვნებშია განმარტებული) რეალური ღირებულება ისეთი დამოუკიდებელი შემფასებლის შეფასებას, რომელსაც გააჩნია აღიარებული და შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი გამოცდილება იმავე ადგილმდებარეობისა და კატეგორიის საინვესტიციო ქონების შეფასებაში, როგორც შესაფასებელი საინვესტიციო ქონებაა. თუ ამგვარი შეფასება არ გაკეთებულა, თავად ეს ფაქტი უნდა გამჟღავნდეს;

(გ) საინვესტიციო ქონების გაყიდვის შესაძლებლობასთან, ან გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისა და გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობების გადარიცხვასთან დაკავშირებული შეზღუდვების არსებობა და ამ შეზღუდვების სიდიდე;

(დ) საინვესტიციო ქონების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან, ან სარემონტო, საექსპლუატაციო მომსახურებასთან ან გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები;

(ე) საინვესტიციო ქონების პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება ისე, რომ ცალ-ცალკე იყოს ნაჩვენები;

(ი) შემოსვლა, სადაც ცალკე იქნება გამოყოფილი საინვესტიციო ქონების შემოსვლა, რომელიც განპირობებულია საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით შექმნით;

(ii) რეალური ღირებულების კორექტირებებიდან წარმოქმნილი წმინდა შემოსულობა ან ზარალი;

(iii) ამა თუ იმ ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანა, ან პირუკუ, რომელიც ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლების შედეგად მიღებული თანხით; (იხ. პუნქტი 16.8)

(iv) საინვესტიციო ქონების გადატანა მარაგისა და მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების კლასიფიკაციაში, ან პირიქით; და

(v) სხვა ცვლილებები.

ამგვარი შეჯერების წარმოდგენა საწარმოს არ ევალდება წინა პერიოდებისთვის.

16.11. მე-20 განყოფილების მიხედვით, საინვესტიციო ქონების მესაკუთრე განმარტებით შენიშვნებში საიჯარო ხელშეკრულებების შესახებ ასახავს იმავე ინფორმაციას, რომელიც მოეთხოვებათ მეიჯარეებს. საწარმო, რომელსაც საინვესტიციო ქონება აღებული აქვს ფინანსური ან ჩვეულებრივი იჯარით, განმარტებით შენიშვნებში ფინანსური იჯარის ხელშეკრულებების შესახებ გამჟღავნებს მოიჯარეებისთვის მოთხოვნილ ინფორმაციას, ხოლო ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებისთვის – მეიჯარეებისთვის მოთხოვნილ ინფორმაციას“.

ფრიდონ ალშიბაია

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი მაკა ხარაზიშვილი.

2024 წელს საბანკო სექტორმა 3 მილიარდ ლარზე მეტი მოგება მიიღო

გამოკვეთილ ლიდერებად კი „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“ რჩებიან

2024 წელი საბანკო სექტორმა 3.1 მილიარდი ლარის მოგებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი 382 მილიონი ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს! სპაროცენტო შემოსავლებიდან, ბანკებმა, 8.5 მილიარდი ლარის შემოსავალი მიიღეს, 1.3 მილიარდი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. ასევე გაიზარდა საკომისიო გადასახდელებიდან მიღებული შემოსავლები და 2024 წელს მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა საკომისიო შემოსავლებმა 789 მილიონი ლარი შეადგინა, 117 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2023 წელს.

საქართველოს საფინანსო ბაზარი 17 ბანკით არის წარმოდგენილი. აქედან 3 ციფრული ბანკია, რომელთაც ეროვნული ბანკისგან საქმიანობის ლიცენზია სულ ცოტა ხნის წინ მიიღეს. ამ ეტაპზე სამივე ციფრული ბანკი ზარალზეა. ჯერჯერობით, ქართველ მომხმარებელს, მთლიანად ციფრულთანამედროვე სერვისებს „ტრადიციულ ბანკებთან“ ურთიერთობა ურჩევნიათ. ამასთან, ცოტა უცნაურია, მაგრამ მომხმარებელთა მოსაზრებად და მათი ინფორმირებისთვის, ახალი ციფრული საფინანსო ინსტიტუტების არც სარეკლამო კამპანიები ჩანს.

როგორც ყველა წელს, ახლაც საბანკო სექტორის შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლების მიხედვით ორი ბანკი – „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“ ლიდერობს. არა მარტო ლიდერობს, არამედ მთელი საბანკო სექტორის 80 პროცენტზე მეტი ამ ორ ბანკზე მოდის. ამასთანავე, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საკმაოდ კარგი ფინანსური მაჩვენებელი აქვს „კრედიო ბანკსაც“, რომელმაც მხოლოდ 8 წლის წინ, 2017 წლის 20 მარტს მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

ასე, რომ საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე, საბანკო სისტემის მოგება ყოველწლიურად სტაბილურად და მკვეთრად იზრდება. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბოლოს ბანკების ასოციაციაში ვარაუდობდნენ, რომ 2024 წელს ბანკების მოგების მაჩვენებელი შემცირდებოდა, თუმცა მათი პროგნოზი არ გამართლდა. საბანკო ასოციაციაში ასეთი პესიმისტური გათვლები აქვთ 2025 წელთან დაკავშირებითაც. წლის ბოლოს ვნახავთ, ახლა თუ მაინც გამართლდება მათი ვარაუდები.

ეროვნული ბანკის 2024 წლის ფინანსური

სტაბილურობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსური სექტორი მდგრადია და ეკონომიკის დაკრედიტებას 2024 წელსაც შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის მსგავსად, საბანკო სექტორის კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობისა და სესხების ხარისხის მაჩვენებლები 2024 წელსაც გაუმჯობესდა. ასევე, შემცირდა ქვეყნის სუვერენული რისკის პრემია და გაცვლითი კურსის მერყეობა, რაც ფინანსური სტრუქტურის ინდექსის დამატებით შემცირებაში აისახა.

„გაუმჯობესებულია საბანკო სექტორის აქტივების ხარისხი. ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღი მაჩვენებლები აქვთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი გაურკვევლობა კვლავ ნარჩუნდება გეოპოლიტიკური დამატულობის, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების დამატებით გამკაცრების, და მათი ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორზე ზეგავლენის შეფასებისას. ეროვნული ბანკი განაგრძობს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მუდმივ მონიტორინგს, საშინაო და საგარეო რისკების შეფასებასა და ფინანსური სექტორის მდგრადობის რიგი მაკროპრუდენციული და მიკროპრუდენციული ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას“, – აღნიშნულია ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში.

გაგაცნობთ კომერციული ბანკების 2024 წლის ფინანსურ მონაცემებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომერციულ ბანკებს, რამდენიმე მათგანის გარდა, 2023 წელთან შედარებით თითქმის ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი გაუმჯობესებული აქვს.

„ჰემ ბანკი“

„ჰემ ბანკი“ ციფრული ბანკია, რომელმაც ეროვნული ბანკისგან საქმიანობის ლიცენზია 2023 წლის დეკემბერში მიიღო. შესაბამისად ბანკს მხოლოდ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება აქვს გამოქვეყნებული. თუმცა, მაინც საინტერესოა, როგორი იყო მისი პირველი სრულყოფილი ფინანსური წელი რიცხვებში.

2024 წლის მაჩვენებლების მიხედვით, კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულება – 30.2 მილიონი ლარი იყო, ხოლო კაპიტალი 29.6 მილიონი ლარი.

2024 წელს კომპანიამ 989.7 ათასი ლარი შემოსავალი მიიღო, ზარალი კი 5,3 მილიონი ლარი იყო.

ბანკი აქციონერები არიან – ვოლოდიმირ ნოსოვი (50%), სულხან პაპაშვილი (30.5%), ლაშა პაპაშვილი (19.5%).

„პეივ ბანკ ჯორჯია“

კიდევ ერთმა ციფრულმა ბანკმა „პეივ ბანკ ჯორჯიამ“ ასევე 2023 წლის დეკემბერში მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია. 2024 წლის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ 8.8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალის მოცულობა 8.05 მილიონი ლარი იყო. 2024 წელს ბანკმა 489.4 ათასი ლარის საპროცენტო შემოსავალი მიიღო. შარშანდელი წელი ამ ბანკისთვისაც წამყვანი აღმოჩნდა და ზარალმა 1 მილიონი ლარი შეადგინა.

ბანკის მესაკუთრეა – PAVING THE WAY PTE. LTD. ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს, ასეთია: ომარ-სალიმ დანანი (65%), დმიტრი ბოჩაროვი (15%), საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა (20%).

„პეისერა ბანკი საქართველო“

ეს არის პირველი ციფრული ბანკი საქართველოში, რომელმაც საბანკო საქმიანობის ლიცენზია 2022 წლის ნოემბერში მიიღო. 2024 წელს ბანკის მთლიანი აქტივების ღირებულება 21.5 მილიონი ლარი იყო, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით ფაქტობრივად გაორმაგებულია. ასევე გაზრდილია კაპიტალის მოცულობა 7.9 მილიონი ლარიდან 9.7 მილიონ ლარამდე. 2024 წელს ბანკის საპროცენტო შემოსავლებმა 590.4 ათასი ლარი შეადგინა, 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 355.2 ათასი ლარით. ასევე 2023 წელთან შედარებით შემცირდა ბანკის ზარალი 1.4 მილიონი ლარიდან 792.1 ათას ლარამდე.

ბანკის აქციონერები არიან – დმიტრი ქუშიშვილი (27.03%), ირაკლი ვეკუა (27.03%), ივანე თევდორაშვილი (27.03%), მინდია საბანაძე (10.14%), ზაზა ბუაძე (8,74%). ბანკის გენერალური დირექტორია დმიტრი ქუშიშვილი.

„თიბისი ბანკი“

2024 წელს „თიბისი ბანკის“ აქტივების ღირებულება 5.7 მილიარდი ლარით გაიზარდა და 37.0 მილიარდი ლარი შეადგინა. კაპიტალის მოცულობა კი ერთ წელიწადში 668.3 მილიონი ლარით – 5.3 მილიარდ ლარამდე გაიზარდა.

„თიბისი ბანკის“ საპროცენტო შემოსავალმა, 2024 წელს, 3.1 მილიარდ ლარს მიაღწია, წინა წელთან შედარებით ზრდა არის 392.2 მილიონი ლარი. ასევე თითქმის 200 მილიონი ლარით გაიზარდა „თიბისი ბანკის“ მოგება და 2024 წელს 1,2 მილიარდ ლარს გაუტოლდა.

„თიბისი ბანკის“ 99.88%-ის ფლობს „თიბისი ბანკის ჯგუფი“. ბანკების ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5 პროცენტზე მეტს ასეთია: მამუკა ხაზარაძე (9.51%),

Dunross & Co (6.83%), ბადრი ჯაფარიძე (5.87%). ბანკის გენერალური დირექტორია ვახტანგ ბუცხრიკიძე.

„საქართველოს ბანკი“

2024 წლის ბოლოსთვის სს „საქართველოს ბანკის“ აქტივების ღირებულება 7 მილიარდი ლარით 37.6 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. კაპიტალი კი 5.2 მილიარდი ლარი იყო, 816.6 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2023 წელს. საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ბანკმა“ საპროცენტო შემოსავლებიდან 3.3 მილიარდი ლარი მიიღო, 593.5 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. თითქმის 300 მილიონი ლარით – 1.5 მილიარდ ლარამდე გაიზარდა ბანკის მოგება.

სს „საქართველოს ბანკის“ მფლობელია კომპანია JSC BGEO Group (ბოლო გამოქვეყნებული ინფორმაციით, აქციების 99.52%-ის მფლობელია), რომელიც თავის მხრივ ეკუთვნის ჰოლდინგური კომპანიას, საქართველოს ბანკის საბოლოო მფლობელს ISC Bank of Georgia Group PLC-ს. ამ ჰოლდინგურ კომპანიაში აქციონერი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს აქციების 5 პროცენტზე მეტს, არის Georgia Capital JSC – 19.22%. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორია არჩილ გაჩეჩილაძე.

„ლიბერთი ბანკი“

2024 წელს თითქმის მილიონი ლარით, 4.9 მილიარდ ლარამდე გაიზარდა „ლიბერთი ბანკის“ აქტივების ღირებულება. ხოლო კაპიტალის მოცულობა 599.1 მილიონი ლარი იყო, 104.6 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. 2024 წელს „ლიბერთი ბანკის“ საპროცენტო შემოსავალმა 607.7 მილიონი ლარი შეადგინა, 84.8 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. 103 მილიონი ლარის მოგებით დაამთავრა შარშანდელი წელი „ლიბერთიმ“. მისი მოგება, 2023 წელთან შედარებით 22.8 მილიონი ლარით არის გაზრდილი. „ლიბერთი ბანკის“ აქციონერები არიან: ირაკლი რუხაძე (31.38%), ბენჯამინ მარსონი (31.38%), ივორ ალექსევი (31.38%). ბანკის გენერალური დირექტორია ბექა გოგიჩაიშვილი.

„ბაზისბანკი“

2024 წლის მდგომარეობით „ბაზისბანკის“ აქტივების ღირებულებამ 4.0 მილიარდ ლარს მიაღწია და 2023 წელთან შედარებით 481.3 მილიონი ლარით გაიზარდა. კაპიტალის მოცულობა კი 101.4 მილიონი ლარით გაიზარდა და 604.7 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2024 წელს ბანკმა საპროცენტო შემოსავლებიდან 353.3 მილიონი ლარი მიიღო, 39.4 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში ბანკის მოგებამ წინა წელთან შედარებით, 6.5 მილიონი ლარით – 78.5 მილიონ ლარამდე იმატა.

ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით, არის შემდეგი: მიე ენხვა (41.75%), მი ზაიქი (56.27%). ბანკის გენერალური დირექტორია დავით ცაავა.

„კრედიო ბანკი“ – 2024 წელს მკვეთრად გაიზარდა „კრედიო ბანკის“ აქტივების ღირებულება – 599.1 მილიონი ლარით 3.1 მილიარდ ლარამდე. კაპიტალის მოცულობამ კი 377.9 მილიონი ლარი შეადგინა, თითქმის 71 მილიონი ლარით მეტი წინა წლის მონაცემებთან შედარებით. 2024 წელს ბანკმა საპროცენტო შემოსავლებიდან 526.7 მილიონი ლარი მიიღო, ეს მაჩვენებელი 73.4 მილიონი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. შარშან „კრედიო ბანკის“ მოგება 68.9 მილიონი ლარი შეადგინა, 27.6 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით.

საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალიში მითითებულია – Access Microfinance Holding AG (Germany) (50.58%), Gojo & C0mpant In (16.80%), Societe de Promotion et de Participation pour la Cooperation Economique (Proparco) (14.79%), Triodos Custody B.V., Triodos Fair Share Fund (Netherlands) (8.32%), Triodos SICAV II, Triodos Microfinance Fund (Luxembourg) (8.32%).

ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით არის შემდეგი: British International Investment PLC (UK) (5.98%), European Investment Bank (Luxembourg) – 5.98%, International Finance Corporation (USA) – 7.52%, Kreditanstalt für Wiederaufbau (Germany) – 6.43%, LFS Advisory GmbH (Germany) – 12.02%, Dr. Bernd Zattler (Germany) – 7.21%, Omidyar Tufts Active Citizenship Trust (USA) – 5.67%, Agence Francaise de developpement – 12.54%. ბანკის გენერალური დირექტორია ზაალ ფირცხალავა.

„პროკრედიტ ბანკი“

2024 წელს „პროკრედიტ ბანკის“ აქტივების ღირებულება, წინა წელთან შედარებით, 173.5 მილიონი ლარით 1.9 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. კაპიტალის მოცულობამ კი 315.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 17.3 მილიონი ლარით მეტია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2024 წელს „პროკრედიტ ბანკის“ საპროცენტო შემოსავალი 131.7 მილიონი ლარი იყო, 14.2 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში „პროკრედიტ ბანკის“ მოგება, 2023 წელთან შედარებით, 11.4 მილიონი ლარით, 32.3 მილიონ ლარამდე შემცირდა.

ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც ფლობენ აქციების 5 პროცენტზე მეტს ასეთია: Zeitinger Invest GmbH (18.30%), KFW (13.20%), DOEN Partisipaties BV (12.50%), EBRD (8.70%), TIAA (8.60%). ბანკის გენერალური დირექტორია ალექსი მატუა.

„ბანკი ქართუ“

2024 წელს „ბანკი ქართუს“ აქტივების ღირებულება 2.02 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 71.4 მილიონი ლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, ხოლო კაპიტალის მოცულობა 35.7 მილიონი ლარით 446.7 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, ბანკის

საპროცენტო შემოსავალმა 109.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 12.2 მილიონი ლარით აღემატება 2023 წლის მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ბანკმა, წინა წელთან შედარებით, 2.1 მილიონი ლარით მეტი მოგება მიიღო, მთლიანობაში 35.7 მილიონი ლარი.

საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალიში მითითებულია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ 100%-ანი წილით, ხოლო ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალიში, რომლებიც აქციების 5 პროცენტზე მეტს ფლობენ – არის უტა ივანიშვილი 35%-იანი წილით. ბანკის გენერალური დირექტორია ზურაბ გელენიძე.

„ხალიკ ბანკი“

2024 წელს „ხალიკ ბანკის“ აქტივების ღირებულებამ 917.1 მილიონი ლარი შეადგინა, 11.4 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით, ხოლო კაპიტალის მოცულობა 255.5 მილიონი ლარი იყო, რაც 19.7 მილიონი ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში „ხალიკ ბანკის“ საპროცენტო შემოსავალმა 76.0 მილიონი ლარი შეადგინა, თითქმის 6 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. შარშანდელი წელი ბანკმა 20.5 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა, ეს მაჩვენებელი 313.5 ათასი ლარით აღემატება 2023 წელს მიღებულ მოგებას.

„ხალიკ ბანკის“ მფლობელია ყაზახეთის სახალხო ბანკი. ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5 პროცენტზე მეტს ასეთია: ტიმურ ყულიბაევი (35%), დინარა ყულიბაევა (35%), The Bank of New York (28%). ბანკის გენერალური დირექტორია ნიკოლოზ გეგუჩაძე.

„იშ ბანკი საქართველო“

შარშან ამ ბანკის აქტივების ღირებულება 20.2 მილიონი ლარით გაიზარდა და 489.9 მილიონი ლარი შეადგინა. კაპიტალის მოცულობა კი 146.0 მილიონი ლარი იყო, 12.1 მილიონი ლარით მეტი 2023 წლის მონაცემებთან შედარებით. „იშ ბანკ საქართველოს“ 2024 წლის საპროცენტო შემოსავალმა 38.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 1.7 მილიონი ლარით მეტია წინა წელს მიღებულ შემოსავალთან შედარებით. ამასთანავე 4.7 მილიონი ლარით ნაკლები მოგება მიიღო ბანკმა, მთლიანობაში – 12.0 მილიონი ლარი.

საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით ასეთია: სს თურქეთის იშ ბანკი – 100%.

ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით – თურქეთის იშ ბანკის საპენსიო ფონდი (38.66%), თურქეთის რესპუბლიკური სახალხო პარტია (28.09%). ბანკის გენერალური დირექტორია ჰუსეინ ემრე ილმაზი.

მაკა ხარაზიშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შედეგებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოზე ტარიფების ომმა

მოსალოდნელი საფრთხე თუ შანსი, რომლის გამოყენებასაც სწორი პოლიტიკა სჭირდება

ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მსოფლიო ეკონომიკა მნიშვნელოვნად შეაჯანჯღარა. დამკვიდრებული წესრიგი, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა, იცვლება. ყოველ შემთხვევაში, ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას ასეთი სურვილი აქვს და პირველი ნაბიჯებიც გადადგა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმპორტზე იმ ქვეყნებს დაუწესა ტარიფები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ამერიკის ბაზარზე ყიდნან. ამერიკის ბაზარზე მთავარი იმპორტიორი ჩინეთი გახლავთ. სწორედ, ჩინეთთან აქვს ყველაზე მეტი პრეტენზია დონალდ ტრამპს, რომელიც ცდილობს ჩინური პროდუქცია ისეთი მაღალი განაკვეთით დაბეგროს და იმდენად გააძვიროს, რომ ამერიკაში წარმოებას შეუწყოს ხელი. ტრამპმა ასევე ღია უკმაყოფილება არაერთხელ გამოხატა მეზობელი კანადის თუ მექსიკის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ. ზოგადად, აღმოჩნდა, რომ როცა ამერიკაში მრავალი ქვეყანა, მათ შორის იგივე კანადა თავისუფლად ყიდის საკუთარ პროდუქციას, ამერიკული პროდუქტისთვის ტარიფებია დაწესებული. ასე რომ, ტრამპის ადმინისტრაციის პოზიცია – „ჩვენ საპასუხო ტარიფებს ვაწესებთ“, – უსაფუძვლო არ არის.

2 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, სულ მცირე, 10%-იანი საბაზისო ტარიფი თითქმის ყველა ქვეყანას დაუწესა. ტრამპმა წარადგინა დიაგრამა, სახელწოდებით „ორმხრივი ტარიფები“, რომელშიც სხვა ქვეყნების მიერ აშშ-ის მიმართ დაწესებული ტარიფები შედარებულია აშშ-ის ტარიფებთან. ამასთან, დიაგრამაზე ჩანს, რომ აშშ დიდ ბრიტანეთს 10%-იან, ევროკავშირს კი 20%-იან ტარიფს დაუწესებს.

„ისინი გვახდევინებენ, ჩვენც ვახდევინებთ. როგორ შეიძლება, ვინმე ამაზე გაბრაზდეს“, – თქვა ტრამპმა.

ამერიკის ერთ-ერთი მიზანი შესაძლოა სულაც სრულიად თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა და ყოველგვარი ტარიფების გარეშე პროდუქციის გაყიდვა იყოს, თუმცა, ამას დრო და მოლაპარაკებები სჭირდება. მანამდე კი, ტარიფების ომში საქართველოც მოყვა, რომელიც მართალია ყველაზე დაბალგანაკვეთიან, მაგრამ მაინც 10%-იან ნიშნულში აღმოჩნდა. მსგავსი განაკვეთი შეეხო აგრეთვე მეზობელ სომხეთს და აზერბაიჯანსაც. ექსპერტების თქმით, ასეთ სიტუაციაში თითოეულ

ქვეყანას უნდება შანსი, ამერიკას ცალმხრივად მოუხსნას ყოველგვარი ტარიფები საქონელზე და თავისუფალ ვაჭრობაზე დაელაპარაკოს. სწორედ მსგავსად მოიქცა ისრაელი.

ტრამპის ადმინისტრაციამ მოკავშირე ისრაელს დანარჩენი ქვეყნების მსგავსად ტარიფები დაუწესა, თანაც არა ყველაზე დაბალი განაკვეთით, ისრაელისთვის 17%-იანი ნიშნული განუსაზღვრეს. ისრაელსა და აშშ-ს შორის ორმხრივი სავაჭრო მოცულობა 2024 წელს ჯამში 34 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ტრამპის ნაბიჯის შემდეგ ისრაელის ოფიციალურმა პირებმა შემოთქმა გამოხატეს.

„შოკში ვართ. დარწმუნებულები ვიყავით, რომ აშშ-დან იმპორტზე ტარიფების სრულად გაუქმება თავიდან აგვაცილებდა ამ ნაბიჯს. მაგრამ ასე არ მოხდა“, – დაწერა ისრაელური მედიის, i24News-ის კორესპონდენტმა ამიხაი სტანიმ.

თუმცა, სანამ ტრამპის გამოცხადებული ტარიფები ძალაში შევიდოდა, ისრაელმა ცალმხრივად გააუქმა ამერიკულ იმპორტზე გადასახადი.

„ამერიკულ საქონელზე ტარიფების გაუქმება კიდევ ერთი ნაბიჯია კონკურენტისთვის ბაზრის გასახსნელად, ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და ცხოვრების ხარჯების შემცირებისკენ. გარდა იმისა, რომ ამ ნაბიჯს ეკონომიკური სარგებელი მოაქვს როგორც ქვეყნისთვის, ისე მისი მოქალაქეებისთვის, ეს გადაწყვეტილება მოგვცემს საშუალებას კიდევ უფრო გავაძლიეროთ ალიანსი და კავშირები ისრაელსა და შეერთებულ შტატებს შორის“, – თქვა ისრაელის პრემიერმინისტრმა ბენიამინ ნეთანიიაჰუმ ისრაელის ეკონომიკის მინისტრ ნირ ბარკათთან და ფინანსთა მინისტრ ბეცალელ სმოტრიჩთან ერთად გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში. მომდევნო დღეებში ნეთანიიაჰუ ამერიკაშიც ჩავიდა და პრეზიდენტ ტრამპთან მოლაპარაკებებიც გამართა. რაზე შეთანხმდნენ და რა ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღეს, მაგის შეფასებას არ დავიწყებთ, ის კი ნათელია, შექმნილ სიტუაციაში როგორ იმოქმედა სწორად ისრაელის ხელისუფლებამ.

მას შემდეგ რაც ცალკე ევროკავშირის ლიდერებმა, ცალკე ჩინეთის თუ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა

ტარიფების ომი გააკრიტიკეს, ასევე რიგმა ქვეყნებმა მზადყოფნა გამოხატეს ტრამპის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებები გაემართათ, დონალდ ტრამპმა კიდევ ერთი მოულოდნელი გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა.

10 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ტრამპმა ქვეყნების უმეტესობისთვის ტარიფების ამოქმედება 90 დღით გადაავადა, თუმცა, ჩინეთთან დაძაბულ ურთიერთობას არ გაერიდა და ჩინურ პროდუქციაზე 125%-იანი ტარიფი დააწესა. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოგვიანებით ტრამპის ადმინისტრაციამ რიგ პროდუქციაზე გამონაკლისი დაუშვა და ზოგიერთ მათგანს არ შეეხება ახალი ტარიფები.

დავუბრუნდეთ საქართველოს. ჯერ კიდევ შარშანდლიდან, ამერიკა-საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა შეჩერებულია. საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ძალის წარმომადგენლების იმედი – დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან შევძლებთ ურთიერთობების გამოსწორებასო, ფუჭი გამოდგა. არც ტარიფების გამოცხადების შემდეგ უთქვამს რომელიმეს, ამერიკის ხელისუფლებასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გავმართავთ დიალოგს და იქნებ ტარიფები მოგვისხნასო. ამიტომაც, მივყევთ იმ რეალობას, რაშიც მოუწევთ საქართველოდან ექსპორტიორებს მოქმედება და ზოგადად, რა გავლენა ექნება ქართულ ეკონომიკაზე მიმდინარე სატარიფო ომს.

რას ვყიდით ამერიკაში?

საქართველოსა და აშშ-ს შორის 2024 წელს სავაჭრო ბრუნვამ \$2,21 მილიარდი შეადგინა. აქედან აშშ-დან საქართველოში იმპორტი \$2,08 მილიარდი იყო, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტი – მხოლოდ \$141 მილიონი.

ამერიკიდან საქართველოში შემოტანილი ყველაზე მსხვილი პროდუქცია მსუბუქი ავტომობილებია, ხოლო საქართველოდან აშშ-ში გატანილი – ფეროშენადნობები. 2024 წელს საქართველომ \$90 მილიონის ღირებულების ფეროშენადნობები გაიტანა აშშ-ში.

აშშ საქართველოსათვის სავაჭრო პარტნიორებში, 2024 წლის მონაცემებით, მესამე ადგილზეა, საექსპორტო პარტნიორებში კი მე-9 ადგილზე.

უფრო ზუსტად, თუ რა გააქვს საქართველოს აშშ-ში გასაყიდად, მითითებულია საექსპორტო პროდუქტების ათეულში:

1. ფეროშენადნობები – 90,2 მლნ აშშ დოლარი;
2. მიწები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან – 8,4 მლნ აშშ დოლარი;
3. საფრენი აპარატების ნაწილები – 7,2 მლნ აშშ დოლარი;
4. ყურძნის ნატურალური ღვინოები – 7,1 მლნ აშშ დოლარი;

5. წყალბადი, ინერტული აირები და სხვა არალითონები – 5,3 მლნ აშშ დოლარი;

6. ხილისა და ბოსტნეულის წვენი – 4,6 მლნ აშშ დოლარი;

7. ეთილის სპირტი არადენატურიებული, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები – 2,7 მლნ აშშ დოლარი;

8. ფანერა დაწებებული, პანელები ხის დაფანერებული და ანალოგიური მასალები შერეული მერქნისაგან – 1,8 მლნ აშშ დოლარი;

9. მინერალური და მტკნარი წყლები – 1,6 მლნ აშშ დოლარი;

10. სამშენებლო ნაწარმი ხისა – 1,1 მლნ აშშ დოლარი.

ამგვარად, დღევანდელი მოცემულობა ნიშნავს, რომ საქართველოდან ამერიკის ბაზარზე შეტანილ ჩამოთვლილ პროდუქტებს, რომლებიც გამონაკლისთა სიაში არ ხვდება, დამატებით 10%-იანი გადასახადი დაუწესდება, რაც პროდუქტს ამდენივე პროცენტით გააძვირებს. შესაბამისად, ყიდვის შემთხვევაში მყიდველებს მეტის გადახდა მოუწევთ.

პრობნოზი – ხელისუფლების პოზიცია

„ქართული ოცნების“ პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის მინისტრ ლევან დავითაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის სატარიფო გადასახადი საქართველოსაც შეეხო, საქართველო მაინც მეგობრული ქვეყნების რიგში ითვლება, რადგან 10%-იანი სატარიფო განაკვეთი დაბალია.

ლევან დავითაშვილმა „ლამის კურიერის“ ეთერში განაცხადა, რომ პროდუქტებზე, რომლებიც 10%-ით დაიბეგრება, მთლიანი დამატებითი ხარჯი, დაახლოებით 4 მილიონი დოლარი იქნება, რაც „ნულოვანია და არაფერს არ წარმოადგენს“.

მისივე თქმით, თუ აშშ-ის ახალი სატარიფო გადასახადები გრძელვადიანი მოცემულობა იქნა და ეს ინვესტორებმა დაინახეს, შესაძლოა საქართველოში დამატებითი ინვესტიციები შემოვიდეს.

„აშშ-თან ჩვენს სავაჭრო სტრუქტურას რომ შევხედოთ, დაახლოებით, საქართველოდან 150 მილიონ დოლარამდე პროდუქტის ექსპორტი ხორციელდება. აქედან დიდი ნაწილი ფეროშენადნობებზე მოდის – ეს 60%-ზე მეტია. ამ შემთხვევაში, ფეროშენადნობებს ტარიფები არ ეხება. აქედან გამომდინარე, აქ არც უპირატესობა გვექნება და არც დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორია.“

იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა პროდუქტები, რომლებიც 10%-ით დაიბეგრება, მთლიანი დამატებითი ხარჯი, დაახლოებით 4 მილიონი დოლარი იქნება, რაზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნულოვანია, არაფერს არ წარმოადგენს.

როგორც ზოგიერთი ეკონომისტი აღნიშნავს, გარკვეული პოზიტიური ეფექტის მიღების შანსი აქ

არის. მაგალითად, ის პროდუქტები, რომლებიც ჩვენგან ექსპორტირებული 10%-ის რეჟიმში იბეგრება, ასეთია ღვინო, შეიძლება უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს სხვა იმპორტულ ღვინოსთან მიმართებაში.

აშშ საკმაოდ დიდი რაოდენობით ყიდულობს ღვინოს ევროპიდან, ასევე ე.წ. ახალი სამყაროს ქვეყნებიდან და რა თქმა უნდა, 10%-იანი გადასახადი, არსებულ 4%-თან ერთად, ანუ ჯამში 14%-იანი გადასახადი სხვა ქვეყნების 30%-იან გადასახადებთან შედარებით უპირატესია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ეკონომიკურად წახალისოს იგივე ღვინის ექსპორტი აშშ-ში. თუ გრძელვადიანი მოცემულობა იქნა ასეთი და ეს დაინახეს ინვესტორებმა, შესაძლოა დამატებით ინვესტიციებს ველოდოთ საქართველოში“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

„ქართულ ღვინოზე სავაჭრო ტარიფების ამოქმედება თამაშის წესებს შმცვლის“

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მუხუზლა აცხადებს, რომ თუ აშშ-ში საქართველოსთვის საექსპორტო პროდუქციის ნაწილზე, მათ შორის ღვინოზე 10%-იანი ტარიფები ამოქმედდა, ეს თამაშის წესებს გარკვეულად შეცვლის. თუმცა, ის ექსპორტიორებისთვის მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას არ პროგნოზირებს და პირიქით, აცხადებს, რომ შესაძლოა ცვლილებამ დადებითადაც კი იმოქმედოს აშშ-ში ღვინის ექსპორტზე.

„ტარიფებმა შესაძლოა, დადებითადაც კი იმოქმედოს ღვინის ექსპორტზე. როგორც იცით, საქართველოს მიმართ ტარიფები მოაზრებული არის ყველაზე დაბალი, გარდა ამისა ქართული ღვინო, რომელიც მილიონ ლიტრამდე შედის ყოველწლიურად აშშ-ში, ისედაც ძვირია და დაახლოებით 5 დოლარი ღირს. შესაბამისად, აშშ-ში ქართული ღვინო არის დაფასებული, თუ გადავთვლით უხეშად, დახლზე 5 დოლარიანი ღვინო 20-25 დოლარი გამოდის. პლუსი არის ის, რომ ამ საფასო კატეგორიაში მომხმარებელი არც იმდენად მგრძობიარეა ფასის აწევაზე. ტარიფების ამოქმედების შემთხვევაში, ბუნებრივია აშშ-ში ქართული ღვინის ფასი გაიზრდება, მაგრამ საუბარია 1-2 დოლარზე. ამასთან, ჩვენი კონკურენტები უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იქნებიან“, – აღნიშნა ლევან მუხუზლამ.

მისივე თქმით, ტარიფების დაწესების შემთხვევაში, უფრო დიდი გავლენა მოსალოდნელია დაბალ საფასო სეგმენტში განთავსებულ ღვინოზე.

„ამ მხრივ, უფრო მგრძობიარეა დაბალფასიანი ღვინო. ჩვენ გვაქვს გეგმაში, რომ ქართული ღვინო ხელმისაწვდომი გახდეს ჩვეულებრივი ამერიკელისთვის და სუპერმარკეტში შევიდეთ. შესაძლოა, ამ კუთხით გარკვეული შეფერხებები იყოს. საბოლოო ჯამში არანაირად უარყოფითად ქართული ღვინისთვის ეს ტარიფები არ იმოქმედებს და შესაძლოა, ახალი შესაძლებლობებიც კი გააჩინოს“, – აღნიშნა ლევან მუხუზლამ.

ტარიფების ომმა ოქროს გაპირობას ხელი შეუწყო

„გალტ ენდ თაგარტის“ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ 2025 წლის I კვარტალში ოქროს ფასი 19.0%-ით გაიზარდა. ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ ძვირფასი ლითონი ახალი რეკორდების დამყარებას 2025 წელსაც განაგრძობს.

„ბოლო წლებში ცენტრალური ბანკები ოქროს ყიდულობენ, როგორც მათი რეზერვების დივერსიფიკაციის ინსტრუმენტს. მათი წლიური შესყიდვები ბოლო სამი წლის განმავლობაში მუდმივად 1,000 ტონას აღემატებოდა. მსოფლიო ოქროს კავშირის (WGC) თანახმად, ეს ტრენდი ჯერ არ დასრულებულა. მათი მონაცემებით, ცენტრალური ბანკები 2025 წელსაც განაგრძობენ შესყიდვებს. დამატებით, ტრამპის პოლიტიკა (რომელმაც შესაძლოა დოლარი შეასუსტოს) ახალი სტიმულია ბანკებისთვის, რომ დოლარის რეზერვების დივერსიფიკაცია ძვირფასი ლითონის გამოყენებით მოახდინონ. ოქროზე, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტზე მოთხოვნა იზრდება.

სატარიფო ომის ესკალაციის შესაძლებლობა უარყოფითად აისახება ინვესტორების განწყობაზე აქციების ბაზრების მიმართ, რადგან ბევრი კომპანია შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზარალდეს შესაბამისი რისკებით. აქედან გამომდინარე, ინვესტორები ამჯობინებენ ინვესტიციების გარკვეული ნაწილი შედარებით უსაფრთხო აქტივებში გადაიტანონ, როგორცაა ოქრო“, – წერია მიმოხილვაში.

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ ამ მომენტისთვის, რომ საქართველოდან ოქროს ექსპორტი რეკორდულია. 2024 წელს ექსპორტზე 104.7 მლნ დოლარის ქართული ოქრო გავიდა. რაც შეეხება იანვარ-თებერვალს, ექსპორტირებულია 480 კგ დაუმუშავებელი, ნახევრად დამუშავებული ან ფხვნილის სახით არსებული ოქრო, რომლის ღირებულებამაც 19.8 მლნ დოლარს გადააჭარბა. 2024 წლის იმავე პერიოდში კი საექსპორტო ბაზრებზე 14 მლნ დოლარზე მეტი ღირებულების 440 კგ ძვირფასი ლითონია გატანილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს პირველ ორ თვეში ოქროს უდიდესი ნაწილის ექსპორტი შვეიცარიაში განხორციელდა, მცირე ნაწილი კი თურქეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

ემსაპრტის მოსაზრება

ფინანსისტი ნიკოლოზ შურღაია მიიჩნევს, რომ გლობალურ სატარიფო ომს საქართველოს ეკონომიკაზე, შეიძლება პირდაპირი გავლენა ნაკლები ჰქონდეს, ვიდრე – ირიბი ნეგატიური ეფექტი.

ფინანსისტმა ორი მიმართულება გამოყო, რაზედაც მისი აზრით, სატარიფო ომი და მისგან გამომდინარე, სავარაუდო, გლობალური ეკონომიკური რეცესია ნეგატიურად აისახება.

1. გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორზე –

მსოფლიოში თუ ეკონომიკური რეცესია დაიწყო ან ეკონომიკის ზრდის ტემპი შემცირდა, ეს პირველ რიგში, ტურიზმის დანახარჯებს შეეხება. ამდენად, სავარაუდოა, რომ საქართველოს ტურიზმის შემოსავლები შემცირდება.

2. გავლენა ფულად გზავნილებზე – ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ფულს რიცხავენ აშშ-დან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, ამიტომ ბუნებრივია, თუ ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ეს აისახება ემიგრანტების შემოსავლებზე და შესაბამისად – საქართველოს ფულად გზავნილებზე.

შურღაიას თქმით, ასევე მოსალოდნელია, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტის ხარჯი შეგვიმცირდება, რადგან მსოფლიო ბაზარზე იაფდება. თუმცა, ჯერ პროგნოზები მაინც ნაადრევია.

რაც შეეხება ღვინის გაყიდვებს, შურღაიას თქმით, აშშ-ს თავისი ღვინის დიდი ინდუსტრია აქვს და არ არის მოსალოდნელი ქართული ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. მისი თქმით, „სავაჭრო ომი“ და არსებული ვითარება მსოფლიო ეკონომიკისთვის ნეგატიურია. რეცესიული პერიოდი მოსალოდნელი, რასაც ჩვენზეც ექნება გავლენა, ამიტომ ხელისუფლების

რიხით ქცევას და პოზიციას – „ყველაფერი კარგად არის“ – სჯობს, იფიქრონ რეალურ თავდაცვაზე“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტი დიდწილად ფეროშენადნობებისგან შედგება, რომლებიც ტარიფებისგან განთავისუფლებულია. იმავდროულად, საქართველოს სავაჭრო ბალანსი აშშ-სთან ისტორიულად თითქმის ყოველთვის უარყოფითი იყობოლო წლებში კი ჯგერობილების მზარდი იმპორტის ფონზე, მნიშვნელოვნად გაუარესდა. ექსპორტების ვარაუდით, საერთო ჯამში, მეორადი ეფექტებისგან განსხვავებით, პირდაპირი ეფექტის მოსალოდნელი გავლენა უმნიშვნელოა. ისიც გასათვალისწინებელია, 90 დღით გადავადებული ტარიფები ამოქმედდება თუ არა, ან თუ ამოქმედდება, რა ფორმით. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებული სატარიფო ომი გარკვეულ შესაძლებლობებსაც გააჩენდა საქართველოსთვის, ქვეყანას რომ ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს, ვისაც ამერიკის ადმინისტრაცია ინდივიდუალურ სანქციებს კი არ უწევს და ქვეყანას სტრატეგიულ პარტნიორობას უჩერებს, არამედ ელაპარაკება და დემოკრატიის და ეკონომიკის განვითარებაში ხელმეწყობას სთავაზობს...

თემურ იობაშვილი

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფომ“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

ინფლაციამ ზრდა დაიწყო და მიზნობრივ მაჩვენებელს გადააჭარბა

როგორია ეკონომიკის ზრდის პროგნოზი საქართველოში

სტატისტიკის სამსახურის გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, მარტში ინფლაციის დონე გაიზარდა და თებერვალთან შედარებით 1.1%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3.5% შეადგინა.

ბოლო თვეებში ინფლაციამ ზრდა დაიწყო და როგორც უკვე ვხედავთ, მიზნობრივ მაჩვენებელს – 3%-ს გადააჭარბა. ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ ფასების ინდექსი წლის მეორე ნახევარში 3%-ზე მეტი იქნება. გამომდინარე აქედან, დიდი ალბათობით, მონეტარული პოლიტიკა მთელი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება. ყოველ შემთხვევაში, შერბილების პერსპექტივა არ ჩანს.

საქართველოს ეროვნული ბანკი პროგნოზირებს, რომ 2025 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის დონე მიზნობრივს დროებით გადააჭარბებს, თუმცა წლის ჭრილში მაინც 3%-ის მიდამოში შენარჩუნდება.

სებ-ის განმარტებით, ინფლაციის ზომიერი მატება მეტწილად სურსათის უკავშირდება. კერძოდ, გასულ თვეს პურის გაძვირებამ სურსათის ინფლაცია გაზარდა. ასევე საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი საკვები სურსათის ფასები ადგილობრივ ბაზარს გარკვეულწილად გადმოეცა. საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.4% შეადგინა.

„მარტში, გასულ თვესთან შედარებით, სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი პურის 7.2%-იანი გაძვირება იყო. ამან თვის ინფლაციაზე 0.3 პროცენტის გაზრდა იქონია. აღსანიშნავია კარტოფილის და შოკოლადის გაძვირება, რომელთა ჯამური გაზრდა ინფლაციაზე 0.2 პროცენტული პუნქტი იყო. წლიურ ჭრილში, როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის 6.2%-იანი გაძვირება მოქმედებდა, რამაც ინფლაცია 2.0 პროცენტული პუნქტით გაზარდა. სურსათიდან გამოსარჩევი ზეთის, პურის და მწვანის გაძვირება იყო (ჯამური გაზრდა ინფლაციაზე 0.8 პროცენტული პუნქტი). ინფლაციის შემცირებაზე მოქმედი პროდუქტებიდან გამოსარჩევი ინტერნეტის (-0.4 პპ) და ვაშლის (-0.1 პპ) გაიაფებაა“, – ნათქვამია ეროვნული ბანკის ანგარიშში.

რაც შეეხება ადგილობრივ ინფლაციას, როგორც ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშია აღნიშნული, ადგილობრივად და შერეულად ნაწარმები პროდუქტების ინფლაციამ გასულ თვესთან შედარებით წლიურად მოიმატა და, შესაბამისად, 4.0% და 5.7% შეადგინა.

მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ინფლაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, სტაბილურია და მარტში 2.4%-ს გაუტოლდა. იმპორტირებული

პროდუქტების ინფლაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და კვლავ დაბალ დონეზე – 0.2%-ზე ნარჩუნდება.

ინფლაციის ზრდის მოლოდინია „თიბისი კაპიტალშიც“. როგორც ანალიტიკოსმა და მთავარმა ეკონომისტმა ოთარ ნადარაიამ განაცხადა, ინფლაცია 3%-იან მაჩვენებელს გადააჭარბებს.

„ინფლაციის ზრდაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის საბაზო ეფექტი და სხვა ბევრი საკითხი. რაც შეეხება პროგნოზს, ჩვენც ანალოგიური გვაქვს, რომ ინფლაცია მიზნობრივ, 3%-იან მაჩვენებელს მცირედით გადააჭარბებს.

რაც შეეხება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ასეთი პროგნოზი გვაქვს, რომ დაახლოებით იმავე დონეზე შენარჩუნდება, რაც დღესაა, ანუ 8%-ზე. ინფლაციის ზრდა არ არის მონეტარული პოლიტიკის ერთადერთი არგუმენტი, არამედ მას სხვა გარემოებებიც განაპირობებს, მათ შორის, მაგალითად, ისიც მნიშვნელოვანია, თუ რა განაკვეთია აშშ-ში. ჩვენ თუ ვამბობთ, რომ საქართველოში მონეტარული პოლიტიკის ნეიტრალური განაკვეთი არის დაახლოებით 7%-თან ახლოს და სიტყვაზე, აშშ-ში არ იქნება ნეიტრალური განაკვეთი, მაშინ, ჩვენც გაგვიჭირდება ამ ნიშნულზე ჩამოსვლა. ეს ასეა ყველა ქვეყანაში“, – განუცხადა „რეზონანსს“ ოთარ ნადარაიამ.

ბოლო რამდენიმე თვეა ინფლაცია იზრდება, თუმცა მანამდე არსებული ტენდენცია საკმაოდ დადებითი იყო. მისი მაჩვენებელი ახლა მიზნობრივზე დაბალია, მაგრამ ყველა ადასტურებს, რომ მოსალოდნელია მატება. რისკზე და მიზეზებზე ისაუბრა ეკონომიკის დოქტორმა ირაკლი მაკალათიამ და მანაც ხაზი გაუსვა, რომ ასეთ პირობებში ნაკლებად სავარაუდოა მონეტარული პოლიტიკის შერბილება.

„ხაზს გაუუსვამ ერთ მომენტს, რის გამოც ინფლაცია იზრდება. ეს არის ის, რომ ეროვნული ბანკის მიერ მთავრობა ზრდის ფულის მასას. პროცესი შემდეგნაირია – გვაქვს საგარეო და შიდა ვალი. მთავრობამ დაგეგმა ბიუჯეტი, რომელიც საკმარისი არ აღმოჩნდება და კიდევ ახალი მიზნობრიობა წარმოექმნება ხელისუფლებას, ამიტომ იღებს ვალს (საგარეო ან შიდა). პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ახალი საგარეო ვალის აღების შესაძლებლობა მინიმუმამდეა შემცირებული, განსაკუთრებით კი დასავლეთიდან, ორგანიზაციები იქნება თუ ქვეყნები. რჩება შიდა ვალი. მისი ალება ხდება შემდეგნაირად – ფინანსთა სამინისტრო უშვებს ფასიან ქალაქებს, ობლიგაციებს და სავალუტო ბაზარზე გააქვს, სადაც, ძირითადად, აქტიურობენ ბანკები, რომლებიც იძენენ ამ ობლიგაციებს. მიღებული თანხით ბიუჯეტის შევსება ხდება, ბანკებს კი უჩნდებათ ლიკვიდობის პრობლემა.

ბანკები ობლიგაციების პროცენტულად შემოსავალს კი იღებენ, მაგრამ იმ კონკრეტულ მომენტში ექმნებათ

ლიკვიდობის პრობლემა. ამ პერიოდში კი, როდესაც მომხმარებელი მივა და მოითხოვს ახალ სესხს, პირობითად 100 ათასი და ბანკს არ გააჩნია, რადგან ფული მიმართულია ობლიგაციების შესყიდვისთვის. იგი იღებს რეფინანსირების სესხს სებ-ისგან და 100 ათას ლარს აძლევს მომხმარებელს, რომელიც აქამდე არ არსებობდა ეკონომიკაში. ასე ხდება ფულის მასის ზრდა, რაც იწვევს ინფლაციურ წნეხს, რადგან, როდესაც უფრო მეტი ფული ჩნდება ბაზარზე, ვიდრე ეს ეკონომიკას სჭირდება, სტიმულირდება ინფლაცია და ლარის გაუფასურების რისკიც მატულობს.

ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლის გარკვეულ მუხლებში უკვე არის შემცირება და შესაძლებელია, რომ წლის განმავლობაში უფრო ნაკლები შევიდეს ბიუჯეტში გადასახადებიდან, ვიდრე იყო დაგეგმილი. ამის შესაბამისად, უფრო მეტს ისესხებს მთავრობა, რაც გამოიწვევს დამატებით წნეხს და ფულის მასის გაზრდას, რაც ინფლაციაზე იმოქმედებს. ამიტომ გაჩნდა მოლოდინი, რომ ინფლაციამ მიზნობრივ მაჩვენებელსაც გადააჭარბოს“ – განუცხადა „რეზონანსს“ ირაკლი მაკალათიამ.

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 12 მარტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 8%-ზე დატოვა. მარტისთვის ინფლაციის მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ კი, მონეტარული პოლიტიკის შერბილების მოლოდინი აღარც არსებობს. შესაბამისად, ლარში გაცემული სესხების ამ ეტაპზე გაიაფების იმედიც არ უნდა ჰქონდეთ მსესხებლებს.

თეზაურუსში ეკონომიკის ზრდის ტემპი შემცირდა, თუმცა პროგნოზი გაუმჯობესდა

31 მარტს ცნობილი გახდა თებერვალში ეკონომიკის ზრდის ტემპის მონაცემები. საქსტატის ინფორმაციით, თებერვალში მშპ 7.75-ით გაიზარდა. თუ გავიხსენებთ იანვრის მაჩვენებლებს, მაშინ სტატისტიკის სამსახურმა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 11.1% გამოაქვეყნა. ხელისუფლების ოპონენტებს აღნიშნული მაჩვენებელი არადამაჯერებლად მიაჩნდათ და საქსტატისგან და შემოსავლების სამსახურისგან მეტ დაზუსტებას ითხოვდნენ, რაზეც საქსტატმა და შემოსავლების სამსახურმა განაცხადეს, რომ 11%-იან ზრდაში გასაკვირი არაფერიაო. ამჟამად კი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ არის ზრდის ტემპი შემცირებული.

თებერვლის ბოლოს ცნობილი გახდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროგნოზი, რომლის შეფასებითაც წელს საქართველოში 6%-იან ეკონომიკურ ზრდას ელის, რაც სექტემბერში გამოქვეყნებულ წინა პროგნოზთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით მეტია. 2026 წლისთვის კი 5%-იანი მატება არის ნავარაუდევია.

„ეკონომიკის ზრდას ხელს უწყობდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მაღალი ზრდა, ასევე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება და ვაჭრობა, ხოლო ენერჯეტიკის სექტორში

კი შენელება იყო. ტურიზმის სექტორმა 2024 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ქვეყანაში 7.4 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი ჩამოვიდა.

მიუხედავად ომთან დაკავშირებული ფინანსური ნაკადებისა და რუსული მიგრაციის შესუსტებისა, შიდა მოხმარება კვლავ ძლიერად შენარჩუნდა, რასაც საკრედიტო ზრდა და ხელფასების მატება უწყობდა ხელს“ – აღნიშნული იყო „იბარდის“ მიმოხილვაში და ასევე ყურადღება იყო გამახვილებული, რომ საქართველოში ინფლაცია მიზნობრივთან შედარებით დაბალ დონეზე რჩებოდა. თუმცა, როგორც ვხედავთ, ამ მხრივ მდგომარეობა უარესდება.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) პროგნოზი: 2025 წელს კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური ზრდა 5.4%-მდე შენელდება, 2024 წელს არსებული 5.7%-იანი ზრდის შემდეგ.

როგორც ADB-ის განახლებულ ეკონომიკურ მიმოხილვაშია ნათქვამი, 2026 წელს რეგიონის ზრდის ტემპის შენელება 5%-მდეა მოსალოდნელი, რაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შეფასებით, სუსტი საგარეო მოთხოვნითაა განპირობებული.

ADB-ის პროგნოზით, სომხეთში წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი 5%-მდე შენელდება, რაც კერძო მოხმარების შესუსტებას უკავშირდება. მაგალითად, ყირგიზეთის შემთხვევაში კი საფინანსო ორგანიზაცია ზრდის დაჩქარებას ელის, რაც ქვეყანაში მრეწველობის და მომსახურების სექტორების მაღალი ზრდით იქნება განპირობებული.

საქართველოს შემთხვევაში კი როგორც ცნობილია, აზიის განვითარების ბანკი 2025 წელს 6%-იან ეკონომიკურ ზრდას ელის, 2026 წელს კი ზრდის ტემპის 5%-მდე შენელებას ვარაუდობს, რაც მომსახურებისა და ფულადი გზავნილების შემცირებას უკავშირდება.

ADB-ის პროგნოზი კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებისთვის 2025 წლისთვის ასეთია:

- სომხეთი 5%;
- აზერბაიჯანი 3.4%;
- საქართველო 6%;
- ყაზახეთი 4.9%;
- ყირგიზეთი 8.5%;
- ტაჯიკეთი 7.4%;
- თურქმენეთი 6.5%;
- უზბეკეთი 6.6%.

აღნიშნული ეკონომიკური ზრდის პროგნოზები 2 აპრილამდე, აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ ახალი ტარიფების გამოცხადებამდე გაკეთდა, ამიტომ საბაზისო პროგნოზებში ასახულია მხოლოდ 2 აპრილამდე არსებული ტარიფები. თუმცა, ანგარიში ახალიზებს მაღალი ტარიფების შესაძლო გავლენას აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონის ეკონომიკურ ზრდაზე.

„ქართული ოცნების“ პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პროგნოზით, 2025 წელი შესაძლოა, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით დასრულდეს.

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“



ცოდნა წარმატების სანინდარია!

- ფინანსური დიაგნოსტიკა
- ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და მართვის პროცესების მონესრიგება
- ფინანსური მენეჯერის აუტოსორსი
- გაზარდეთ თქვენი კომპანიის მომგებიანობა ჩვენი დახმარებით

დაგვიკავშირდით: +995 (579) 30 71 71

ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ ეკონომიკური ზრდის მონაცემები აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს წელი „საკმაოდ დინამიკურად წარიმართება“.

„ჩვენ ეკონომიკური ზრდა 6%-ზე გვაქვს დაგეგმილი, თუმცა, მიმდინარე წლის ორ თვეში საკმაოდ მაღალი ზრდა გვქონდა და აქედან გამომდინარე, ჩვენი მოლოდინია, რომ შესაძლოა, ეს წელი დაგეგმილზე უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდით დავამთავროთ. რა თქმა უნდა, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ მთავრობის ეკონომიკური გუნდი ძალისხმევას არ ზოგავს, რომ მაქსიმალურად მაღალი ეკონომიკური ზრდა გვქონდეს და ამავე დროს, ეკონომიკური ზრდა ინკლუზიური იყოს“, – აღნიშნა პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა.

მსოფლიოში მიმდინარე ომებისა და გაურკვევლობების ფონზე, ექსპერტების ნაწილს ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთება უჭირთ. ეკონომისტი სოსო ბერიკაშვილი თვლის, რომ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენას ტრამპის ტარიფების ომი და რეგიონში მიმდინარე პროცესები მოახდენს.

„ბევრი წელია ტოტალურ და გლობალურ გაურკვევლობაზე ვსაუბრობთ და ამ გაურკვევლობაში რთულია პროგნოზების გაკეთება. გასულ წლებშიც იმდენი რაღაც მოხდა, რომ პროგნოზები ხშირად ვერ მართლდება. ტარიფები ალბათ ყველა ქვეყანას შეეხება, აზიას მით უმეტეს, ოღონდ ეს სატარიფო პოლიტიკა როგორ გავრძელდება და რაზე შეთანხმდებიან, არ ვიცით, ამის გარეშეც ბევრი გაურკვევლობაა. ჩვენთან ომი ისევ ახდენს გავლენას, თუმცა კლების ტენდენცია არის. მართალია, მაღალი ზრდა გვქონდა წლის მეორე თვეშიც, მაგრამ მაინც კლების ტენდენციაა და 6%-იანი ზრდაც ცოტა ოპტიმისტურად მეჩვენება იმ არასტაბილურობის ფონზე, რაც საქართველოშია.

ჩვენ ხომ ეს ზრდა რაც გვქონდა, ეკონომიკური რეფორმებით არ მიგვიღწევია, წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ის იგულისხმებოდა, რომ ფართოდ გავუღეთ კარი რუსებს. წაგებული ომის პირობებში იგივე მაჩვენებლები ჰქონდა სომხეთს.

ომის ეფექტის რაღაც ნაწილი ისევ არის საქმეში. რიცხვებში გამოხატული ეკონომიკური ზრდა შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ეს ზრდა გამოწვეული იყოს არასწორი ან შავი ფულის შემოსვლით, ან რუსეთიდან, ჩინეთიდან ან

თუნდაც არაბული ქვეყნებიდანაც. ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანია, რა იწვევს ამ ზრდას ჩვენ ვიცით, რომ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა მოძრაობებს დიდი შედეგი აქვს, არარეალურმა მოვლენებმაც კი შეიძლება ეს ზრდა გამოიწვიოს, მაგალითად ნახატების შემოტანამ. ბიძინა ივანიშვილმა რომ ნახატები შემოიტანა საქართველოში, მაგის გამო ჩვენი ცხოვრება გაუმჯობესდა? არა. ეკონომიკური ზრდა რატომ გვჭირდება? რომ კეთილდღეობა იზრდებოდეს, თუმცა თანამედროვე სამყაროში და არა მხოლოდ საქართველოში ყოველთვის ეგრე არ ხდება, დრო სჭირდება ხოლმე. ჩვენც მაღალი ზრდა გვქონდა და ვცხოვრობთ უკეთესად, ვიდრე 3 წლის წინ? ამაზეა საუბარი“, – აცხადებს ბერიკაშვილი.

ADB-ის მიმოხილვის მიხედვითვე, 2025 წელს ინფლაციის 4.0%-მდე გაზრდაა მოსალოდნელი, ხოლო 2026 წელს, ეკონომიკური ზრდის შენელებასთან ერთად, ინფლაცია ცენტრალური ბანკის 3.0%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს მიუახლოვდება.

საქსტატის მონაცემებით კი, გასულ თვეში ინფლაცია ბოლო ორი წლის მაქსიმუმამდე, 3.5%-მდე გაიზარდა. შედარებისთვის თებერვალში წლიური ინფლაცია 2.4%, იანვარში 2% იყო. ფასების წლიური ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენა სურსათის ჯგუფში ფასების 6.6%-ითმატებამ განაპირობა.

„ბოლო 2 წელში ძალიან დაბალი ინფლაცია გვქონდა ბევრი მიზეზის გამო. იმას რომ 3%-იან სამიზნე ნიშნულზე შენარჩუნდეს, მაგას ეხმარება ნავთობზე ფასების შემცირება, ანუ ნავთობი რომ არ გაიაფებულყო უფრო მაღალი იქნებოდა. შემდეგ თვეებშიც ალბათ გაიზრდება, თუმცა ამ ეტაპზე რა ინფორმაციაც გვაქვს, კატასტროფულ ზრდას არ ველოთ, ალბათ იქნება 4%-ის ფარგლებში“, – მიიჩნევს ეკონომისტი.

დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ფონზე მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობა როგორ წარიმართება, მათ შორის, სატარიფო ომები რა განვითარებას ჰპოვებს. საქართველოში ინფლაციაზეც და ეკონომიკის ზრდის ტემპზეც საერთაშორისო მდგომარეობას ნამდვილად აქვს მნიშვნელოვანი გავლენა.

თემურ იობაშვილი

„რძის სკანდალი“ საქართველოში

როგორია რძის მწარმოებელი კომპანიების ფინანსური მონაცემები

2025 წლის აპრილი საქართველოში არსებულ რძის მწარმოებელ და გადამამუშავებელ კომპანიებს ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ. ერთ დღეს საქართველოს მოსახლეობამ გაიგო, რომ პირუტყვის საკვებში ქათმის ნაკელს იყენებდნენ და „სკინტლიანი რძის“ სკანდალი მთელ ქვეყანას მოედო. მეორე დღეს კი ხალხს აცნობეს, რომ სარეალიზაციოდ გამოტანილ რძის რამდენიმე სახეობაში ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერება აფლატოქსინი აღმოაჩინეს. ამ ამბების შემდეგ ქართული რძის რეალიზაცია თითქმის გაჩერდა, კომპანიებმა კი სავარაუდოდ სერიოზული ზარალი მიიღეს.

31 მარტს „რადიო თავისუფლებამ“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც კომპანია „ჩირინასა“ („ბიუ-ბიუ“) და კომპანია „ყვარლის ბაგას“ სასამართლო დავის ამბავი ეწერა. კერძოდ, 2018-19 წლებში „ყვარლის ბაგამ“ „ჩირინასგან“ პირუტყვის საკვებისთვის ქათმის ნაკელი იყიდა, რომელშიც „ყვარლის ბაგას“ მტკიცებით ანტიბიოტიკი აღმოჩნდა, რის გამოც კომპანიას 200-მდე ძროხა მოუკვდა, დიდი რაოდენობით რძე კი გადასაღვრელი გაუხდა. თავის მხრივ, „ჩირინა“ ამტკიცებს, რომ მისი ქათმების ნაკელში ანტიბიოტიკი არ ყოფილა და არც ის იცოდნენ, რომ „ყვარლის ბაგა“ მას პირუტყვის საკვებად იყენებდა. საბოლოოდ, სასამართლომ დამნაშავედ „ჩირინა“ ცნო. თუმცა ყველაზე მეტად ის კომპანიები დაზარალდნენ, რომლებიც რძეს „ყვარლის ბაგისგან“ იღებდნენ. ამის მერე, რძის გადამამუშავებელი კომპანიები, მთელი დღე ცდილობდნენ იმის მტკიცებას, რომ ეს დავა 2018 წლის ამბავს ეხებოდა, 2019 წლის შემდეგ კომპანია „ყვარლის ბაგას“ ქათმის ნაკელი პირუტყვის საკვების დანამატად აღარ გამოუყენებია, ხოლო 2023 წლიდან სახელმწიფომ საერთოდ აკრძალა ნაკელის ამ მიზნით გამოყენება. კომპანიები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოში რძის პროდუქტებზე ხარისხის მკაცრი კონტროლი არსებობს და დაზარალებული რძე სარეალიზაციოდ არ გასულა. თუმცა, მესიჯი – „სკინტლიანი რძეს“ გვასმევენო, ხალხში ისე სწრაფად გავრცელდა, რომ ამან ქართული რძის პროდუქტების რეალიზაცია ფაქტობრივად გააჩერა.

მოსახლეობას „სკინტლიანი რძის“ „სტრესი“ არ ჰქონდა გადატანილი, რომ მეორე დღეს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) კიდევ უფრო შემამოთხლებელი ინფორმაცია გაავრცელა. კერძოდ, „სოფლის ნობათის“ აზერბაიჯანიდან იმპორტირებული რძის ხუთ ნიმუშში აღმოჩენილი იყო აფლატოქსინის შემცველობის, საქართველოში არსებულს სტანდარტზე უფრო მაღალი ნორმა 0,21-დან 0,32-მდე ოდენობით. საქართველოში რძეში აფლატოქსინის შემცველობის უმკაცრესი სტანდარტია დადგენილი (ისევე როგორც

ევროკავშირის ქვეყნებში), რაც გულისხმობს 0,05 მიკროგრამს ლიტრში. აფლატოქსინი წარმოიქმნება ობის სოკოსგან. აფლატოქსინი 1-ით დაბინძურებული საკვები ხდება ცხოველის ორგანიზმში, საიდანაც გადადის რძეში და გარდაიქმნება 1 აფლატოქსინად, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ასეთი რძე საქართველოში თებერვლიდან იყიდებოდა და ვადა აკვისტომდე ჰქონდა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განკარგულება გასცა, რომ „სოფლის ნობათის“ კონკრეტული პარტია, რომელშიც აფლატოქსინი აღმოჩნდა, სარეალიზაციოდ დახლებიდან გაეტანათ. ახლა ექიმებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ აფლატოქსინის ეს დოზა არის ძალიან დაბალი და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის, ზოგიერთ ქვეყანაში უფრო მაღალი ნორმაც არსებობს. თუმცა, ბუნებრივია ასეთმა ფაქტებმა მომხმარებელში კიდევ უფრო დიდი შიში და შფოთვა გამოიწვია. ზოგიერთი კომპანიის შეფასებით, ქართული რძის პროდუქტების რეალიზაცია, ფაქტობრივად, განუღდა.

ამ ამბების შემდეგ, სურსათის ეროვნული სააგენტოში განაცხადეს, რომ იმპორტირებული რძისა და რძის პროდუქტების კონტროლს კიდევ უფრო გაამკაცრეს. კონტროლი გამკაცრდება საზღვრებზეც. კერძოდ, სეს-ის ინფორმაციით, სპეციალისტები ყველა იმპორტირებული პროდუქტის ნიმუშების აღებენ და ლაბორატორიაში შეამოწმებენ, რათა დადგინდეს კონკრეტულ პროდუქტი აკმაყოფილებს თუ არა ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს. ასევე სურსათის ეროვნულ სააგენტოში განმარტეს, რომ რძის პროდუქტები საქართველოში ხარისხის მკაცრ კონტროლს გადის და მათი მიღება მოსახლეობისთვის უსაფრთხოა, თუმცა ამ ყველაფრის დავიწყება, გადახარშვა და მომხმარებლის ქართული რძის პროდუქტების მიმართ ისევე შემობრუნება ძალიან რთული იქნება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს 811.5 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია რეგისტრირებული, ამ მონაცემებში შედის როგორც მერძეული, ისე სახორცე პირუტყვი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სულალობის მაჩვენებელი მცირდება. რაც შეეხება რძის წარმოებას, მარშან ფერმერებმა 570.7 მილიონი ლიტრი რძე აწარმოვეს. მეცხოველეობის სულალობრივი მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად რძის წარმოების სტატისტიკა თითქმის არ იცვლება, ამას ფერმერები იმით ხსნიან, რომ საქართველოში მაღალპროდუქტიული პირუტყვი შემოიყვანეს, რომლებიც უფრო მეტ რძეს იძლევიან. საქართველოში ყველაზე დიდი ფერმა „ყვარლის ბაგა“, ასევე რამდენიმე მსხვილი რძის გადამამუშავებელი საწარმო არსებობს. უფრო მეტად კი მესამე და მეოთხე ზომითი კატეგორიის რძის მწარმოებელი კომპანიებია

რეგისტრირებული.

რა გავლენა მოახდინა „რძის სკანდალმა“ რძის მწარმოებელი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე, 2025 წლის ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა მანამდე შორია (ფინანსური ანგარიშგებები ქვეყნდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე). ჩვენ დავინტერესდით, რა შემოსავლები და მოგება ჰქონდათ საქართველოში რძის მწარმოებელ და გადამამუშავებელ კომპანიებს გასულ წლებში. აღსანიშნავია, რომ reportal.ge-ზე რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო კომპანიის, მათ შორის შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ (ს/ნ 204546553), რომელიც „სოფლის ნობათით“ ბრენდირებულ პროდუქციას უშვებს, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება ვერ აღმოვაჩინეთ (2021 და 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი აქვს).

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ (ს/ნ 206052206):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „ფი-ქეი-ეფ ჯორჯიამ“ ჩაატარა. შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ 1998 წლის 20 იანვარს დაფუძნდა. 2020 წლის დასაწყისში კომპანიას ფლობდა ორი არარეზიდენტი იურიდიული პირი: ბი ეს ეი ინთერნეიშენალ (ბელგია) – 85% და კორპორაცია „სქივიჟენ ელ თი დი (მარშალის კუნძულები) – 15%. 2020 წლის მაისში ბი ეს ეი ინთერნეიშენალმა გამოისყიდა 15%-იანი წილი სქივიჟენისგან და გახდა 100%-იანი წილის მფლობელი. კომპანიის მესაკუთრეები არიან საფრანგეთის მოქალაქეები. აღნიშნული თარიღიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე კომპანიის მფლობელი არ შეცვლილა. „სანტე ჯი ემ თი“ საქართველოს ბაზარზე არსებული რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელი უმსხვილესი კომპანიაა. იგი აწარმოებს და საქართველოს მასშტაბით ყიდის მაწონს, რძეს, ხაჭოს, ყველს და სხვა სახის რძის ნაწარმს.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულება 125.5 მილიონ ლარს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 20,2 მილიონი ლარით მეტია 2022 წლის მონაცემებზე. ამ პერიოდისთვის კაპიტალის მოცულობა 107.5 მილიონი ლარი იყო, 12.8 მილიონი ლარით მეტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ 99.9 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, 6 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით. 2023 წელი კომპანიამ 13.4 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა, რაც 10.6 მილიონი ლარით მეტია 2022 წელთან შედარებით.

დოკუმენტის მიხედვით, კომპანიაში ამჟამად 477-მდე ადამიანია დასაქმებული. ასევე არაპირდაპირი გზით რეგიონულ სადისტრიბუციო ბაზებსა და ნედლი რძის შეგროვების ნაწილში სტაბილურ შემოსავალს იღებს დამატებით დაახლოებით 2200 ოჯახი მთელი ქვეყნის

მასშტაბით. კომპანია ფლობს 6 რძის მიმღებ პუნქტს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ყოველწლიურად, დაახლოებით, 12 000 000 ლიტრ რძეს იბარებს და ამუშავებს.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ (ს/ნ 404898973):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯიამ“ ჩაატარა. კომპანია დარეგისტრირდა 2011 წლის 23 მაისს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ბელგიაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ბი ეს ეი ინტერნეიშენალი“. ამავე კომპანიის საკუთრებაშია კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტი“. კომპანია ახორციელებს რძისა და რძის პროდუქტების დისტრიბუციას.

2023 წელს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ 71.2 მილიონი ლარი შეადგინა, 3.6 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში კაპიტალის მოცულობამ 25.9 მილიონი ლარი იყო, 0.2 მილიონი ლარით ნაკლები, ვიდრე 2022 წელს.

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ 260.4 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, 44.7 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით. 2023 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ 8.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 0.8 მილიონი ლარით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს.

დღეისთვის „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს შექმნილი საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი, სადაც პირდაპირი გაყიდვების გზით ხდება მზა პროდუქციის განაწილება მთელი საქართველოს მასშტაბით. „ლაქტალის ჯგუფი“ მოიცავს მსხვილ კონტინენტალურ ბაზრებს მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს და აზიას. დოკუმენტის მიხედვით, „ლაქტალის ჯგუფს“ აქვს 192 მწარმოებელი ქარხანა და 33 კომერციული ოფისი საფრანგეთსა და სხვა დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებში. „ლაქტალის ჯგუფში“ დასაქმებულია 70,000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 45,000 – საფრანგეთის ფარგლების გარეთ.

„ყვარლის ბაგა“ (ს/ნ 441554051):

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი კომპანია „ფინანსური მართვის ჯგუფმა“ ჩაატარა. შპს „ყვარლის ბაგა“ 2010 წლის 17 მარტს შეიქმნა. მისი დამფუძნებელი და 100 პროცენტის წილის მფლობელი არის ლამა პაპაშვილი. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რძის მოპოვება და რეალიზაცია ადგილობრივ რძის პროდუქტებით მოვაჭრე საწარმოებთან. ორგანიზაცია ფლობს ყვარლის რაიონში მსხვილფეხა პირუტყვის ნახირს და საწველ ტერიტორიას. ასევე ახორციელებს საკუთრებაში არსებული მიწების ხვნა-თესვას და პირუტყვის საკვები ბიოლოგიური აქტივების მოპოვებას, რომელიც არ არის გამოყენებული სარეალიზაციოდ და გამოიყენება პირუტყვის საკვებად.

2023 წელს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ 105.8 მილიონი ლარი შეადგინა, 13.3 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი 57.2 მილიონ ლარი იყო, 5.6 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს.

2023 წელს „ყვარლის ბაგამ“, წინა წელთან შედარებით შემოსავალი 2.7 მილიონი ლარით 23.9 მილიონ ლარამდე გაზარდა. თუმცა, საანგარიშო პერიოდში კომპანიის წმინდა მოგება 4.8 მილიონი ლარით 4.3 მილიონ ლარამდე შემცირდა.

დოკუმენტის მიხედვით, 2017 წელიდან მოყოლებული კომპანია წარმოებული რძის რაოდენობას ყოველწლიურად ზრდიდა. ასევე 2021 წელს, კომპანია, 261 სული ძროხა იყიდა, რომელშიც 1.9 მილიონი ლარი გადაიხადა. 2022 წელს დამატებით, 331 სული პირუტყვი შეიძინა, 2.3 მილიონ ლარად. 2023 წელს 587 მაკე ძროხა იყიდა, რომლის ჯამურმა ინვესტიციამ 4,5 მილიონი ლარი შეადგინა.

შპს „ჩვენი ფერმერი“ (ს/ნ 200265220):

კომპანია დაარსდა 2008 წელს და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს რძის პროდუქტებს. შპს „ჩვენი ფერმერის“ 100%-ის წილის მფლობელი არის სააქციო საზოგადოება „ნიკორა“.

2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ 2.8 მილიონი ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა. 2023 წელს კომპანიამ 7.7 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, 1.1 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. 2023 წელს კომპანიის მოგება 371 ათასი ლარი იყო, 2022 წლის 404 ათასი ლარის ზარალის შემდეგ. გამოქვეყნებული ანგარიშგების მიხედვით, კომპანიაში 37 ადამიანი დასაქმებული.

შპს „რძის ლაბორატორია“ (ს/ნ 405285551):

„რძის ლაბორატორია“ 2018 წლის აგვისტოში დაფუძნდა. კომპანიის პარტნიორია ხათუნა ფარჯანაძე, რომელსაც კაპიტალში წილის 100% ეკუთვნის. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება.

2023 წელს „რძის ლაბორატორიის“ აქტივების ღირებულება, წინა წელთან შედარებით 152.7 ათასი ლარით შემცირდა და 3.3 მილიონი ლარი შეადგინა. კაპიტალის მოცულობა 2023 წლის ბოლოს (1.6 მილიონი) ლარი (ანუ, უარყოფითი სიდიდე), 2022 წელს კი ეს მაჩვენებელი (798.3 ათასი) ლარი იყო. 2023 წელს „რძის ლაბორატორიამ“ 4.5 მილიონი ლარი შემოსავალი მიიღო, 1.3 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ 726.6 ათასი ლარის ზარალი განიცადა, 2022 წელს კი ზარალის ოდენობამ 368.9 ათასი ლარი შეადგინა.

შპს „წიფორა-სამცხე“ (ს/ნ 424066003):

კომპანია 2011 წლის ოქტომბერში დაფუძნდა, ახალციხის რაიონში. მისი 100% წილის მფლობელია რევაზ კაჭკაჭიშვილი. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება.

2023 წელს კომპანიის აქტივების ღირებულებამ 2.1 მილიონი ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 133.7 ათასი ლარით ნაკლებია 2022 წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი, საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით 82.9 ათასი ლარით 1.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 2023 წელს კომპანიის შემოსავალმა 5.9 მილიონი ლარი შეადგინა, 1.2 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს. ამავე პერიოდში კომპანიის მოგება 314.9 ათასი ლარით, 87.7 ათას ლარამდე შემცირდა.

მაკა ხარაზიშვილი

სამსახურმა (SARAS) ანგარიშგების ციფრული ფორმების ონლაინ პლატფორმა განაახლა

SARAS-მა, ანგარიშგების ციფრული ფორმების ონლაინ პლატფორმის განახლებით, ფინანსური ინფორმაციის გამოთხოვით დაინტერესებულ პირებს გამოთხოვის პროცესი მნიშვნელოვნად გაუმარტივა. ონლაინ პლატფორმა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rms.reportal.ge/rmsfiles>.

ფინანსური ინფორმაციის გამოთხოვით დაინტერესებულმა პირებმა ზემოხსენებულ პლატფორმაზე უნდა გაიარონ რეგისტრაცია, ავტორიზაცია და შემდეგ აირჩიონ სასურველი საანგარიშგებო წელი და ციფრულ ბაზებზე წვდომისთვის განახორციელონ შესაბამისი დაშვების მოთხოვნა.

სამსახურის მხრიდან მოთხოვნის დადასტურების შემდეგ კი, შესაძლებლობა ექნებათ იხილონ გასაჯაროებული ანგარიშგებების ციფრული ფორმები, ყველა საჭირო მაჩვენებელთან ერთად.

საქართველოს მოქალაქეების დაახლოებით 10% ე.წ. „შავ სიაში“

„საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10% ე.წ. „შავ სიაში“, – ინფორმაციას საზოგადოება და ბანკები კრედიტიზაციის საქართველოს ანალიტიკურ მიმოხილვაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ორგანიზაციის ცნობით, 2025 წლის მარტის მონაცემებით, თითქმის 1.9 მილიონ საქართველოს მოქალაქეს აქვს მინიმუმ ერთი სესხი მაინც, იქნება ეს ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თუ ლომბარდის მიმართ; ყოველ მეხუთე მსესხებელს აქვს 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება; დაახლოებით 370 ათასი ადამიანი ვერ იხდის სესხს. ანუ მოსახლეობის 10%-ს აქვს მინიმუმ 1 პრობლემური კრედიტი მაინც, ზოგს რამდენიმეც. ამ სესხების დიდი ნაწილი თავმოყრილია არასაბანკო სუბიექტებში, ძირითადად სესხის ამომღებ კომპანიებში.

„1,9 მლნ-ზე მეტ ადამიანს რომ აქვს ერთი სესხი მაინც, ეს შეიძლება ითქვას, რომ ცუდი არ არის, ვინაიდან ადამიანი თუ სესხს იღებს, არ ნიშნავს მაინც და მაინც რომ უჭირს. მაგრამ როცა ყოველი მეხუთე ვეღარ ახერხებს გადახდას და 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს და ზოგ შემთხვევაში წლებიც გრძელდება ვადაგადაცილება, ეს უკვე პრობლემაა“, – ამის შესახებ გადაცემა „ანალიტიკაში“ „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ვადაგადაცილებული სესხების პორტფელში დიდი ნაწილი არასაბანკო სუბიექტებზე, მათ შორის ლომბარდებზე მოდის.

„ეს არის ერთ-ერთი კარგი ინდიკატორი იმისა, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ქვეყანაში. მოსახლეობის 10% არის პრობლემური სესხის მქონე – მინიმუმ ერთი სესხის. საშუალოდ ერთ მსესხებელს ორი პრობლემური სესხი აქვს. ეს ხალხი ჩახსნილია ეკონომიკური პროცესიდან, ვინაიდან დიდი ნაწილი შეიძლება იყოს დაყადაღებული კიდევ.“

საბანკო სექტორში ვადაგადაცილებული სესხების წილი 2%-ზე დაბალია. მაგრამ ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია სესხის ამომღებ კომპანიებში, სადაც ხვდება პრობლემური სესხები. ძველი ონლაინ სესხებიც კი არის მოხვედრილი ამ პორტფელში. ამასთან, ბევრია სალომბარდე სესხიც. ადამიანს შეიძლება არანაირი შემოსავალი არ აქვს, მაგრამ აქვს ქორწინების ბეჭედი, მიიტანა, დაალომბარდა და ვერ გადაიხდა. შესაბამისად, აღმოჩნდა პრობლემურ სესხებში“, – აღნიშნა მან.

მისივე განმარტებით, ყველაზე პრობლემური არის მცირე სესხები, კერძოდ, 2000 ლარამდე ოდენობის სესხები როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო სექტორში, – „ადამიანებს იმდენად უჭირთ, რომ თვიდან თვემდე თავის გასატანად სჭირდებათ სესხი. ეს შეიძლება იყოს სოციალურად დაუცველიც“, – დასძინა მან.

რაც შეეხება ჯამურ დავალიანებას, ფიზიკური პირების ჯამური, პრობლემური დავალიანება 2.7 მილიარდ ლარზე მეტია.

საზოგადოება და ბანკები წერს, რომ თუ ტენდენციას დავაკვირდებით, წლიდან წლამდე პრობლემური სესხების და ჭარბვალისანი მოქალაქეების რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, მათი დაახლოებით 20%-ია ე.წ. „შავ სიაში“.

ალკოჰოლური სასმელების სექტორის საკრედიტო პორტფელი 1.2 მილიარდი ლარია

საქართველოს ეროვნული ბანკის ალკოჰოლური სასმელების სექტორის კვლევის მიხედვით, სექტორის საკრედიტო პორტფელი 1.2 მილიარდი ლარია. ეს პორტფელი მთლიანი ბიზნეს-სექტორის პორტფელის 3,63%-ს შეადგენს.

2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, პორტფელის 78% კორპორატიულ სექტორშია გაცემული, 14% – მცირე და საშუალო ბიზნესზე, ხოლო 8% – მიკრო ბიზნესზე.

სასესხო პორტფელის 50% ლარშია დენომინირებული, 28% ევროში და 22% დოლარში.

ამასთან, პორტფელის 55%-ით დაფინანსებულია ღვინის მიმართულება, 16% ლუდის, ხოლო 14% ბრენდი.

ალკოჰოლური სასმელების პორტფელის 31% დაფინანსებულია სახელმწიფოს სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, საიდანაც 87% პროცენტის სუბსიდირებაზე მოდის.

რაც შეეხება საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ალკოჰოლური სასმელების პორტფელის ECL (მოსალოდნელი ფინანსური ზარალი) 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გაუარესდა და გადაასწრო ბიზნესსექტორის საშუალო ECL კოეფიციენტს. 2024 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით პორტფელის 82% პირველ საკრედიტო რისკის დონეს მიეკუთვნება, რაც შედარებით დაბალი მაჩვენებელია ბიზნესსექტორის პირველი საკრედიტო რისკის დონესთან შედარებით, სადაც მისი წილი 91%-ს შეადგენს.

წელს ბანკების მოგება შარშანდელთან შედარებით მოკრძალებული იქნება – საბანკო ასოციაცია

საქართველოს საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი, ალექსანდრე ძნელაძე აღნიშნავს, რომ 2025 წელს კომერციული ბანკების პორტფელის ზრდა და მათი წმინდა მოგება უფრო მოკრძალებული ტემპით გაიზრდება, ვიდრე 2024 წელს იყო, – ამის შესახებ ძნელაძემ გადაცემა „საქმიანი დილის“ ეთერში განაცხადა.

ალექსანდრე ძნელაძის განცხადებით, უფრო მკაფიო სურათი თუ რა მაჩვენებელზე შეიძლება გავიღვს წელს სექტორი მიმდინარე წლის ზაფხულში იქნება თვალსაჩინო და მხოლოდ ორი თვის შედეგები სრული სურათის დანახვისთვის საკმარისი არაა.

„როდესაც 2024 წელზე კეთდებოდა პროგნოზები, იყო მოლოდინი, რომ უფრო მცირე იქნებოდა ვიდრე 2023-ში იყო, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა. რაც შეგვიძლია ვთქვათ 2025 წელზე ის არის, რომ მოლოდინია როგორც მოგების, ასევე საკრედიტო პორტფელის ზრდის მიხედვით, იქნება 2024 წელთან შედარებით უფრო მოკრძალებული. თუმცა ზაფხულში ბევრად უფრო ნათელი იქნება სურათი მთელი წლის ჩრილში თუ რა ტენდენციაა, რა მიმართულებით მიდის სექტორი და რა მოლოდინები უნდა გვქონდეს“, – განაცხადა ალექსანდრე ძნელაძემ.

საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა სექ-ს 2025 წლის პირველი ორი თვის ფინანსური შედეგები უკვე წარუდგინეს. ფინანსური მაჩვენებლების თანახმად, 19 კომერციული ბანკის ჯამური მოგება 462 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1.5 მილიონი ლარით, ანუ 0.3%-ით მეტია.

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 2025 წლის თებერვლის ბოლოსათვის 57.98 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 978.11 მილიონი ლარით, 1.66%-ით ნაკლებია წინა თვის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.65%-ით ნაკლები). დეპოზიტების წლიურმა ზრდამ გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 11.78% შეადგინა.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2025 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით 108.11 მილიონი ლარით (0.17%-ით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 0.63%-ით გაიზარდა) და თებერვლის ბოლოს 62.58 მილიარდი ლარი შეადგინა. სესხების წლიურმა ზრდამ გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 17.43% შეადგინა.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ჩამოშლილი ფერდის აღდგენისთვის თბილისის მერია მილიონ ლარს დახარჯავს

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან „გაგრას“ მიმდებარედ 8 აპრილს ჩამოშლილი ფერდის აღდგენისთვის მერიამ ორი გამარტივებული შესყიდვა გამოცხადდა, რომელთა ჯამური ღირებულება 5 მილიონი ლარია.

„ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რესტორან „გაგრას“ მიმდებარედ გააქტიურდა გეოდინამიკური პროცესები რის შედეგადაც დაზიანდა გზის დამჭერი საყრდენი კედელი, გზის სავალი ნაწილის პირველი ზოლი და დეფორმირებულია ფეხით მოსიარულეთა ტროტუარი“, – წერს მერია.

მერია 300 000 ლარად საინჟინრო მომსახურებას შესყიდის. ხოლო მეორე 4.7 მლნ ლარის ტენდერით საყრდენი კედლების და გზის შეკეთების სამუშაოებს ითვალისწინებს.

მერია წერს, რომ 1-დან 7 აპრილამდე მონაკვეთზე დაკვირვება მიმდინარეობდა. ამის შემდეგ 7 აპრილს უწყებამ გზა გადაკეტა. 8 აპრილს კი, ფერდი ჩაიშალა, როგორც მოსალოდნელი იყო.

ბიძინა ივანიშვილის კაპიტალი ერთ დღეში 350 მლნ-ით შემცირდა – Bloomberg

Bloomberg-ის მილიარდერთა ინდექსის მიხედვით, 8 აპრილის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილის აქტივები ერთ დღეში 350 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რაც 4.87%-იანი ვარდნაა.

ივანიშვილის კაპიტალს Bloomberg-ი ამ მომენტში 6.83 მლრდ აშშ დოლარად აფასებს, რითაც მსოფლიოს ტოპ-500 მილიარდერს შორის 418-ე ადგილზეა.

გასულ წელთან შედარებით, ივანიშვილის ზარალი 675 მლნ აშშ დოლარია. ზოგადად, ბოლო 1 წლის განმავლობაში მისი აქტივების ყველაზე მაღალი ღირებულება 7.8 მლრდ აშშ დოლარი გახლდათ.

„ივანიშვილმა ქონება პოსტ-საბჭოთა პერიოდის რუსეთში, 1990-იან წლებში დააგროვა – რკინის მადნის მწარმოებელი ქარხნების მშენებლობით, ფოლადის ქარხნებით, საბანკო და უძრავი ქონების ბიზნესებით. თავისი აქტივების უმეტესი ნაწილი 2003-2006 წლებში გაყიდა, ხოლო დანარჩენი 2012 წლამდე – საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებამდე. თანამდებობა ერთი წლის შემდეგ დატოვა“, – ვკითხულობთ Bloomberg-ზე ქართველი მილიარდერის შესახებ.

მილიარდერების ინდექსი განაახლა Forbes-მაც, სადაც ბიძინა ივანიშვილის ქონება, რაც იქამდე 2024 წლის რეიტინგში 4.9 მილიარდი დოლარით იყო შეფასებული, 2.7 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, რითაც ის რეიტინგში 1299-ე ადგილს იკავებს. განმარტებაში არ არის მითითებული, თუ რამ განაპირობა ივანიშვილის ქონების შეფასების ასეთი მკვეთრი შემცირება.

Forbes-ის სიაში ყველაზე მდიდარი ქართველი მიხეილ ლომთაძეა

Forbes-ის მილიარდერების განახლებული ინდექსის თანახმად, გასული წლის მსგავსად, სიაში ყველაზე მდიდარი ქართველი კვლავ მიხეილ ლომთაძეა.

Forbes-ის შეფასებით, ყაზახეთის წამყვანი ფინტექ კომპანია Kaspi.kz-ის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი 5.9 მილიარდს ფლობს, რითაც რეიტინგში 579-ე ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ეს მაქსიმალური შეფასებაა 49 წლის მილიარდერის ქონებისთვის, რაც მას აქამდე ჰქონია. 2024 წელს მისი ქონება 5.2 მილიარდად ფასდებოდა.

Forbes-ის მილიარდერების ინდექსში სულ ორი ქართველი შედის. Forbes-ის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის ქონება, რომელიც 2024 წლის რეიტინგში 4.9 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული, 2.7 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, რითაც ის რეიტინგში 1299-ე ადგილს იკავებს. ივანიშვილი რეიტინგში ყველაზე მდიდარი ქართველი 2023 წელს და წინა პერიოდში იყო.

პენსიის სახით გაიცა 75 მლნ ლარამდე – საპენსიო სააგენტო

საპენსიო სააგენტომ განახლებული სტატისტიკური მონაცემები (31 მარტის ჩათვლით) დღეს გამოაქვეყნა. საპენსიო სქემაში განუვრებულ ადამიანთა რაოდენობა 1 604 000-ია. 2025 წლის 31 მარტის მონაცემებით,

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის განცხადება

ჩვენი ჟურნალის რედაქცია გამოხატავს პროტესტს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის და დირექტორის – მზია ამალლობელის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო.

მიგვაჩნია, რომ მზია ამალლობელის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიციელისთვის სილის განვნის გამო, არის არაპროპორციული და უსამართლო. ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას ქალბატონ მზია ამალლობელს და მოვითხოვთ მისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (პირველ რიგში) და შემდგომ მის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას!

ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან ვითხოვთ სხვა მართლაც მძიმე დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, როგორცაა: „ფორმულას“ ჟურნალისტზე გურამ როგავაზე სამართალდამცველის ბრუტალური თავდასხმა, „ტვ პირველის“ გადაძვლებ ჯგუფზე ნილბიანი პირების ჯგუფური თავდასხმა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის სხვა შემთხვევები.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის სახელით,
მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე

დაგროვებითი პენსიით 17,942-მა პირმა ისარგებლა, მათზე პენსიის სახით კი 74.9 მლნ ლარი გაიცა.

საპენსიო აქტივების ღირებულება, კი შეადგენს 6.5 მლრდ ლარს, მათ შორის დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.55 მლრდ ლარს გადააჭარბა.

2023 წლის 6 აგვისტოდან 2025 წლის 31 მარტის ჩათვლით დინამიკური პორტფელის რეალურმა განლიურებულმა ამონაგებმა 8.5% შეადგინა, ამავე პერიოდში დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების რეალური განლიურებული ამონაგები შესაბამისად 8.2% და 7.6% იყო.

აღნიშნულ პორტფელებს შორის მთავარი სხვაობა გლობალური აქციების პროპორციაა. მარტის ბოლოს მდგომარეობით, დინამიკურ პორტფელში აქციების წილი 49.4%, დაბალანსებულში 30.8%, ხოლო კონსერვატიულში 16.3% იყო.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ თვეში \$138.4 მლნ-ით გაიზარდა

2025 წლის მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 8.716 მლრდ დოლარს (დღევანდელი კურსით თითქმის 24.12 მლრდ ლარს) შეადგენს, რაც 138.47 მლნ დოლარით მეტია წინა თვესთან შედარებით. გარდა ამისა, სახელმწიფო საგარეო ვალი 2024 წლის მშპ-ის 25.7%-ია (2024 წლის მშპ მიმდინარე ფასებში, 33.8 მილიარდი აშშ დოლარი იყო).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობა 8.577 მლრდ დოლარს შეადგენდა.

რაც შეეხება უშუალოდ მთავრობის საგარეო ვალს, ის 8.358 მლრდ დოლარი იყო, აქედან მრავალმხრივი კრედიტორების დავალიანება 6.337 მლრდ დოლარია, ორმხრივი კრედიტორების კი 1.520 მლრდ დოლარი. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულება 358 მლნ დოლარს შეადგენდა.

2025 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

იანვარ-მარტში საქართველოს ექსპორტიც გაიზარდა და იმპორტიც

2025 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) \$5.62 მლრდ შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 16.2 პროცენტით მეტია.

„საქსტატის“ ინფორმაციით, აქედან, ექსპორტი 1.4 მლრდ დოლარი იყო (გაიზარდა 5.7 პროცენტით), ხოლო იმპორტი 4.2 მლრდ დოლარი (გაიზარდა 20.1 პროცენტით).

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2025 წლის იანვარ-მარტში 2.8 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50.1 პროცენტია.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

პითხვა-პასუხი

პითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.

(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს გენერალური დირექტორი, „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე.

პითხვა: როგორც მახსოვს, საწარმოს რეორგანიზაციას დღე-ით დაბეგვრა არ ხდება. ჩვენს შემთხვევაში, შპს-ს გამოყოფა ახალი შპს და გამოყოფილ კომპანიაში გადადის პარტნიორთა ნაწილი, რომლებიც ხდებიან გამოყოფილი შპს-ის პარტნიორები. გამოყოფილ ახალ შპს-ს გადაეცემა მანამდე არსებული შპს-დან მის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის და ნივთების ნაწილი.

1) რაიმე ხომ არ შეიცვალა გადაცემული ქონების დღე-ით არდაბეგვრის ნაწილიში?

2) და ასევე, ქონების გამოყოფისას უნდა მოხდეს მისი საბაზრო ღირებულებით შეფასება და ისე გადაცემა, თუ საბალანსოთი შეიძლება? და თუ საბაზროთი უნდა გადაეცეს, გამოიწვევს თუ არა ეს დაბეგვრას და რა სახის დაბეგვრაა?

პასუხი: 1) დიას, საწარმოთა რეორგანიზაციის ფარგლებში გადაცემული ქონება არ იბეგრება დღე-ით, რაც გამოდინარეობს სსკ 160-ე მუხლის „საქონლის მიწოდება“ მე-7 ნაწილის „გ“ პუნქტიდან:

„7. საქონლის მიწოდებად არ განიხილება:...

გ) აქტივის გადაცემა საწარმოს რეორგანიზაციის მხარე პირებს შორის.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენების პირობებსა და წესს, აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც ამ ნაწილით გათვალისწინებული დებულებები არ გამოიყენება, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

აქ აღნიშნულ წესში იგულისხმება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“, თუმცა ისიც იმეორებს სსკ-დან დებულებას, რომ საწარმოთა რეორგანიზაციის ფარგლებში აქტივების გადაცემა არ იბეგრება დღე-ით.

2) სამწუხაროდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი, 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი, რომელიც 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, არ განსაზღვრავს მკაფიოდ, თუ როგორ უნდა მოხდეს (რა ღირებულებით) შპს-ის კაპიტალის ფორმირება ქონებრივი შენატანებით. მასში შპს-ებთან მიმართებით მხოლოდ ეს არის აღნიშნული:

„მუხლი 23. შენატანის სახეები

შენატანის განხორციელების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ფულის გადახდით (ფულადი შენატანი) ან სხვა მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემით (არაფულადი შენატანი). სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა შეიძლება იყოს არაფულადი შენატანის საგანი.

მუხლი 24. შენატანის განხორციელების წესი და ვადა

1. შენატანი უნდა განხორციელდეს კანონითა და წესდებით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადაში...

3. არაფულადი შენატანი განხორციელებულად მიიჩნევა საკუთრების უფლების გადაცემისთვის საჭირო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოქმედებების შესრულების მომენტიდან.

4. თუ არაფულადი შენატანის განხორციელების დროს მისი ღირებულება შეთანხმებული შენატანის ოდენობაზე ნაკლებია, პარტნიორი ვალდებულია შეთანხმებული შენატანის ღირებულება ფულადი სახით შეავსოს...

მუხლი 25. შენატანის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. არაფულადი შენატანის ღირებულების შენატანის ოდენობასთან შესაბამისობის შეფასებას და შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე ორგანო“.

შესაბამისად, გამოდის, რომ რა ღირებულებით უნდა განხორციელდეს ქონებრივი შენატანი შპს-ში, ეს მხოლოდ შპს-ის პარტნიორებს შორის შეთანხმებით უნდა დარეგულირდეს. აღნიშნულ საკითხს აქვს საგადასახადო და ფინანსური მხარე.

საგადასახადო თვალსაზრისით, მოცემულ შემთხვევაში, თუ ახალ (გამოყოფილ) შპს-ში უძრავი ქონება და სხვა ნივთები გადავა იმ ღირებულებით, რაც გამოყოფამდე არსებულ შპს-ის ბალანსზე იყო, აქ არაფერი იცვლება და საგადასახადო რისკიც არ არსებობს. ხოლო თუ მეტი ღირებულებით გადავა, მაშინ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი არ წარმოიშობა, რადგან ეს შპს-ები, როგორც ჩანს, მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ არიან. ეს იმოქმედებს მხოლოდ გამოყოფილი შპს-ის ქონების წლიური გადასახადის სიდიდეზე.

ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით, ახალ (გამოყოფილ) შპს-ში უძრავი ქონებისა და სხვა ნივთების გადასვლა იმ ღირებულებით, რაც გამოყოფამდე არსებულ შპს-ის ბალანსზე იყო და რაც დიდი ალბათობით, მათი სამართლიანი ღირებულებისაგან განსხვავდება, გონივრულად არ ჩანს, რადგან ახალი შპს-ის და მანამდე არსებული შპს-ის პარტნიორთა შემადგენლობა არ არის იდენტური (რაც ჩანს კითხვის მოცემულობიდან). თუმცა, თუ ყველანი შეთანხმდებიან ამაზე (საბალანსო ღირებულებით გადატანაზე), წესით შემდეგში რამე პრობლემა არ უნდა წარმოიშვას.

თუ უძრავი ქონების და სხვა ნივთების გადატანა ახალ შპს-ში მოხდება მათ საბალანსო ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასად, მაშინ ახალი შპს-ის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი იქნება მათი შეფასებული ღირებულება, მაგრამ იმ ნაწილში, რაც აღემატება საბალანსო ღირებულებას, კაპიტალის შემდგომი შემცირება (თუ ასეთ გადაწყვეტილებას პარტნიორები მიიღებენ) შესაძლებელი იქნება მხოლოდ პარტნიორთა დაბეგვრის პირობით.

პიიხ მპ: ჩვენი კომპანიის (დღგ-ის გადამხდელი ღვინის ქარხანა) მოწვევით საფრანგეთიდან ჩამოდის მეღვინე, მასტერკლასების ჩასატარებლად. ეს ფიზიკური პირი მომავალშიც დროდადრო ჩამოვა ხოლმე, აპირებენ მასთან ხელშეკრულების გაფორმებასაც.

ავიაბილეთები ჩვენ უნდა შეგუძინოთ და რაიმე გადასახადით ხომ არ მოგვიწევს დაბეგვრა?

პასუხი: უპირველეს ყოვლისა, დასაზუსტებელია, რომელი ავიაკომპანიისგან იქნა შეძენილი ავიაბილეთები? თუ ეს ისეთი არარეზიდენტი ავიაკომპანიაა, რომელსაც საქართველოში არ აქვს საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულება, მაშინ მისთვის გადახდილი თანხა უნდა დაიბეგროს გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით (10%), თუ ასეთი დაბეგვრისაგან მას არ გაათავისუფლებს შესაბამის ქვეყანასა და საქართველოს შორის გაფორმებული „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება (მისი არსებობის შემთხვევაში).

რაც შეეხება თავად მეღვინის დაბეგვრას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ეს მეღვინე

გიწევთ თქვენ მომსახურებას, ხოლო რადგან ბილეთების აღება თქვენი მხარის ვალდებულებაა, ამიტომ ამ ბილეთების შეძენისთვის გადახდილი თანხა (ასევე მის სასარგებლოდ გაწეული ყველა ხარჯი) დაბეგვრის მიზნით იგივეა, რაც მისთვის გადახდილი საზღაური. ანუ, მომსახურების ანაზღაურებაა და დაბეგვრა როგორც უკუდაბეგვრის დღგ-ით, ასევე არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით (10%). ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებაა და არა დაქირავებითი შრომითი ურთიერთობების ფარგლებში შესრულებული სამუშაო. თუ ზემოაღნიშნული ურთიერთობა დაქირავებით მუშაობად ჩაითვლება, მაშინ – დაბეგვრა საქართველოში როგორც ხელფასთან გათანაბრებული განაცემი, რადგან ეს სამუშაო საქართველოში სრულდება!

თუ მომსახურებაა და ეს მეღვინე საფრანგეთის რეზიდენტია, მაშინ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა საქართველოში არ მოხდება „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების ძალით, მისი მე-14 მუხლის შესაბამისად.

პიიხვპა: შპს A-მ შეიძინა მიწის ნაკვეთი. ამ შეძენილ მიწის ნაკვეთზე ჩაატარა გარკვეული არქიტექტურული სამუშაოები (დენდროლოგიური კვლევა, სამშენებლო პროექტის შედგენა, სამშენებლო კოეფიციენტის ცვლილება-მომატება და ა.შ.), რაზეც მიღებული აქვს საგადასახადო (დღგ-ის) ანგარიშ-ფაქტურები. შემდგომ ეს მიწა შეიტანა ახლად დაფუძნებული შპს C-ს საწესდებო კაპიტალში (50% წილი). ეს შპს C დააფუძნეს შპს A-მ და მისმა პარტნიორმა შპს B-მ 50%-50% წილობრივი მონაწილეობით. საწესდებო კაპიტალში შპს A-მ, როგორც ვთქვით, შეიტანა მიწა, ხოლო შპს B-მ – ფული. ეს ახალი შპს C ააშენებს კორპუსს და გაყიდის ბინებს (ანუ, „გაადეველოპერებს“ ამ მიწას). შპს C ააშენებული ბინებიდან რაღაც რაოდენობის ბინებს გადასცემს შპს A-ს და შპს A დათმობს თავის 50%-იან წილს ამ ბინების მიღების შემდგომ.

გვანტერესებს, ჩაითვლის თუ არა შპს A მიღებული არქიტექტურული მომსახურების დღგ-ს (რომელი არქიტექტურული მომსახურებაც მაშინ მიიღო, როცა მიწის მფლობელი იყო თვითონ)? რაიმე რისკებს ნომ არ ხედავთ?

პასუხი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „შენატანის სახეების“ მიხედვით:

„შენატანის განხორციელების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ფულის გადახდით (ფულადი შენატანი) ან სხვა მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემით (არაფულადი შენატანი)“. ამასთან, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა შეიძლება იყოს არაფულადი შენატანის საგანი, გარდა სააქციო საზოგადოების კაპიტალში შეტანისა (რაც აღნიშნულია ამ კანონის 152-ე მუხლის 1-ლ ნაწილში).

შესაბამისად, შპს A უფლებამოსილი იყო შპს B-ს კაპიტალში შეეტანა როგორც მიწა, ასევე არქიტექტურული პროექტიც, რომელიც:

1) ან წარმოადგენს დაუმთავრებელი მშენებლობის ნაწილს, თუ არქიტექტურული პროექტის შეძენის დროს იგეგმებოდა, რომ ამ მშენებლობას შპს A განახორციელებდა;

2) ან, არქიტექტურული პროექტი წარმოადგენს განცალკევებულ არამატერიალურ აქტივს, თუ მისი შეძენის დროს ცნობილი იყო, რომ ამ მშენებლობას სხვა კომპანია განახორციელებდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, შპს B-ს კაპიტალში შენატანებზე დამფუძნებელი პარტნიორების შეთანხმებაში, დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო, თუ რა უნდა შეტანილიყო მის კაპიტალში შპს A-ს შენატანის სახით: მხოლოდ მიწა თუ მიწასთან ერთად დაუმთავრებელი მშენებლობის ხარჯებიც (მათ შორის, პროექტიც)? კითხვის მოცემულობიდან, ეს მკაფიოდ არ ჩანს.

1) თუ პარტნიორთა სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ მიწასთან ერთად არქიტექტურული პროექტიც წარმოადგენდა შპს A-ს შენატანის საგანს, მაშინ:

სსკ 160-ე მუხლის „საქონლის მიწოდება“ მე-7 ნაწილის თანახმად, „7. საქონლის მიწოდებად არ განიხილება:

ბ) საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივის შეტანა“.

იმავდროულად, ამავე მუხლის თანახმად:

„შენიშვნა: ამ ნაწილის მიზნისთვის, პირი, რომელმაც აქტივი მიიღო, განიხილება ამ აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლედ.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენების პირობებსა და წესს, აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც ამ ნაწილით გათვალისწინებული დებულებები არ გამოიყენება, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების აღმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 50⁴ მუხლის „უფლებამონაცვლეობა“ თანახმად:

„1. ამ ინსტრუქციის 50¹-50³ მუხლების მიზნებისათვის, პირი, რომელმაც აქტივი მიიღო, განიხილება ამ აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლედ.

2. უფლებამონაცვლეობის ფარგლებში, აქტივის მიმღებ პირზე გადაღის მიმწოდებლის მიერ ამ აქტივებთან

დაკავშირებული ხარჯის სხვადასხვა კომპონენტის ღირებულებაზე პირდაპირ მიკუთვნებულ დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა უფლება და ვალდებულება, რა დროსაც:

ა) აქტივების გადაცემისას, მიმწოდებელს უნარჩუნდება აქტივებზე ხარჯების გაწვევისას (მათ შორის, შექმნისას) გადახდილი/გადასახდელი დღგ-ის ჩათვლა;

ბ) აქტივების მიღებთან გადადის დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომლითაც უნდა ესარგებლა და რომელიც უნდა შეესრულებინა მიმწოდებელს, ეს აქტივები მიმწოდებლის საკუთრებაში რომ დარჩენილიყო და გამოყენებულიყო იმავე საქმიანობაში, რომელშიც მათ მიღები იყენებს“.

ამგვარად, ამ შემთხვევაში შპს A-ს აქვს მიღებულ არჩიტიექტურულ მომსახურებაზე დღგ-ის ჩათვლის უფლება.

2) თუ შპს B-ს კაპიტალში არჩიტიექტურული პროექტის შეტანაზე არაფერია თქმული, მაშინ შპს A-ს მიერ ამ პროექტის გადაცემა შპს B-სთვის უნდა მოხდეს ან სასყიდლოთ, ან უსასყიდლოდ, რაც ორივე შემთხვევაში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა, რადგან დღგ-ის მიზნებისთვის „არამატერიალური ქონების გადაცემა“ მომსახურების გაწევად ითვლება (სსკ 160¹ მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი). ამ შემთხვევაში, შპს A-მ არჩიტიექტურულ მომსახურებაზე მიღებული დღგ უნდა ჩაითვალოს (იმ საანგარიშო წლის ბოლომდე, როცა ეს მომსახურება იქნა შექმნილი), ხოლო არამატერიალური აქტივის გადაცემა – დაბეგროს.

პიიხ შპს: იუსტიციის სახლში შპს-ის დარეგისტრირებისას დამფუძნებელმა საწესდებო კაპიტალში დააფიქსირა შენობა და შენობაში განთავსებული დანადგარები.

ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, იჯარით გაქირავდა შპს-ის კუთვნილი ზემოთ აღნიშნული შენობა სხვა შპს-ზე.

წლის ბოლოს შპს-ს მოგება არ დაუფიქსირდა, რადგან იჯარით გაცემულ ძირითად საშუალებებს ცვეთა დაარიცხა და ასახა ხარჯებში, თუმცა საღაროში ნაღდი ფულის ნაშთი დარჩა.

თუ შეიძლება, რომ საღაროში დარჩენილი ნაღდი ფულიდან დამფუძნებელს რომ დაუბრუნდეს თანხა შპს-ში ჩადებული საწესდებო კაპიტალის თანხის შესამცირებლად? და თუ შეიძლება, რა გადასახადები დაეკისრება შპს-ს?

პასუხი: ასეთი შემთხვევა, როდესაც კომპანიას არ აქვს მოგება, მაგრამ აქვს „თავისუფალი“ ფული, არცთუ იშვიათია და ბევრი მიზეზის გამო შეიძლება წარმოიშვას. ასეთ სიტუაციაში ხშირად კომპანიის პარტნიორები იღებენ გადაწყვეტილებას, ფული გაიტანონ კომპანიის წესდებით განსაზღვრული (განთავსებული) კაპიტალის შემცირების გზით.

სამეწარმეო საზოგადოებაში კაპიტალის შევსების/შემცირების მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. ის არ კრძალავს განთავსებული კაპიტალის შემცირებას. შპს-ების შემთხვევაში მოთხოვნილია მხოლოდ, რომ შესაბამის გადაწყვეტილებას კაპიტალის ოდენობის ცვლილების შესახებ პარტნიორები იღებდნენ (134-ე მუხლის მე-4 ნაწილი), რაც ნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება პარტნიორთა საერთო კრების მიერ უნდა იქნეს მიღებული. შპს-ის შემთხვევაში, ერთადერთი შემზღვეველი ნორმა კანონის 145-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, „5. განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევაში დაუშვებელია განთავსებული კაპიტალის გამოთავისუფლებული ოდენობით დივიდენდის განაწილება განთავსებული კაპიტალის შემცირების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 169-ე მუხლი“.

აქ მითითებული 169-ე მუხლი სააქციო საზოგადოებებს ეხება, მაგრამ შპს-ებზეც ვრცელდება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ის შესაბამისად ჩაითვლება. მაგალითად, ამ მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად:

„7. სააქციო საზოგადოებას არ აქვს უფლება, მიიღოს განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება, თუ:...

გ) ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააქციო საზოგადოება მის მიერ აქციონერებისთვის თანხის გადახდის ან სააქციო საზოგადოების სხვა ფასიანი ქაღალდების გადაცემის შედეგად გადახდის უუნარო გახდება ან გადახდის უუნარობის საშიშროების წინაშე დადგება“.

ვფიქრობთ, რომ ეს დებულება შპს-ებზეც და მათ პარტნიორებზეც უნდა გავრცელდეს.

რაც შეეხება დაბეგვრას, ზოგადად თუ ვიტყვით, „ესტონურ მოდელზე“ მყოფი იურიდიული პირის განთავსებული კაპიტალის შემცირების გამო პარტნიორზე გადახდილი თანხა არ წარმოადგენს მოგების ან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს, თუ შესაბამისი თანხით ან მისი ეკვივალენტური ქონებით ამ იურიდიული პირის კაპიტალი ფაქტობრივად შევსებული იყო. მოცემულ შემთხვევაში, დაბეგვრის მიზნებისათვის კაპიტალის შემცირების გამო გატანილი თანხის მოგების განაწილებად შესაძლო გადაკვალიფიცირების რისკიც არ არსებობს.

თუმცა, აქ არის ერთი ფრიად საყურადღებო მომენტი, რომელიც, სსკ 151-ე მუხლის მიხედვით, ეხება იმ ფიზიკურ პირ პარტნიორს, რომელმაც იურიდიული პირის კაპიტალში 50% ან მეტ წილს ფლობს გადაცემული

ქონების სანაცვლოდ: თუ პარტნიორს, რომელმაც ქონებრივი შენატანი განახორციელა, ამ შენატანის შესაძენად/ ასაშენებლად/ მოსაპოვებლად უფრო ნაკლები თანხა აქვს გადახდილი, ვიდრე ამ ქონების ის ღირებულებაა, რაც კაპიტალში შეტანის დროს იყო დაფიქსირებული, მაშინ ამ პარტნიორს კაპიტალის შემცირებიდან მიღებული თანხის გამო წარმოეშვება ნამეტტი, რომელიც დასაბეგრი იქნება საშემოსავლო გადასახადით.

პიიხპა: 2025 წლის მარტში დამკვეთის (შპს) მოთხოვნით შემსრულებელმა (ინდემწარმე, დღგ-ის გადამხდელი) განახორციელა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტვირთის გადაზიდვის (სატრანსპორტო) მომსახურება.

ზემოთ ხსენებული მომსახურების შესრულებას ართულებდა მკაცრი მეტეოროლოგიური და სხვა პირობები, რა დროსაც მხარეებს შორის არსებობდა წინასწარი ზეპირი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ თუ მომსახურების შესრულების დროს დაზიანდებოდა სატრანსპორტო საშუალება, უნდა მომხდარიყო დამკვეთის მიერ ინციდენტით გამოწვეული ზიანის კომპენსაცია.

აღნიშნული მომსახურების გაწევის დროს სერიოზულად დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება. ზიანმა შეადგინა 5000 ლარი.

1) არის თუ არა რისკი იმისა, რომ შპს დაიბეგროს საშემოსავლო ან მოგების გადასახადით გადახდილ თანხაზე, მიუხედავად იმისა, რომ თანხის მიმღები ინდემწარმეა (მცირე მეწარმე) და თანაც დღგ-ის გადამხდელი?

2) ხომ არ უნდა გაიზარდოს მომსახურების ფასი (კონკრეტული რეისის ღირებულება) 5000 ლარით და დაიბეგროს დღგ-ით ინდემწარმის მიერ? შპს-ისთვის, ხომ არ იქნება ამ დღგ-ის ჩათვლაზე პრობლემა თუ არ ჩაითვლება მომსახურების გაწევად?

3) არის თუ არა აუცილებელი შემსრულებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა 5000 ლარზე და რა ფორმით (იმისათვის, რომ ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურებად და არ დაიბეგროს არცერთი მხარის მიერ)?

პასუხი: 1) უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ეს თანხა ვერ იქნება საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ობიექტი გადახდის წყაროსთან, რადგან სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-4 პუნქტის მიხედვით, ინდემწარმისთვის (მით უმეტეს, დღგ-ის გადამხდელისათვის) გადახდილი მომსახურების ან ზიანის ანაზღაურების თანხებიდან, რომლებიც არ უკავშირდება დაქირავებულ შრომითი ურთიერთობებს, არ ხდება გადასახადების დაკავება გადახდის წყაროსთან.

შპს-ის მიერ გადახდილი ეს თანხა არ წარმოადგენს არც მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტს.

2)-3) ჩვენ არ ვთვლით, რომ ეს 5000 ლარი – ზიანის ანაზღაურებაა. საქმე ისაა, რომ ამ ხდომილების (ავტომანქანის დაზიანების) მოხდენა წინასწარ იყო გათვალისწინებული და გაწერილი ხელშეკრულებაში. შესაბამისად, ის წარმოადგენს მომსახურების ანაზღაურების ნაწილს. სხვა სიტყვებით, მომსახურების საფასური ფაქტობრივად განსაზღვრული იყო ასეთი ფორმულირებით: X – თუ რაღაც აღწერილი ინციდენტი არ მოხდებოდა მომსახურების გაწევისას; X+Y – თუ აღწერილი ინციდენტი მოხდებოდა, სადაც Y არის ამ ინციდენტის შეფასებითი ღირებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდემწარმემ უნდა დაბეგროს ეს „ზიანის ანაზღაურების კომპენსაცია“ (როგორც მომსახურების საფასურის ნაწილი) დღგ-ით, ხოლო დამკვეთ შპს-ს შეუძლია ამ დღგ-ის ჩათვლა, თუ დღგ-ის ჩათვლის ზოგადი პირობები მისთვის დაკმაყოფილებულია.

პიიხპა: დღგ-ის გადამხდელი საქართველოს საწარმო საქართველოს მეორე საწარმოს უწევს მედიკამენტების რეგისტრაციის მომსახურებას აზერბაიჯანში. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა უნდა გამოფუჭერთ თუ მხოლოდ ინვოისი საკმარისია? დღგ-ით დაიბეგრება?

პასუხი: მომსახურების გაწევის ადგილი განსაზღვრულია სსკ 162¹ მუხლის მიხედვით. ვინაიდან როგორც მომსახურების გამწევი, ასევე მომსახურების მიმღები საქართველოში დაფუძნებული კომპანიაა, ხოლო ამავე მუხლით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებიდან (მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება, სარესტორნე ან/და კვების მომსახურება, სატრანსპორტო საშუალების მოკლევადიანი იჯარა და სხვა), მედიკამენტების რეგისტრაციას არცერთი არ ესადაგება, ამიტომ ეს მომსახურება დღგ-ით დაბეგვრის მიზნით ჩაითვლება საქართველოში გაწეულად და დაიბეგრება დღგ-ით. აქ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ადგილი არ აქვს სსკ 162¹ მუხლში მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტში მითითებულ შესაძლო შემთხვევას და მომსახურების გაწევა არ „ხორციელდება მომსახურების მიმღების ფიქსირებული დაწესებულებისთვის, რომელიც არ მდებარეობს იქ, სადაც მომსახურების მიმღებია დაფუძნებული“ (რადგან კითხვის მოცემულობაში ამის თაობაზე არაფერია თქმული. თუ ასეთ შემთხვევასთან გვექნებოდა საქმე, მაშინ „მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ფიქსირებული

დაწესებულების მდებარეობის ადგილი“).

თუ ამ მომსახურების მიმღები – დღგ-ით დასაბეგრი პირია, მაშინ მისთვის გაწეულ მომსახურებაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა აუცილებელია, ხოლო თუ საბოლოო მომხმარებელია, მაშინ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება მისი მოთხოვნის შემთხვევაში, რაც განსაზღვრულია სსკ 180-ე მუხლით „საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა“:

„1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი პირის მიერ სხვა დასაბეგრი პირისთვის საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის შემთხვევაში, გამოიწერება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებელია გამოიწეროს გამარტივებული ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა...“

3. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი პირის მიერ საბოლოო მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევისას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში“.

პიიხ მპა: დამფუძნებელ რეზიდენტ ფიზიკურ პირს აქვს შემოტანილი თანხა სესხად კომპანიის ანგარიშზე, პროცენტები დარიცხული გვაქვს. ახლა გადაწყვიტა შემოტანილი სესხის ძირისა და პროცენტის სანაცვლოდ მიიღოს კომპანიის მიერ აშენებული ფართი. ვთხოვთ გვიპასუხოთ, რა გადასახადების გადახდა მოუწევს კომპანიას ამ ოპერაციასთან დაკავშირებით? კომპანია დღგ-ის გადამხდელია.

პასუხი: მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ვინაიდან, სავარაუდოდ, ეს კომპანია და მისი დამფუძნებელი ფიზიკური პირი ურთიერთდამოკიდებული პირებია, გასათვალისწინებელია სსკ 73-ე მუხლის მე-6 ნაწილი:

„6. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებისას შემოსავლები და ხარჯები ისე უნდა განაწილდეს, როგორც დამოუკიდებელ პირებს შორის დადებული გარიგების დროს“.

ასევე გასათვალისწინებელია სსკ მე-18 მუხლის მე-11 მუხლის „ა“ ნაწილიც:

„11. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენოს საბაზრო ფასი შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ გარიგება განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც სესხის პროცენტის დაფარვა, ასევე სესხისა და პროცენტის სანაცვლოდ უძრავი ქონების მიწოდება საბაზრო ფასიდან (საბაზრო პირობების შესაბამისად) უნდა მოხდეს. თუ საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ სესხი არ იყო საბაზრო პირობების შესაბამისად გაცემული, მაშინ ის კომპანიის მიერ სესხის ძირისა და საბაზრო პირობებით განსაზღვრული პროცენტის ზემოთ დამფუძნებელზე გაცემულ თანხას ჩათვლის მოგების განაწილებად (დივიდენდის გაცემად) და დაბეგრავს ამ ნამეტ თანხას როგორც გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით, ასევე მოგების გადასახადით. ეს გამომდინარეობს სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტიდან:

„4. მოგების განაწილებად ითვლება:

ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:

ა.ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს“.

დავაზუსტებთ, რომ აქ ეს ფრაზა „მოგების განაწილებად ითვლება“ გულისხმობს: „...ითვლება დაბეგვრის მიზნით“.

თუ დავუშვებთ, რომ სესხის პროცენტის განაკვეთი და სესხის სხვა პირობები იყო საბაზრო, მაშინ დასაფარი/დაფარული პროცენტიდან კომპანიამ უნდა დააკავოს გადახდის წყაროსთან 5% საშემოსავლო გადასახადი. უფრო კონკრეტულად ამ შემთხვევისთვის, ვთქვათ, რომ კომპანიას მისი დამფუძნებელი რეზიდენტი ფიზიკური პირის მიმართ აქვს აღიარებული ფინანსური ვალდებულება X ლარი, რომელიც შედგება სესხის ძირი თანხისა (X1) და მასზე დარიცხული პროცენტისაგან (X2) ლარი: $X=X1+X2$. თუ მოხდება ამ ვალდებულების დაფარვა, იმისდა მიუხედავად, ეს თანხით მოხდება, ქონების გადაცემით თუ მომსახურების გაწევით, ბიუჯეტში გადასახდელი იქნება საპროცენტო დავალიანებიდან 5% საშემოსავლო გადასახადი: $0.05*X2$. შესაბამისად, ფიზიკური პირისთვის არსებული ფინანსური ვალდებულების დასაფარავად გადასახდელია $X-0.05*X2=X1+0.95*X2$ ლარი.

თუ კომპანია ამ დამფუძნებელ პირს ვალდებულების ამ თანხის სანაცვლოდ გადასცემს (ანუ, მიჰყიდის) მის

საკუთრებაში არსებულ ფართს, მაშინ სწორედ ეს თანხა – $X1+0.95*X2$ ლარი უნდა შედარდეს აღნიშნული ფართის საბაზრო ფასს, დღგ-ის ჩათვლით. თუ ეს თანხა ამ ფართის საბაზრო ფასია, ან მას აღემატება, მაშინ ბიუჯეტში გადასახდელი იქნება დღგ $[X1+0.95*X2]/1.18*18\%$ ლარი. ამ შემთხვევაში, სხვა გადასახადების გადახდა, გარდა ზემოაღნიშნული დღგ-ისა და საპროცენტო დავალიანებიდან საშემოსავლო გადასახადისა, კომპანიას არ მოუწევს.

იმ შემთხვევაში კი, თუ ზემოაღნიშნული გარიგება (ფართის მიწოდება ფინანსური ვალდებულების სანაცვლოდ) განხორციელდება საბაზროზე დაბალი ფასით, ანუ სხვა სიტყვებით, თუ მისაწოდებელი ფართის საბაზრო ღირებულება მეტია, ვიდრე გადასაქვითი ფინანსური ვალდებულება $X1+0.95*X2$ ლარი, მაშინ დაბეგვის ტვირთი გაიზრდება და დასარიცხი გადასახადები მოიმატებს, რადგან:

1) დადებითი სხვაობა საბაზრო ფასსა და $X1+0.95*X2$ ლარს დაბეგვრა მოგების გადასახადით, ზემოაღნიშნული სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე;

2) რაც შეეხება დღგ-ს, დღგ-ით დაბეგვრა მოხდება საბაზრო ფასიდან, გარდა, შესაძლოა, იმ გამონაკლისი შემთხვევისა, თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად. თუ დამფუძნებელი (ანუ, ფართის მიმღები) არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრა საბაზრო ფასიდან უნდა მოხდეს თუ გაყიდვის ფაქტობრივი ფასიდან, ეს არის სამსჯელო და უნდა გადაწყდეს სსკ 164-ე მუხლის მე-7 ნაწილის დებულებების მიხედვით:

„7. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის დროს დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი, დღგ-ის გარეშე, თუ:

- ა) დასაბეგრი ოპერაციის ანაზღაურების თანხა დაბალია მის საბაზრო ფასზე და საქონლის/მომსახურების შემქმნელს ამ კოდექსის შესაბამისად, ამ ოპერაციაზე არ აქვს დღგ-ის სრულად ჩათვლის უფლება;
- ბ) დასაბეგრი ოპერაციის ანაზღაურების თანხა დაბალია მის საბაზრო ფასზე და საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს ამ კოდექსის შესაბამისად, არ აქვს დღგ-ის სრულად ჩათვლის უფლება და მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე;
- გ) დასაბეგრი ოპერაციის ანაზღაურების თანხა მაღალია მის საბაზრო ფასზე და საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს არ აქვს დღგ-ის სრულად ჩათვლის უფლება“.

პიიშპა: ჩვენს კომპანიას 2024 წელში ჰქონდა ასეთი შემთხვევა: არარეზიდენტი კომპანია X-ის (არარეზიდენტი) დავალებით მომსახურება გაუწვიეთ ერთ-ერთ სამედიცინო ლაბორატორიას (რეზიდენტი). 2024 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის თვეებში – ტექნიკურად გაიმართა დაზიანებული დანადგარი. დანადგარი ეკუთვნის ამ ლაბორატორიას.

მომსახურების გაწევასთან ერთად დაინარჯა საქონელი, რომელიც კომპანია X-მა გამოგიგზავნა უსასყიდლოდ ეტაპობრივად. საბაჟოზე გადახდილი დღგ ჩავითვალეთ სრულად.

X-ისთვის გადასახდელი მოსათხოვი მომსახურების ღირებულება გამოიწერა 2025 წლის იანვარში. ასევე მ/წ იანვარში ინჟინრებმა გამოიწერეს ტექნიკური მომსახურების ფორმა, რომელშიც სამუშაოები გაწერილია შესრულების პერიოდულობით.

- 1) უნდა ჩაგვეთვალა საბაჟოზე გადახდილი დღგ?
- 2) საქონელზე გამოწერილია შიდა გადაზიდვის ზედნადები 2024 წლის შესაბამის თვეებში. საწყობიდან ჩამოწვრით ჩამოწერის აქტით შესაბამისი თვეების მიხედვით 2024-ში. დღგ-ით უნდა დაიბეგროს მომსახურებები შესრულებული სამუშაოს პერიოდში, ანუ 2024 წელში?

პასუხი: დასმული კითხვის პირობები არ არის ნათელი, ვინაიდან უცნობია, ვისი პასუხისმგებლობაა ამ დაზიანებული დანადგარის გარემონტება. რადგან ეს დანადგარი, რომელიც გარემონტდა, არ ეკუთვნის არარეზიდენტ X კომპანიას, არამედ სამედიცინო ლაბორატორიის საკუთრებაა, გაუგებარია, ვინ არის ამ მომსახურების მიმღები. შესაძლებელია ორი ვარიანტი, რაც დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობებზე: ა) მომსახურების მიმღებია ლაბორატორია; ბ) მომსახურების მიმღებია არარეზიდენტი კომპანია X. განვიხილოთ ორივე შესაძლო ვარიანტი.

I ვარიანტი: სარემონტო მომსახურების მიმღებია ეს ლაბორატორია, ვისაც დანადგარი ეკუთვნის, და არა არარეზიდენტი კომპანია X. აღნიშნული არარეზიდენტი კომპანია, როგორც დაინტერესებული მხარე, ჩვენ მიერ განიხილება როგორც მომსახურების საფასურის გადამხდელი, რისი ვალდებულებაც მას, როგორც ჩანს, ლაბორატორიის წინაშე აქვს ნაკისრი (ეს, დაახლოებით, იმის მსგავსია, როცა ავტოპროფილაქტიკა ურემონტებს საწარმოს ნაავარიებ ავტომანქანას და ამ რემონტის ღირებულებას მას უხდის სადაზღვევო კომპანია).

თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ მიერ გაწეული მომსახურება, ცხადია, დღგ-ით დასაბეგრია. თუმცა, ამ მოცემულობით, არარეზიდენტი საგან იმპორტის გზით უსასყიდლოდ მიღებულ საქონელზე გადახდილ საბაჟო დღგ-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლით, თუ ამ საქონლის გამოყენებას მოახდენთ თქვენს დასაბეგრი ოპერაციაში, ანუ თუ მათი ღირებულება ჩართული იქნება ლაბორატორიისთვის გაწეული მომსახურების ღირებულებაში. თუმცა, იმის გამო, რომ ეს საქონელი თქვენ უსასყიდლოდ გამოგიგზავნეს, ეს სავარაუდოდ ასე არ იქნება, რადგან გამოვა,

რომ არარეზიდენტი იხდის არა მხოლოდ ლაბორატორიისთვის გაწეული მომსახურების საფასურს, არამედ იმ საქონლის ღირებულებასაც, რომელიც თავადვე უსასყიდლოდ გამოაგზავნა, რაც, ცხადია, სრულიად არალოგიკურია. ამიტომ, ამ საქონელზე იმპორტის დროს გადახდილი დღგ არ უნდა იქნეს ჩათვლილი (ან, უნდა ჩაითვალოს და შემდეგ ისევ დაბეგრით დღგ-ით, როგორც ლაბორატორიისთვის უსასყიდლოდ მიწოდებული).

რაც შეეხება სარემონტო მომსახურების დღგ-ით დაბეგრის პერიოდს ამ ვარიანტის შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია იმაზე, გაწეული სარემონტო მომსახურება იყო ერთიანი, საბოლოო შედეგზე დამოკიდებული, თუ დანაწევრებადი, რომლის შესრულება ხდებოდა ნაწილ-ნაწილ ანუ ეტაპობრივად (ამაზე პასუხი დამოკიდებულია დაზიანებული დანადგარის რემონტის ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც კითხვიდან არ ჩანს). პირველ შემთხვევაში, დღგ-ით გაწეული მომსახურება დაიბეგრება მისი ფაქტობრივად დასრულების თვეში, როდესაც დანადგარი საბოლოოდ გაიმართა, ხოლო მეორე შემთხვევაში – დღგ-ით დაიბეგრება შესრულებული ეტაპების მიხედვით, რაც შეიძლება ემთხვეოდეს, ან შეიძლება არც ემთხვეოდეს თქვენი საწყობიდან საქონლის გაწერის თვეებს.

II ვარიანტი: სარემონტო მომსახურების დამკვეთი და მიმღებია არარეზიდენტი კომპანია X. ამ შემთხვევაში, თქვენ მიერ ამ არარეზიდენტი კომპანიისთვის გაწეული მოძრავი ქონების რემონტის მომსახურება არ დაიბეგრება დღგ-ით, რადგან სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, მომსახურების მიმღებია არარეზიდენტი დასაბეგრი პირი (ვგულისხმობთ, რომ მას არ აქვს ფიქსირებული დაწესებულებისთვის, რომელიც არ მდებარეობს საქართველოში):

„3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, თუ მომსახურების მიმღები არის დასაბეგრი პირი...“.

აღნიშნულის გამო, გაწეული მომსახურების ადგილი დღგ-ით დაბეგრის მიზნით არ არის საქართველო.

ამ შემთხვევაში, დამკვეთი არარეზიდენტისაგან სარემონტო (შემცვლელი) მასალების მიღების ფაქტი უნდა შეფასდეს, როგორც არარეზიდენტის კუთვნილი მასალებით მისი დაკვეთის შესრულებისთვის მათი მოწოდება. ეს მასალები არ უნდა აღიარდეს თქვენი კომპანიის აღრიცხვაში, ამიტომ საბაჟოზე გადახდილ დღგ-ს ვერც ამ ვარიანტში ჩაითვლით.

პიიშპა: საქართველოს კომპანიას არაბეთის გაერთიანებული საემიროების რეზიდენტი კომპანიისგან, რომელიც არის მისი დამფუძნებელი, მიღებული აქვს გრძელვადიანი უპროცენტო სესხი ვალუტაში. ხედავთ თუ არა რამე საგადასახადო რისკს ამ ოპერაციაში?

პასუხი: საქმე გვაქვს გარიგებასთან ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ნებისმიერი ოპერაცია კი კონტროლირებულია, რაც აღნიშნულია სსკ 126-ე მუხლის მე-4 ნაწილში. ანუ, დაბეგრის მიზნებისათვის, ის ექვემდებარება შესწავლას. სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია:

„4. მოგების განაწილებად ითვლება:...

ბ) კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა განისაზღვრება ამ კოდექსის XVII თავით დადგენილი წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხით“.

რადგან საქართველოს საწარმოს მიერ არარეზიდენტი დამფუძნებელი პირისგან მიღებული სესხი საერთაშორისო კონტროლირებულია ოპერაციაა, ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბეგრის მიზნებისთვის ის გამოკვლეული უნდა იქნეს. სსკ 127-ე მუხლის „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების ზოგადი პრინციპების“ მე-3 ნაწილის თანახმად:

„3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს, ნებისმიერი ოდენობის მოგება, რომელიც ოპერაციის დადგენილი პირობების საბაზრო პრინციპთან შესაბამისობის შემთხვევაში წარმოეშობოდა რომელიმე საწარმოს, მაგრამ საბაზრო პრინციპთან შეუსაბამობის გამო არ წარმოეშვა, შეიძლება ჩართულ იქნეს ამ საწარმოს დასაბეგრ მოგებაში და დაიბეგროს შესაბამისად“.

ამ დებულებიდან გამომდინარე, კორექტირების მიზანს წარმოადგენს მოგების შესწორება სწორედ მისი ზრდის მიმართულებით, რადგან ჩანაწერი ცხადად ამბობს, რომ თუ უნდა წარმოშობილიყო მოგება და არ წარმოიშვა, მაშინ ეს ნაწილი დაემატება დასაბეგრ მოგებას და დაიბეგრება.

მოცემულ შემთხვევაში, აშკარაა, რომ განსახილველი გარიგების (გრძელვადიანი სესხის გაცემის) ფასი საბაზროზე ნაკლებია, რადგან სესხი საერთოდ უპროცენტოა. თუმცა, საბაზრო ფასის შესაბამისი რომც იყოს, საქართველოს საწარმოს ამ ოპერაციიდან მოგება არ წარმოეშვა. ამის გამო, პროცენტის ნაწილში დასაკორექტირებელი არაფერია.

მიუხედავად აღნიშნულისა, საგადასახადო რისკი მაინც არსებობს სესხიდან წარმოშობილი სავალუტო საკურსო სხვაობების ნაწილში. საქმე ისაა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №423 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ“ ინსტრუქციის

14¹ მუხლი განსაზღვრავს შემთხვევებს, თუ როდის ხდება „სესხის კაპიტალში შენატანად კვალიფიცირება“ (აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება 2025 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებთან მიმართებაში 2025 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საკუროსო სხვაობაზე და 2025 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ პროცენტზე, რომლის გადახდაც განხორციელებულია ამავე ან შემდგომ პერიოდებში!);

„1. წინამდებარე მუხლი გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან მიმართებით.

2. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის, სესხად განიხილება კრედიტი/სესხი, ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი, გარანტია, სავალო ფასიანი ქაღალდები და სხვა.

3. ამ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, კონტროლირებული ოპერაციის მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ფაქტობრივი გარემოებებით სესხად განხილული ოპერაციის კაპიტალში შენატანად სრულად ან ნაწილობრივ დაკვალიფიცირებისას გათვალისწინება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) ფიქსირებული დაფარვის გრაფიკი – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა სესხის ძირის/პროცენტის დაფარვის ფიქსირებული გრაფიკი, აგრეთვე, შესაბამება თუ არა აღნიშნული გრაფიკი საბაზრო პირობებს და სესხის მიზნობრიობას;

ბ) პროცენტის გადახდის ვალდებულება – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა პროცენტის დარიცხვის/გადახდის ვალდებულება. ამასთან, ფაქტობრივად ხდება თუ არა პროცენტის დარიცხვა/გადახდა;

გ) სესხის ძირის/პროცენტის მიღება იძულებითი აღსრულების გზით – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ზომების გამოყენება მოთხოვნის (სესხის ძირის და პროცენტის) დასაკმაყოფილებლად. ამასთან, შესაბამისი პირობების დადგომისას გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით;

დ) გამსესხებლის სტატუსი (სუბორდინაცია) სხვა კრედიტორებთან მიმართებაში – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლის მოთხოვნის სუბორდინაცია მსესხებლის სხვა კრედიტორებთან მიმართებაში;

ე) სახელშეკრულებო შეზღუდვები და დაცულობის მექანიზმები – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მსესხებლის მიმართ სხვადასხვა სახელშეკრულებო შეზღუდვების (მათ შორის, აქტივების რეალიზაციასთან დაკავშირებით), ჯარიმის ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენება. ამასთან, შესაბამისი პირობების დადგომისას, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა აღნიშნული საშუალებებით;

ვ) სასესხო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა – მხარეთა მიერ სესხად განხილული ოპერაციის განხორციელებისას მსესხებელს უფიქსირდება თუ არა რეალური ფინანსური შესაძლებლობა სესხის ძირი და პროცენტი დაიფაროს მისი საოპერაციო მოვებით;

ზ) მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურა – მხარეთა მიერ სესხად განხილული ოპერაციის განხორციელებისას ექცევა თუ არა მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლები (მათ შორის, სესხის და კაპიტალის თანაფარდობა) საბაზრო დიაპაზონში;

თ) სესხის აღების საჭიროება და ხარჯვის მიზნობრიობა – მსესხებელს აქვს თუ არა სესხის აღების რეალური საჭიროება. ამასთან, მიღებული დაფინანსება განკუთვნილია ან/და გამოყენებულია თუ არა გრძელვადიანი (კაპიტალიზირებადი) აქტივების შესაძენად ან/და დამწყები საწარმოს (სტარტაპის) ფინანსური სახსრებით უზრუნველსაყოფად;

ი) სასესხო ვალდებულებების გადაადება – აქვს თუ არა ადგილი სესხის ძირის/პროცენტის გადაუხდელობას დათქმულ ვადაში ან/და ხდება თუ არა სესხის ძირის/პროცენტის დაფარვის პერიოდის გახანგრძლივება არაერთჯერადად;

კ) მონაწილეობა მსესხებლის მართვაში – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლისთვის მსესხებლის სტრატეგიულ/საოპერაციო მართვაში მონაწილეობის უფლების მინიჭება. ამასთან, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით;

ლ) სესხის გაცემა წილის ფლობის პროპორციულად ან/და ფლობის პირობით – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლისთვის მსესხებლის წილის ფლობასთან დაკავშირებული უფლებების მინიჭება. ამასთან, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით;

მ) სესხის კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა სესხის კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა. ამასთან, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ შესაძლებლობით.

4. ოპერაცია ან მისი ნაწილი კვალიფიკაციის შეცვლას ექვემდებარება ამ ოპერაციის განხორციელების მომენტისთვის.

5. ოპერაციის ან მისი ნაწილის კვალიფიკაციის შეცვლა შესაძლებელია, თუ გამოიკვეთება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საფუძველი არანაკლებ სამი კრიტერიუმის მიხედვით, რომელთა შორისაც არანაკლებ ერთი უნდა იყოს „ვ“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმი. ამასთან, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, სესხის კაპიტალში შენატანად კვალიფიცირობის შესახებ შეადგინოს შესაბამისი დასკვნა, რომლის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს ოპერაციის შინაარსი, არგუმენტაცია და გარემოებები, ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ამ ინსტრუქციის შესაბამისად არარეზიდენტი დამფუძნებლისაგან ვალუტაში მიღებული სესხი გადაკვალიფიცირდა კაპიტალად დაბეგვრის მიზნით, მაშინ ის აღარ უნდა გადაფასდეს, ხოლო თუ ვალუტის კურსის შეცვლის გამო დამფუძნებელს ლარებში გამოხატულებით დაუბრუნდება მეტი თანხა, ვიდრე ეს სესხის (რომელიც კაპიტალში შენატანად გადაკვალიფიცირდა) მიღების დროს იყო, ეს დაბეგვრის მიზნით ჩაითვლება მოგების განაწილებად, რაც დაიბეგრება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად, 15% მოგების გადასახადით. თუმცა, არარეზიდენტ დამფუძნებელზე მეტობით (ლარებში გამოხატულებით) გაცემული თანხიდან 5% გადასახადი გადახდის წყაროსთან არ დაკავდება, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ 5%-იანი გადასახადის დაკავებისგან თქვენ დაგიცავთ „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება, კერძოდ კი მისი მე-11 მუხლი „დივიდენდები“ (ამასთან, ქართულ თარგმანში დაშვებული შეცდომების გამო, იხილეთ ამ შეთანხმების ინგლისური ტექსტი).

პიიის მზა: არამეწარმე ფიზიკურ პირს, კომპანიის დირექტორს უნდა მიეცეთ უპროცენტო სესხი. ეს ნაპატიები სესხის პროცენტი ხომ დაიბეგრება, ამიტომ რაც იქნება გადასახადით დაბეგვრა, მისი სიდიდე უნდა შემოიტანოს შპს-ში ამ ფიზიკურმა პირმა. მაგრამ რა ჰქვია ამ ოპერაციას? დღე მოუწევს?

პასუხი: სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად ითვლება „დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის №34 ბრძანების შესაბამისად კი, დადგენილია:

„1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი დამტკიცდეს 20 პროცენტის ოდენობით“.

შესაბამისად, თუ დირექტორზე (ან, სხვა დაქირავებულ თანამშრომელზე) გაცემულია უპროცენტო სესხი, მაშინ ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად ჩაითვლება ნაპატიები პროცენტი, გამოთვლილი გაცემული სესხის წლიური 20%-იანი სარგებლითა და სარგებლობის დღეების ხანგრძლივობიდან გამომდინარე. საშემოსავლო გადასახადი იქნება ამ თანხიდან 20%, რაც შეესაბამება გაცემული სესხის თანხიდან წლიურ 4%-ს ($20\% * 20\% = 4\%$), სესხით სარგებლობის დღეების ხანგრძლივობის გათვალისწინებით. სწორედ ეს თანხა – საშემოსავლო გადასახადი უნდა დაუკავოს კომპანიამ დირექტორს, თუ მასთან არსებობს ასეთი შეთანხმება დაბეგვრის კომპენსირებაზე. ანუ, ეს „დაბეგვრის კომპენსაცია“ სხვა არაფერია, თუ არა დირექტორის მიერ კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის შემოტანა ნაპატიები პროცენტის თანხიდან. ცხადია, ეს ოპერაცია არ არის მომსახურების გაწევა და დღე-ით არ დაიბეგრება.

შესაძლებელია მეორე მიდგომაც, პრაქტიკულად იგივე საგადასახადო შედეგით, რომელსაც „პროცენტის ნაწილობრივი გადახდა“ შეგვიძლია ვუწოდოთ: თუ ჩავთვლით, რომ გაცემული სესხის თანხიდან დაანგარიშებული პროცენტის რაღაც ნაწილს იხდის კომპანიის დირექტორი, ხოლო დარჩენილ ნაწილს კომპანია პატიობს დირექტორს და საშემოსავლო გადასახადს არ ახდევინებს, მაშინ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა გამოდის ნაპატიები თანხის 25% ტოლი (რადგან ნაპატიები თანხა განიხილება „ხელზე“ გადახდილად და საშემოსავლო გადასახადი დაიანგარიშება ამ თანხის „აგროსვის“ შედეგად მიღებული თანხიდან). იოლი გამოსათვლელია, რომ თუ დირექტორზე გაცემულია არა უპროცენტო სესხი, არამედ წლიური 4% სარგებლით, მაშინ ნაპატიები პროცენტი უნდა დაითვალოს წლიური 16% სარგებლიდან გამომდინარე, ხოლო ნაპატიები პროცენტის ამ თანხიდან გამოთვლილი საშემოსავლო გადასახადის თანხა სწორედ ის 4% გამოდის, რა სარგებლითაც გაცემულია ეს სესხი.

თუ დირექტორი, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, კომპანიას საპენსიო დაზღვევის სავალდებულო შენატანების ხარჯსაც აუნაზღაურებს, ესეც მის მიერ „პროცენტის ნაწილობრივ გადახდად“ უნდა დაკვალიფიცირდეს.

**რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ
ჟურნალის შემდეგ ნომერში.**

რუბრიკის სპონსორები:



www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის / თბილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალო. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახსრებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

ჩინეთი არ აპირებს სავაჭრო ომში ტრამპს რამე დაუმოს

მოსალოდნელი რეცესია მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს შეცვლის



მსოფლიო ეკონომიკის ორ გიგანტს შორის სავაჭრო ომი არნახულ მასშტაბებზე გადის. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი შტატებში ჩინეთიდან შესატან საქონელზე საბაჟო მოსაკრებლის გაორმაგებით დაიბეჭდა, პეკინში „ბოლომდე ბრძოლისთვის“ მზადყოფნა გამოაცხადეს. გლობალური ეკონომიკური წესრიგი ჩვენ თვალწინ იცვლება – სულ მალე, აბსოლუტურად განსხვავებულ ეკონომიკურ მსოფლიოს მივიღებთ.

თუ კონფლიქტის რომელიმე მხარე არ დათმობს, უახლოეს მომავალში ჩინეთიდან აშშ-ში შეტანილი თითქმის ყველა პროდუქცია, უპრეცედენტო 104%-იანი (საქონლის საბითუმო ღირებულებაზე მეტი) მოსაკრებლით დაიბეჭდება. შტატებში ჩინური იმპორტის უმეტესი ნაწილი სმარტფონებზე, კომპიუტერებზე,

ლითიუმის იონურ ბატარეებსა და სხვადასხვა სათამაშოებზე მოდის. თუმცა, ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობა მართო ამ ჩამონათვალთ არ შემოიფარგლება: ჩინელები ამერიკაში, უმცირესი ჭანჭიკიდან დაწყებული უდიდესი ბოილერით დასრულებული, ყველაფერს ყიდნიან.

„შეჯიბრება მოთმინებაზე – „3ი6 დაახამსამებს პირველი?“

„შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ჩინეთი დათმობს და პირველი – ცალმხრივად მოხსნის გაზრდილ ტარიფებს. თუ ეს ასე მოხდება, იგი მხოლოდ სუსტ მოთამაშედ გამოჩნდება, აშშ-ს მისცემს საფუძველს, კიდევ უფრო განავრდოს ფსონის გაზრდა. ამჟამად, ცივილიზებული სამყარო ეკონომიკურ ჩიხშია, რომელიც

გრძელვადიან პერსპექტივაში არაფერი კარგით არ დასრულდება“, – აცხადებს კვლევით ინსტიტუტში The Conference Board ჩინეთის შესწავლის ცენტრის უფროსი მრჩეველი ალფრედო მონტუფარ-ჰელუ (Alfredo Montufar-Helu).

მიმდინარე აპრილის პირველ კვირაში, როცა ტრამპმა თითქმის მთელი მსოფლიოს ქვეყნებისთვის საბაჟო გადასახადის ახალი ტარიფები გამოაცხადა, საბირჟო მაჩვენებლები უმაღლეს დონეზე დაეშვა. 7 აპრილს, როცა აშკარა გახდა, რომ აშშ-ის ლიდერი უკან არ დაიხევდა, აზიური კომპანიების აქციები მომენტალურად „მიწას დაენარცხა“ – ბოლო ათწლეულებში, ეს ამ რეგიონისთვის ყველაზე მტკივნეული ვარდნა იყო.

პარალელურად ჩინეთმა, ამერიკიდან ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქციაზე, საპასუხო 34%-ანი გადასახადი დააწესა. მეორე დღესვე ტრამპის საპასუხო სვლა ასეთი გახლდათ – თუ პეკინი უკან არ დაიხვეს, ჩინელებისთვის ბეგარა კიდევ 50%-ით გაიზრდება. ვინაიდან 9 აპრილიდან დამატებითი ტარიფები (ზოგ შემთხვევაში, 40%-ზე მეტი) უნდა შემოღებულიყო, ფინანსურ ბაზარზე გაურკვევლობამ სრული ქაოსი გამოიწვია. შტატებმა ე.წ. „წერტილოვანი“ დარტყმები მიაყენა იმ აზიურ ქვეყნებს, სადაც ჩინეთს პარტნიორული პლაცდარმები აქვს მოწყობილი. სწორედ ამის გამო, ვიეტნამსა და კამბოჯაში ტარიფებმა შესაბამისად 46 და 49%-ით მოიმატეს.

ჩინეთის რეაგირება ტარიფების ომზე

მომატებული ტარიფების პირველ რაუნდზე, პეკინმა საპასუხო გადასახადი ამერიკული იმპორტის რამდენიმე სახეობას დაუწესა. კერძოდ, მკაცრი კონტროლი დაუწესდა იშვიათი ლითონების საექსპორტო ჩამოტვირთვებს. ჩინელებმა ასევე დაიწყეს ამერიკული კომპანიების (მათ შორის Google) მიმართ ანტიმონოპოლიური გამოძიება.

პეკინმა ასევე მოაქცია „სარკისებური“ საპასუხო ტარიფების შესახებ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, იქ უფრო ხისტი საპასუხო ზომებისთვისაც ემზადებიან. ხელისუფლებამ იუანს პოზიციების დათმობის საშუალება მისცა, რამაც ჩინური ექსპორტი უფრო მიმზიდველი გახდა. ასევე ხდება ბაზრის სტაბილიზაცია, სახელმწიფოსთან აფილირებული კომპანიების მიერ აქციების შესყიდვით, მათზე (აქციებზე) მოთხოვნის შენარჩუნების გზით.

„ჩვენ თვალს ვადევნებთ პროცესს, ვის მეტი ნებისყოფა აღმოაჩნდება. აქ რაიმე სარგებელზე საუბარი არაა. მიუხედავად ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებისა, ჩინეთი უფროა მზად ითმინოს სატარიფო უსიამოვნებები და კაპიტულაცია არ მოუწიოს აშშ-ის მხრიდან სავაჭრო აგრესიისადმი“, – აღნიშნა BBC-თან საუბრისას ვაშინგტონში პეტერსონის საერთაშორისო ინსტიტუტის (PIIE) ამერიკულ-ჩინური ვაჭრობის ექსპერტმა მერი ლაველიმ (Mary Lovely).

უძრავი ქონების ბაზარზე კრიზისისა და ზრდადი უმუშევრობის პრობლემის გამო, ჩინელები მარტივად მოიტყნენ – მათ უბრალოდ საკუთარი ხარჯები შეამცირეს. ქვეყნის ადგილობრივ ხელისუფალთ სულ უფრო მეტად უჭირთ ინვესტიციების მოზიდვა. შესაბამისად, რთული და თითქმის შეუძლებელია სოცურუნველყოფის სისტემის ეფექტურად გამართვა.

„ზრდადი ტარიფები ამ პრობლემას უფრო მეტად გადაუჭრელს ხდის. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩინური ეკონომიკის ფეთქებადი განვითარების ძირითადი ფაქტორი ექსპორტი იყო. თუ ჩინეთის ექსპორტი დაზარალდება, ეს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების უმთავრეს წყაროს. თუმცა, აქ ეკონომიკის დივერსიფიცირებას მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და შიდა მოხმარების ზრდის ხარჯზე ცდილობენ. ძნელია იწინასწარმეტყველო როდის იქონიებს ტარიფების მატება ჩინეთის ეკონომიკაზე, მაგრამ ეს, დიდი ალბათობით, ძალიან მალე მოხდება“, – ამბობს კენედის სახელობის ჰარვარდის სკოლის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბიზნესისა და მთავრობის საკითხებში ენდრიუ კოლიერი (Andrew Collier).

აშშ-ის ეკონომიკის უახლოესი მომავალი – უპირობო რემცესია

„შენელებული“ ეკონომიკა და მისი სამოქმედო რესურსების მიღვევადი პერსპექტივა არც აშშ-ს უქადის უღრუბლო მომავალს. თუ ამერიკის ეკონომიკამ სერიოზული დარტყმა არ მიიღო, სხვანაირად ტარიფების ომის შეჩერება შეუძლებელია. როგორც არაერთი ანალიტიკური მკვლევარი მიიჩნევს, შტატების ეკონომიკური კლება 60 პროცენტს მიაღწევს, რაც პრაქტიკულად რეცესიაა.

აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლობის ოფისის მონაცემებით, 2024 წელს ვაშინგტონმა 438 მილიარდი დოლარის ჩინური პროდუქცია შეიძინა, ხოლო ჩინეთში რეალიზებული ამერიკული პროდუქციით მხოლოდ 143 მილიარდი დოლარი მიიღო.

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის არაერთი განცხადებით, რომლებშიც იგი გაზრდილ ტარიფებს ასაბუთებდა, ირკვევა, რომ მთავარი მიზანი მთელ რიგ ქვეყნებთან სავაჭრო დეფიციტის აღმოფხვრაა. გასაგებია, რომ ამ მოცემულობით მთავარი სამიზნე ის ქვეყანაა, რომელთანაც თითქმის 300-მილიარდიანი წლიური დეფიციტი აქვს. თუმცა, არსებობის უფლება აქვს კიდევ ერთი საბიუჯეტო სამიზნის – ქვეყნის სახელმწიფო ვალის შემცირების ვერსიასაც.

2025 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალის მატებას, ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ საფინანსო სტაბილურობაზე გავლენა აქვს. თავად ვალი, როგორც შესაძლო კრიზისი, არც ისე საშიშია. დასავლეთის ფინანსური სისტემის შემაფერხებელი ფაქტორის სახით კი, მას სავარაუდო სესხების მაღალი

დონის მქონე სახელმწიფოებში დეფოლტის გამოწვევა ნამდვილად შეუძლია. წლეულს, იანვარში აშშ-ის სახელმწიფო ვალი 36 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. ეს თანხა, ჯერჯერობით მხოლოდ მატულობს და სწორედ ეს ფაქტორი აშინებთ ინვესტორებს.

ვალის შესამცირებელი ერთ-ერთი გზა სახელმწიფო ხარჯების შემცირება. სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობრივი კლება და მთელი რიგი დეპარტამენტებისა და პროგრამების დახურვა აშშ-ში უკვე დაწყებულია. თუმცა, არის ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი, იმპორტის ჩასანაცვლებელი კიდევ ერთი გზა – ქვეყანაში პროდუქციის საწარმოო ბაზის გაფართოება.

ამკარაა, რომ შტატები ჩინეთთან და კიდევ ერთ მსხვილ პარტნიორ ევროკავშირთან (აშშ აქაც დეფიციტშია – 235 მილიარდი დოლარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) სავაჭრო დეფიციტის გამო ბევრს კარგავს. ამჯერად, აქცენტი დეფიციტის მოცულობებზე კი არა, ამ ქვეყნებისთვის აშშ-ის მიერ გაზრდილი სავაჭრო ტარიფების დაწესების შემდგომ რეაქციებზე გავაკეთოთ.

ემანუელ მაკრონმა ღიად მოუწოდა ფრანგულ კომპანიებს თავი შეიკავონ აშშ-ში ინვესტირებისაგან. ისრაელმა, ინდოეთმა და ვიეტნამმა უკვე დაიწყეს ტრამპთან მოლაპარაკებები სავაჭრო გადასახადის შემცირების თაობაზე, კიდევ 50 ქვეყანა კი მზად არის დიალოგისთვის.

მთელი მსოფლიო ყურადღებით აკვირდება ამ მოლაპარაკებებს. საკითხავია, სად წაიღებს ჩინეთი ექსპორტისთვის განკუთვნილ იმ 438 მილიარდი დოლარის პროდუქციას, რომელიც შარშან აშშ-ს მიაწოდა. არც ის არის გამორიცხული, მხარეები გლობალური ეკონომიკისთვის სასურველ დეტალებზე შეთანხმდნენ და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს.

სხვა განაწყენებულთა რეაქცია

თუ სატარიფო ომის მთავარ ადრესატ ჩინეთს არ ჩავთვლით, ერთ-ერთი პირველი, ვინც ამერიკულ გამოწვევას პასუხი გასცა, კანადა იყო. 2 აპრილს ტრამპის მიერ გამოცხადებულ მსოფლიოს იმ 185 ქვეყანასა და ტერიტორიაში, საიდანაც აშშ-ში შეტანილ პროდუქციაზე მინიმუმ 10%-იანი ტარიფი ამოქმედდა, შტატების ჩრდილო მეზობელი არ შედიოდა. თუმცა, მეორე დღიდან ძალაში შევიდა 25%-იანი განაკვეთი ქვეყანაში შეტანილ ავტომობილებსა და მათ მარაგ-ნაწილებზე.

კანადის პრემიერის მარკ კარნის (Mark Carney) იმავე დღის განცხადებით, აშშ-დან მის ქვეყანაში შეტანილ ყველა იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც CUSMA-ს (კანადა, აშშ, მექსიკა) სავაჭრო შეთანხმებაში არ ზვდება, 25%-იანი გადასახადი დაწესდება. მისი თქმით, ამის შედეგად ბიუჯეტში დამატებით შესული 5,6 მილიარდი დოლარი

მთლიანად მოხმარდება ადგილობრივი ავტოწარმოების მხარდაჭერას.

ტრამპისეული ახალი ტარიფების მინიმალური მაჩვენებელი 10 პროცენტია (მათ შორისაა საქართველოც). ყველაზე „თავგამორჩენილთა“ შორის კი მოხვდნენ: ლესოტო – 50, კამბოჯა – 49, ლაოსი – 48, მადაგასკარი – 47, ვიეტნამი – 46, შრილანკა, მიანმა – 44, სირია – 41, ერაყი – 39, ბანგლადეში, ბოტსვანა, სერბეთი – 37, ტაილანდი – 36, ბოსნია-ჰერცეგოვინა – 35, ჩრდ, მაკედონია – 33, ტაივანი, ინდონეზია – 32, ლიბია, მოლდოვა, შვეიცარია – 31, ალჟირი – 30. თუმცა, ამ ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალი განაკვეთი ტრამპის ადმინისტრაციამ ჩინეთს დაუწესა. 9 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ჩინეთისთვის იმპორტის ტარიფები 145%-მდე გაიზარდა.

ევროკავშირისთვის დაწესებულ 20 პროცენტზე, ამ გაერთიანების მესვეურთა მხრიდან საპასუხოდ მხოლოდ ფაქტის დეკლარირებულად დაგმობა მოხდა. ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს საპასუხო ტარიფის შემოღებაზე არაფერი უთქვამს. თუმცა, ტრამპს საკუთარი გადაწყვეტილების შესაცვლელი მოლაპარაკებებისკენ უმაღლ მოუწოდა.

„თუ დიალოგი ვერ შედგება, ევროკავშირი კონკრეტულ საპასუხო ზომებს აუცილებლად მიიღებს. ეს ტარიფები ხომ იგივე დამატებითი გადასახადია, რომელიც მხოლოდ ბიზნესს და მომხმარებელს ვნებს. ჩვენ ვიქნებით თანმიმდევრულები ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ნულოვანი ტარიფის შემოღების მისაღწევად“, – განაცხადა ევროკომისიის ხელმძღვანელმა.

9 აპრილს კავშირის ქვეყნებმა, კენჭისყრის შედეგებით ევროკომისიას შტატებისთვის საპასუხო სავაჭრო კონტრზომების დაწესება დაავალეს. იმავე დღეს კი, ტრამპმა ტარიფების ამოქმედებას 90-დღიანი „შესვენება გამოუწერა“. არავითარი კონკრეტული ფაქტს თან არ ახლდა. რესპუბლიკელი პრეზიდენტი ჩვეულ სტილშია – მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მან იურისტებთან შეუთანხმებლად, უბრალოდ, გულით მიიღო.

რით შიშობს ტრამპის სატარიფო ავანტიურა დასრულდეს

იმ სავაჭრო ომისგან განსხვავებით, რომელიც ტრამპმა პრეზიდენტობის პირველი ვადისას (2017-2020) დაიწყო, ახლა რა მოტივებითაა სატარიფო არეულობა განპირობებული, დარგის წამყვან ექსპერტებს უჭირთ მასზე კონკრეტული შეფასებების გაკეთება.

„რასთან შეუძლია ამ ახალ ტარიფებს მიგვიყვანოს, ძნელია ამის მიხვედრა. საპასუხო ზომებისთვის ჩინეთს საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს. მაგალითად, საკუთარი ვალუტის კურსის შემდგომი შეცვრა ან ამერიკული კომპანიებისადმი შეზღუდვების შემოღება. ვფიქრობ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად თავშეკავებული იქნებიან ჰეკინში. არის საშუალებები, რომლებიც საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნებას

განაპირობებენ, არის ისეთებიც, როცა საქმეში მთელი არსენალის ჩართვა შეიძლება. უცნობია, რომელს აირჩევს ჩინეთი“, – ამბობს ლოუის ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი როლანდ რაჯა (Roland Rajah).

არიან ისეთებიც, რომლებიც მხარეთა მოლაპარაკებების იმედზე არიან. პრეზიდენტად მეორედ მოსვლის შემდეგ ხომ ტრამპი სი ძინპინს ჯერ არ შეხვედრია, თუმცა ჩინეთიდან არაერთხელ განუცხადებიათ, რომ იქ მზად არიან ნებისმიერ ფორმატში მოხდეს კომუნიკაცია.

„ვეფიქრობ, შეერთებულ შტატებში აჭარბებენ საკუთარ უძლეველობაზე საუბრისას. ტრამპის განცხადებები თითქოს ამერიკული ბაზარი იმდენად მიმზიდველია, რომ ადრე თუ გვიან ჩინეთი და სხვა ნებისმიერი ქვეყანა დათმობაზე წავა, უფრო „ორთქლის გამოშვებას“ ჰკავს. პირადად მე ამ ესკალაციის სიჩქარე მაშინებს. მომავალი ძალიან მუქ ფერებში წარმომიდგება და რისკებიც საკმაოდ მაღალია“, – აღნიშნა BBC-თან ინტერვიუსას სინგაპურში Hinrich Foundation-ის სავაჭრო პოლიტიკის ხელმძღვანელმა დებორა ელმსმა (Deborah Elms).

სავაჭრო ტარიფების შესახებ ისეთი ტემპით იცვლება სიტუაცია, დილის სიახლე საღამოს უკვე ძველი ამბავი შესაძლოა აღმოჩნდეს. ბოლო ინფორმაციით,

თეთრი სახლის ადმინისტრაციამ 10 აპრილს ჩინურ პროდუქციაზე გადასახადი 125-დან 145%-მდე გაზარდა. მეორე დღეს, პეკინიდან სი ძინპინის პასუხი უფრო რადიკალური იყო – 84-დან 125%-მდე მომატებული გადასახადი აშშ-დან ჩინეთში შესულ საქონელზე.

11 აპრილის საღამოს, სააგენტო Bloomberg-მა გაავრცელა აშშ-ს საბაჟო და სასაზღვრო დეპარტამენტის მიერ გამოცემული დოკუმენტი. მასში შეტანილია იმ ელექტრონული ტექნიკის კლასიფიკაციური ჩამონათვალი, რომლებზეც სატარიფო კრიზისით გამოწვეული აკრძალვები არ გავრცელდება. სააგენტოს ინფორმაციით, სმარტფონებისა და კომპიუტერების გარდა, გამონაკლისი გავრცელდება ნოუთბუქებზე, მყარ დისკებზე, კომპიუტერულ პროცესორებსა და ჩიპებზე. ცნობილია, რომ საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის ეს პოპულარული პროდუქცია, როგორც წესი, აშშ-ში არ იწარმოება და მათი შიდა წარმოების ქსელის ასაწყობად წლები დასჭირდება. Bloomberg-ი ირწმუნება, რომ აღნიშნული გადავადება შესაძლოა ხანმოკლე აღმოჩნდეს და შესაბამის ჩინურ საქონელზე სხვა „არსებულზე დანამდვილებით ბევრად დაბალი“ ტარიფები დაწესდეს.

ფრიდონ კერვალიშვილი

ხავეერ მილიმ 42,000-ზე მეტი საჯარო მოხელის დათხოვით \$1.6 მლრდ დაზოგა

არგენტინის პრეზიდენტი ხავეერ მილეი ქვეყნის რეფორმირებას აგრძელებს. პრეზიდენტობის პირველი თხუთმეტი თვის განმავლობაში მილეიმ საჯარო სამსახურიდან 42,034 თანამშრომელი გაუშვა, ანუ დასაქმებულების ჯამური რაოდენობა 8.4%-ით შეამცირა.

თანამშრომლები, უმეტესწილად, საჯარო ეროვნული ადმინისტრაციიდან, სახელმწიფო კომპანიებიდან და ჯარის შტატებიდან გათავისუფლდნენ, მაგრამ დახურულთა შორის ასევე მოხვდა არაერთი სახელმწიფო პროგრამა.

როგორც ქვეყნის სახელმწიფო ტრანსფორმაციის სამინისტროში ამბობენ, ამ გზით არგენტინის ბიუჯეტმა \$1.6 მილიარდი დაზოგა, რაც ხავეერ მილეის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ამ თანხის ნახევარი პირდაპირი დანაზოგია, რომელსაც სახელმწიფო გათავისუფლებული თანამშრომლების სახელფასო ფონდის შემცირებით მიიღებს, ხოლო დარჩენილი თანხები სამინისტროების ოპერირების გამარტივებიდან და პროგრამების შეწყვეტიდან მოხილავდება.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ ხავეერ მილეის სამთავრობო კაბინეტი არ ჩერდება და ქვეყანაში დერეგულაციის პროცესის გაფართოებას აანონსებს. მიმდინარე წელს, არგენტინის ხელისუფლება სახელმწიფოსთვის არამნიშვნელოვანი მიმართულებების გაუქმებას გეგმავს, მაგრამ პროცესში ასევე აღმოიფხვრება დუბლირებული საქმიანობები. შედეგად, არგენტინის სახელმწიფო სტრუქტურაში დარჩება მხოლოდ ის მიმართულებები, რომელთაც საჯარო მმართველობაზე ყველაზე დიდი გავლენა აქვთ.

ფინეთმა რუსეთის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების შეძენა აკრძალა

ფინეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ფინეთმა საბოლოოდ აკრძალა რუსეთის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების შეძენა.

ფინეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ 11 აპრილს ფინეთის პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი მთავრობის წინადადებას, რომ რუსეთის მოქალაქეებს სრულიად აკრძალვოთ უძრავი ქონების შეძენა.

როგორც აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას ისახავს მიზნად:

„გადაწყვეტილება მკაფიო მესიჯს აგზავნის: ფინეთის დესტაბილიზაციას არ დაუშვებთ“, – განაცხადა ფინეთის თავდაცვის მინისტრმა ანტი ჰაკანენმა და დასძინა, რომ მზადდება სამთავრობო რეზოლუცია, რომელიც საფრთხის წარმომადგენელი ქვეყნების სიას შეადგენს. ასევე ფინეთი მუშაობს კანონმდებლობაზე, რომელიც სახელმწიფოს უკვე შეძენილი უძრავი ქონების საკითხებში ჩარევის საშუალებას გაუზრდის.

წლის ბოლოს ოქროს ფასი უნციაზე \$3700-მდე გაიზარდა – „გოლდმან საქსი“

ოქროს ფასი ზომიერად იზრდება და ყველა დროის მაქსიმუმს უახლოვდება აშშ-ის სავაჭრო ტარიფების გაურკვეველობის ფონზე. Goldman Sachs-ის ანალიტიკოსებმა გაზარდეს ოქროს ფასის პროგნოზი 2025 წლისთვის.

Comex-ის ბირჟაზე ივნისის ოქროს ფიუჩერსები გაიზარდა 0,1%-ით და 3247,1 აშშ დოლარს შეადგენს ტროას უნციაზე. მანამდე სავაჭრო სესიაზე უნციის ფასმა 3260 დოლარს გადააჭარბა, რაც ახალი რეკორდია.

სპოტ ბაზარზე კოტირებებმა უნციაზე \$3,244 მიაღწია.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ის „უახლოეს მომავალში“ გამოაცხადებს ტარიფებს ნახევარგამტარების იმპორტზე. ის ამბობს, რომ სურს ჩიპები, ნახევარგამტარები და სხვა საქონელი შეერთებულ შტატებში დამზადდეს. პრეზიდენტმა ასევე პირობა დადო, რომ ძალიან მალე გამოაცხადებს ტარიფებს ფარმაცევტულ პროდუქტებზე.

მოგვიანებით, ამერიკულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ის მთავრობამ გააუქმა იმპორტის საპასუხო გადასახადები ათულობით ტიპის ელექტრონიკაზე, მათ შორის კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებზე, მარშრუტიზატორებზე და ზოგიერთ მიკროჩიპზე.

სატარიფო სიახლეების მორიგი რაუნდით, რაც ამ ზონაში გაურკვეველობას მატებს, დოლარში დენომინირებული DXY ინდექსი ორშაბათს დილით 0,7%-ით დაეცა. ბოლო ხუთი სესიის განმავლობაში მაჩვენებელი 3,6%-ით დაეცა. იაფი დოლარი ოქროს უფრო მიმზიდველს ხდის სხვა ვალუტის მფლობელებისთვის.

Goldman Sachs-ის ანალიტიკოსებმა 2025 წლის ბოლოსთვის ოქროს ფასის პროგნოზი გაზარდეს 3700 დოლარამდე უნციაზე 3300 დოლარიდან ცენტრალური ბანკების მხრიდან ძვირფას ლითონზე მოსალოდნელზე ძლიერი მოთხოვნის ფონზე. ახალი პროგნოზით, ცენტრალური ბანკი თვეში დაახლოებით 80 ტონა ოქროს შეისყიდის, მანამდე მოსალოდნელი 70 ტონისგან განსხვავებით.

ტრამპის პოლიტიკის გამო, აშშ-ის ენერჯეტიკაში ქარის ენერჯის გამოყენება მცირდება

ენერჯეტიკის კვლევის ცნობილმა სააგენტო Wood Mackenzie-მ აშშ-ის ქარის ენერჯის 5-წლიანი პროგნოზი 40%-ით შეამცირა, რის მიზეზადაც ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა და ეკონომიკასთან დაკავშირებული არასტაბილურობა დაასახელა. სააგენტოს პროგნოზით, 2029 წლის ჩათვლით შეერთებულ შტატებში ქარის ონშორული და ოფშორული ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 45.1 გიგავატი გაიზარდება.

განახლებამდე, ეს საპროგნოზო მაჩვენებელი 75.8 გიგავატს აღწევდა იმავე პერიოდში.

პროგნოზის თანახმად, აშშ-ში ელექტროენერჯის მოხმარება 2025-26 წლებში რეკორდულ ნიშნულს მიაღწევს და ასევე რეკორდულ 2024 წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდება. როგორც ქვეყნის ენერჯეტიკის დეპარტამენტის განცხადებაშია აღნიშნული, მოხმარების ზრდა ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის მონაცემთა ცენტრებზე გაზრდილი მოთხოვნით აიხსნება.

ამავდროულად, ქარის ენერჯის პოპულარობა აშშ-ში ჯერ კიდევ ტრამპის გაპრეზიდენტებამდე ეცემოდა, იანვრის შემდეგ კი 47-ე პრეზიდენტმა განკარგულება გამოსცა, რომელიც ქარის ახალი ელექტროსადგურების ასაშენებლად ნებართვისა და ლიცენზიის გაცემას კრძალავს. ტრამპის თქმით, ქარის ტურბინა ძვირი, მახინჯი და ბუნების დამაზიანებელია. საპირისპიროდ, მის წინამორბედ ჯო ბაიდენს მიაჩნდა, რომ ქარის ენერჯიას კრიტიკული როლი ჰქონდა აშშ-ის ენერგოსექტორის დეკარბონიზაციის სტრატეგიაში.

2024 წელს აშშ-ის ქარის ენერჯის ბაზარი ბოლო ათწლეულის განმავლობაში რეკორდულად შემცირდა. ახალმა ინსტალაციებმა 5.2 გიგავატი შეადგინა. შედარებისთვის, 2023 წელს დადგმულმა სიმძლავრემ 7 გიგავატს მიაღწია, 2021-22 წლებში კი ეს ნიშნული გაორმაგებული იყო.

ტრამპმა რუსეთთან დაკავშირებით ბაიდენის მიერ მიღებული ბრძანება გაახანგრძლივა

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას, რომელიც 1 წლით ახანგრძლივებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის საზიანო საგარეო ქმედებებთან დაკავშირებით ეროვნულ საგანგებო მდგომარეობას.

საუბარია ყოფილი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მიერ 2021 წლის აპრილში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობაზე, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე გაახანგრძლივდა.

ბრძანებაში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ისეთ აქტივობებზე, როგორებიცაა მცდელობები, ჩაერიოს აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისა და პარტნიორების თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში, დემოკრატიულ ინსტიტუტებში, კიბერთავდასხმები, დისიდენტებისა და ჟურნალისტების რეპრესიები და საერთაშორისო სამართლის დარღვევა, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის საფრთხე.

„რუსეთის ფედერაციის მთავრობის საზიანო საგარეო მოქმედებები კვლავაც უჩვეულო და განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების ეროვნულ უსაფრთხოებას, საგარეო პოლიტიკას და ეკონომიკას. ამ მიზეზით, ეროვნული საგანგებო მდგომარეობა უნდა გაგრძელდეს 2025 წლის 15 აპრილის შემდეგაც“, – ნათქვამია დოკუმენტში.

რამდენია აშშ-ის ვალის მოცულობა იაპონიის მიმართ

იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ობლიგაციების უმსხვილესი მფლობელია მსოფლიოში. 2025 წლის მდგომარეობით, იაპონია დაახლოებით 1 ტრილიონ 79 მილიარდი დოლარის ობლიგაციებს ფლობს, რაც წინა წელთან შედარებით მცირედ ზრდას წარმოადგენს.

რაც შეეხება იაპონიის ვალს აშშ-ის მიმართ, აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქმე გვაქვს ნეგატიურ ბალანსთან, ანუ იაპონია უფრო მეტ ამერიკულ ობლიგაციებს ყიდულობს, ვიდრე ამერიკა – იაპონურს.

ამის გათვალისწინებით, იაპონიის ეროვნული ვალი 2025 წლის მდგომარეობით დაახლოებით 8.84 ტრილიონ დოლარს შეადგენს, რაც ქვეყნის მშპ-ის 263%-ია.

შედარებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ვალი დაახლოებით 35 ტრილიონ დოლარს შეადგენს, რაც პლანეტაზე დაფიქსირებული უმაღლესი მაჩვენებელია.

მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანებმა 500 მლრდ-ზე მეტი დაკარგეს

„მსოფლიოს 500-მა უმდიდრესმა ადამიანმა, ბოლო ორ სავაჭრო სესიაზე, 500 მლრდ აშშ დოლარზე მეტი დაკარგა, პრეზიდენტ ტრამპის სატარიფო გეგმის გამოცხადების შემდეგ“, – დაწერა გამოცემა The Strait Times-მა.

ზოგადად, ტოპ-მილიარდერებმა 2025 წელს ასეულობით მილიარდის ზარალი განიცადეს და Bloomberg-ის მილიარდერთა ინდექსის პირველი ოცეულიდან მხოლოდ ორი ადამიანია, რომლის კაპიტალიც წელს გაიზარდა – უორენ ბაფეტი (11.5 მლრდ დოლარით) და ფრანსუა ბეტენკურტ მეიერსი (1.78 მლრდ დოლარით).

ილონ მასკმა, რომელიც მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად რჩება, წელს 134.7 მლრდ დოლარის ზარალი განიცადა და 7 აპრილს მისი ქონება 297.8 მლრდ აშშ დოლარამდე დაეცა – ნოემბრის შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, როცა 300 მლრდ დოლარს ჩამოსცდა.

ტრამპს აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის რეკორდულ \$1 ტრილიონამდე გაზრდა სურს

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოაცხადა, რომ 2026 წლისთვის აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი რეკორდულ ნიშნულს – \$1 ტრილიონს მიაღწევს.

ტრამპის ადმინისტრაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის 12%-იანი მატება, მიზნად ისახავს აშშ-ის გლობალური პოზიციის განმტკიცებას, განსაკუთრებით სამხედრო ძლევამოსილების მიმართულებით. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ თანხის ნაწილი მიღებული იქნება სახელმწიფო ეფექტიანობის დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა პროგრამების შემცირების შედეგად, თუმცა კონკრეტული მიმართულებები ჯერ დაზუსტებული არ არის.

თავდაცვის მდივანმა, პიტ ჰეგსეთმა აღნიშნა, რომ მიუხედავად გაზრდილი ბიუჯეტისა, ყველა დოლარი დაიხარჯება „გონივრულად“ და აშშ-ის მთავრობა რესურსების ფლანგვას არ აპირებს.

2025 წლისათვის აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი \$850 მილიარდს შეადგენს, შესაბამისად, ტრამპის ახალი გეგმა \$150-მილიარდიან ზრდას ითვალისწინებს. ამ თანხის დიდი ნაწილი კი ახალი თაობის ავიაგამანადგურებლის, F-47-ის შექმნაზე დაიხარჯება, რომელიც მომდევნო ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის მთავარ იარაღად უნდა იქცეს.

ბარელი ნავთობი შესაძლოა 40 დოლარამდე გაიფუტოს – Goldman Sachs

ნამყვანი ამერიკული ბანკის, Goldman Sachs-ის პროგნოზით, ექსტრემალურად ნეგატიური სცენარის განხორციელების შემთხვევაში, 2026 წლისთვის, შესაძლოა, ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 40 დოლარამდე შემცირდეს, რაც პანდემიის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური ნიშნული იქნება.

ამჟამად ბარელი Brent-ის ღირებულება \$60-ს შეადგენს, რაც წლის დასაწყისიდან დღემდე 33%-ით გაიფუტა უდრის. ნავთობის ბოლოდროინდელი გაუფასურება პირდაპირ კავშირშია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ სავაჭრო ომის წამოწყებასთან და მოკავშირეების წინააღმდეგ ტარიფების დაწესებასთან, რაც გლობალური რეცესიის დაწყების რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.

როგორც Goldman Sachs-ში აღნიშნავენ, საბაზისო სცენარით, ნავთობის ფასი \$55-ის ფარგლებში იქნება, რადგან მოსალოდნელია, რომ OPEC-ის წევრი ქვეყნები ინტერვენციას განახორციელებენ და ენერგეტიკული რესურსის გაუფასურების პროცესს ხელოვნურად შეაჩერებენ.

\$40-იანი პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ სატარიფო პოლიტიკა უცვლელად შენარჩუნდება, გლობალური რეცესია დაიწყება და OPEC-ის მხრიდან ინტერვენცია არ განხორციელდება, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

როგორ აისახება ნავთობის გაუფასურება რუსეთის ეკონომიკაზე

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ტარიფების ამოქმედებამ გლობალური სასაქონლო ბირჟების მკვეთრი დაღმასვლა და ენერგეტიკული რესურსების გაუფასურება გამოიწვია, რადგან ინვესტორებს გლობალური რეცესიის დაწყების შიში გაუჩნდათ, ასეთ დროს კი ნავთობსა და გაზზე მოთხოვნა იკლებს.

საერთო ჯამში, ერთ კვირაში ნავთობის ფასი 14%-ით დაეცა, ხოლო წლის დასაწყისიდან დღემდე კორექციის მაჩვენებელი 33%-ს აღწევს, ბარელი Brent-ის ფასი კი \$60-ის ფარგლებშია, რაც ბოლო 3 წლის მინიმუმია. ცხადია, ანალოგიურად ნეგატიური შედეგი აქვს რუსულ Urals-ს, რომელიც ქვეყნისთვის მთავარ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს.

რუსეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნავთობისა და გაზის ექსპორტზე, საერთაშორისო ბირჟაზე ენერგეტიკული რესურსების მკვეთრი გაიაფება რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას გამოიწვევს, რაც მთავრობას ვალის აღებას ან საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას აიძულებს.

ამჟამად კრემლის ბიუჯეტის თითქმის 60% ენერგეტიკული რესურსებით ივსება, ნავთობის და გაზის გაიაფება კი მოსკოვისთვის ნეგატიურ სიახლეს წარმოადგენს.

ანალიტიკოსების შეფასებით, თუკი ბირჟაზე დაღმასვლის ტენდენცია გაგრძელდა, სავარაუდოდ, რუსეთის და საუდის არაბეთის იძულებით, OPEC-ის წევრი სახელმწიფოები ნავთობის მიწოდებას შეამცირებენ, რაც ფასების ხელოვნურ ზრდას გამოიწვევს. ამ მოსაზრებას ის ფაქტი ამყარებს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, OPEC-მა სწორედ ამ სტრატეგიას მიმართა, რადგან ნავთობი მაშინაც მკვეთრად უფასურდებოდა.

GAZPROM-ის ზარალი \$13 მილიარდამდე გაიზარდა

რუსული ენერგეტიკული გიგანტი Gazprom-ი, რომელიც ბუნებრივი აირის და ნავთობის უმსხვილესი რეალიზატორია, მწვავე ფინანსურ კრიზისშია. როგორც ირკვევა 2024 წელი კომპანიამ თითქმის \$13-მილიარდიანი ზარალით დახურა, რაც კომპანიის არსებობის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია.

ანალიტიკოსების პროგნოზით, თუკი ბაზარზე არსებული ვითარება არ შეიცვლება და კომპანია ასეთი ტრაექტორიით გააგრძელებს განვითარებას, 2035 წლისთვის ზარალის საერთო მოცულობა \$179 მილიარდს მიაღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წელიწადში კომპანიას გაკოტრების გამოცხადება და საქმიანობის შეწყვეტა მოუწევს.

როგორც ცნობილია, Gazprom-ის ხელმძღვანელობა ამჟამად რესტრუქტურისაციის სტრატეგიაზე მუშაობს, რომელიც სამუშაო ძალის შემცირებას, ხარჯების ოპტიმიზაციას და წაგებიანი მიმართულებების დახურვას მოიაზრებს. ამჟამად კომპანია 500,000 თანამშრომელს ასაქმებს და ის რუსეთისთვის სისტემური მნიშვნელობისაა, თუმცა თუ მას გადარჩენა სურს, მაშინ ათიათასობით თანამშრომელს Gazprom-ის დატოვება მოუწევს.

ამასთან, კომპანიას შეწყვეტილი აქვს ინვესტირებზე დივიდენდების განაწილება, რაც იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ კომპანია მოგებაზე ფიზიკურად ვერ გადის.

საერთო ჯამში, არსებული ვითარების გამო, Gazprom-ის საბაზრო კაპიტალიზაცია \$35 მილიარდამდე შემცირებული, რაც 2022 წლის პიკურ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 75%-ით ნაკლებია.

Gazprom-ის დაღმასვლა პირდაპირ კავშირშია რუსეთის უკრაინაში შეჭრასთან და მოსკოვის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესებასთან.

ევროპაში ჩვენი გაზის მიწოდების გეოგრაფია აუცილებლად გაფართოვდება – ილჰამ ალიევი

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანული გაზის ევროპაში მიწოდება გაფართოვდება.

როგორც სამხრეთის გაზის კორიდორის მრჩეველთა საბჭოს მე-11 მინისტერიალზე საუბრისას ალიევმა აღნიშნა, აზერბაიჯანი ბუნებრივი აირით დღეს 12 ქვეყანას ამარაგებს, მათ შორის 10 – ევროპული ქვეყანაა, 8 მათგანი კი ევროკავშირის წევრია.

„ჩვენი გაზის მიწოდების გეოგრაფია ევროპაში აუცილებლად გაფართოვდება, ვინაიდან ჩვენ უკვე ვმუშაობთ ცალკეულ ევროპულ ქვეყნებში გაზის დისტრიბუციის ქსელის შექმნაზე. ზოგან ეს არ არსებობს, ზოგან კი უნდა გაფართოვდეს, აზერბაიჯანი აპირებს ამას. შესაბამისად, აზერბაიჯანული გაზის მიწოდების გეოგრაფია გაიზრდება“, – აღნიშნა ალიევმა.

მისივე თქმით, სამხრეთის გაზის კორიდორი ამჟამად სრული დატვირთვით მუშაობს, რომლის შემადგენელი ნაწილებია TANAP-ი, TAP-ი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, იგივე შაჰდენიზი.

„ისინი მუშაობენ სრული დატვირთვით და ჩვენ გვჭირდება მათი გაფართოება“, – განაცხადა ილჰამ ალიევმა და დასძინა, რომ ამას, რა თქმა უნდა, თანხები სჭირდება, – „აქ მივედით მნიშვნელოვან პუნქტამდე. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, იმ ინსტიტუტებს, რომლებმაც გადაწყვიტეს შეაჩერონ უშუალოდ მინერალურ რესურსებთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსება, შეიძლება დასჭირდეთ ამ პოლიტიკის შეცვლა“.

მანვე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი უნდა დარწმუნდეს, რომ მათ გაზზე ევროპაში მოთხოვნა იქნება – „ანუ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ევროპის ბაზარზე ამის საჭიროება კიდევ რამდენიმე წელი იქნება. თუ ჩვენ არ გვექნება ასეთი გარანტია, მაშინ არც ინვესტირებები და არც ქვეყნები არ ჩადებენ ფულს. ამრიგად, ბუნებრივი აირის დიდი დეფიციტი იქნება. ჩვენი მარაგები კი ცნობილია. ჩვენ ველოდებით წარმოების დაწყებას ახალ საბადოებზე“, – დასძინა სახელმწიფოს მეთაურმა

უცხოური ვალუტის კურსები

მარტის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=2,9951** ლარი

ვალუტა	მარტი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,4843	1,4843	1,4843	1,4843	1,5007	1,5225	1,5360	1,5429	1,5429	1,5429	1,5415	1,5543	1,5492	1,5437	1,5474
10 დანიური კრონი	3,8926	3,8926	3,8926	3,8926	3,9352	3,9925	4,0274	4,0463	4,0463	4,0463	4,0442	4,0753	4,0617	4,0469	4,0572
1 ევრო	2,9031	2,9031	2,9031	2,9031	2,9350	2,9783	3,0042	3,0181	3,0181	3,0181	3,0162	3,0396	3,0297	3,0186	3,0267
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5167	3,5167	3,5167	3,5167	3,5509	3,5725	3,5831	3,5898	3,5898	3,5898	3,5896	3,6070	3,5930	3,5971	3,5937
100 ისლანდიური კრონი	1,9951	1,9951	1,9951	1,9951	2,0090	2,0302	2,0450	2,0517	2,0517	2,0517	2,0532	2,0721	2,0597	2,0663	2,0745
100 სერბიული დინარი	2,4774	2,4774	2,4774	2,4774	2,5049	2,5415	2,5647	2,5767	2,5767	2,5767	2,5753	2,5959	2,5873	2,5779	2,5819
10 ნორვეგიული კრონი	2,4781	2,4781	2,4781	2,4781	2,4952	2,5199	2,5600	2,5688	2,5688	2,5688	2,5854	2,6142	2,6049	2,6029	2,6022
10 პოლონური ზლოტი	6,9930	6,9930	6,9930	6,9930	7,0572	7,1662	7,1888	7,2205	7,2205	7,2205	7,1933	7,2573	7,2216	7,1919	7,2494
10 რუმინული ლეი	5,8334	5,8334	5,8334	5,8334	5,8971	5,9836	6,0370	6,0654	6,0654	6,0654	6,0607	6,1071	6,0874	6,0653	6,0813
100 უნგრული ფორინტი	0,7247	0,7247	0,7247	0,7247	0,7357	0,7473	0,7500	0,7561	0,7561	0,7561	0,7561	0,7594	0,7560	0,7545	0,7579
10 შვედური კრონი	2,5946	2,5946	2,5946	2,5946	2,6464	2,6986	2,7547	2,7487	2,7487	2,7487	2,7473	2,7698	2,7562	2,7318	2,7345
1 შვეიცარიული ფრანკი	3,0932	3,0932	3,0932	3,0932	3,1315	3,1396	3,1368	3,1625	3,1625	3,1625	3,1653	3,1640	3,1477	3,1459	3,1415
10 ჩეხური კრონა	1,1596	1,1596	1,1596	1,1596	1,1707	1,1883	1,2001	1,2060	1,2060	1,2060	1,2091	1,2175	1,2112	1,2038	1,2081
1 აშშ დოლარი	2,7904	2,7904	2,7904	2,7904	2,7905	2,7858	2,7830	2,7776	2,7776	2,7776	2,7766	2,7894	2,7775	2,7775	2,7755
1 კანადური დოლარი	1,9333	1,9333	1,9333	1,9333	1,9346	1,9363	1,9386	1,9410	1,9410	1,9410	1,9307	1,9364	1,9249	1,9323	1,9242
1 ავსტრალიური დოლარი	1,7348	1,7348	1,7348	1,7348	1,7371	1,7498	1,7614	1,7529	1,7529	1,7529	1,7559	1,7531	1,7468	1,7468	1,7505
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5509	0,5509	0,5509	0,5509	0,5510	0,5496	0,5488	0,5481	0,5481	0,5481	0,5488	0,5512	0,5481	0,5485	0,5480
1 თურქული ლირა	0,0764	0,0764	0,0764	0,0764	0,0765	0,0764	0,0763	0,0762	0,0762	0,0762	0,0760	0,0763	0,0759	0,0759	0,0757
100 იაპონური იენი	1,8564	1,8564	1,8564	1,8564	1,8751	1,8639	1,8809	1,8835	1,8835	1,8835	1,8888	1,8911	1,8685	1,8740	1,8669
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7,5979	7,5979	7,5979	7,5979	7,5980	7,5852	7,5777	7,5628	7,5628	7,5628	7,5601	7,5950	7,5626	7,5626	7,5571
10000 ირანული რიალი	0,6644	0,6644	0,6644	0,6644	0,6644	0,6633	0,6626	0,6613	0,6613	0,6613	0,6611	0,6641	0,6613	0,6613	0,6608
10 ისრაელის შეკელი	7,7612	7,7612	7,7612	7,7612	7,7192	7,7075	7,6968	7,6963	7,6963	7,6963	7,6712	7,6600	7,6271	7,6142	7,5374
1 სინგაპურული დოლარი	2,0693	2,0693	2,0693	2,0693	2,0764	2,0833	2,0881	2,0889	2,0889	2,0889	2,0858	2,0943	2,0829	2,0799	2,0801
1 ქუვეითური დინარი	9,0363	9,0363	9,0363	9,0363	9,0424	9,0301	9,0299	9,0182	9,0182	9,0182	9,0120	9,0536	9,0120	9,0120	9,0084
10 ჩინური იუანი	3,8330	3,8330	3,8330	3,8330	3,8379	3,8354	3,8392	3,8400	3,8400	3,8400	3,8245	3,8553	3,8343	3,8330	3,8375
10 ჰონკონგური დოლარი	3,5874	3,5874	3,5874	3,5874	3,5890	3,5843	3,5808	3,5742	3,5742	3,5742	3,5745	3,5900	3,5747	3,5739	3,5705
100 ინდური რუპია	3,1886	3,1886	3,1886	3,1886	3,1974	3,2034	3,1946	3,1970	3,1970	3,1970	3,1793	3,1980	3,1849	3,1923	3,1900
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5632	1,5632	1,5632	1,5632	1,5702	1,5815	1,5958	1,5905	1,5905	1,5905	1,5932	1,5908	1,5862	1,5829	1,5887
100 რუსული რუბლი	3,1596	3,1596	3,1596	3,1596	3,1256	3,1057	3,1115	3,1248	3,1248	3,1248	3,1561	3,2608	3,2073	3,2174	3,2505
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6407	1,6407	1,6407	1,6407	1,6414	1,6391	1,6374	1,6354	1,6354	1,6354	1,6333	1,6404	1,6334	1,6334	1,6323
1 ბელარუსული რუბლი	0,8544	0,8544	0,8544	0,8544	0,8544	0,8529	0,8521	0,8504	0,8504	0,8504	0,8501	0,8540	0,8504	0,8504	0,8498
10 თურქმენული მანათი	7,9726	7,9726	7,9726	7,9726	7,9729	7,9594	7,9514	7,9360	7,9360	7,9360	7,9331	7,9697	7,9357	7,9357	7,9300
10 მოლდოვური ლეი	1,4934	1,4934	1,4934	1,4934	1,4991	1,5116	1,5249	1,5291	1,5291	1,5291	1,5383	1,5583	1,5570	1,5571	1,5486
1000 სომხური დრამი	7,0751	7,0751	7,0751	7,0751	7,0775	7,0607	7,0581	7,0505	7,0505	7,0505	7,0427	7,0797	7,0406	7,0696	7,0534
10 ტაჯიკური სომონი	2,5562	2,5562	2,5562	2,5562	2,5553	2,5454	2,5428	2,5366	2,5366	2,5366	2,5357	2,5531	2,5378	2,5378	2,5415
1000 უზბეკური სუმი	0,2165	0,2165	0,2165	0,2165	0,2163	0,2160	0,2154	0,2149	0,2149	0,2149	0,2146	0,2157	0,2150	0,2148	0,2143
10 უკრაინული გრივნა	0,6734	0,6734	0,6734	0,6734	0,6709	0,6735	0,6742	0,6738	0,6738	0,6738	0,6721	0,6734	0,6685	0,6690	0,6682
100 ყაზახური ტენგე	0,5597	0,5597	0,5597	0,5597	0,5583	0,5612	0,5590	0,5648	0,5648	0,5648	0,5656	0,5711	0,5661	0,5581	0,5540
100 ყირგიზული სომი	3,1924	3,1924	3,1924	3,1924	3,1913	3,1865	3,1833	3,1771	3,1771	3,1771	3,1760	3,1900	3,1770	3,1770	3,1754
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5093	1,5093	1,5093	1,5093	1,5028	1,5152	1,5160	1,5366	1,5366	1,5366	1,5181	1,5290	1,5095	1,5124	1,5255
1 ბრაზილიური რიალი	0,4785	0,4785	0,4785	0,4785	0,4742	0,4734	0,4835	0,4820	0,4820	0,4820	0,4796	0,4764	0,4780	0,4789	0,4786
10 კატარული რიალი	7,6544	7,6544	7,6544	7,6544	7,6546	7,6426	7,6345	7,6203	7,6203	7,6203	7,6180	7,6520	7,6196	7,6196	7,6141
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9107	1,9107	1,9107	1,9107	1,9121	1,9198	1,9212	1,9241	1,9241	1,9241	1,9078	1,9195	1,9125	1,9086	1,9089

უცხოური ვალუტის კურსები

მარტის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7791** ლარი.

ვალუტა	მარტი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1,5474	1,5474	1,5479	1,5580	1,5514	1,5387	1,5361	1,5361	1,5361	1,5429	1,5369	1,5303	1,5271	1,5248	1,5248	1,5248
10 დანიური კრონი	4,0572	4,0572	4,0580	4,0844	4,0682	4,0346	4,0274	4,0274	4,0274	4,0462	4,0296	4,0114	4,0033	3,9963	3,9963	3,9963
1 ევრო	3,0267	3,0267	3,0277	3,0470	3,0345	3,0096	3,0043	3,0043	3,0043	3,0182	3,0062	2,9928	2,9865	2,9818	2,9818	2,9818
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5937	3,5937	3,5998	3,6197	3,6102	3,5922	3,5885	3,5885	3,5885	3,6062	3,5988	3,5797	3,5818	3,5814	3,5814	3,5814
100 ისლანდიური კრონი	2,0745	2,0745	2,0694	2,0857	2,0855	2,0800	2,0820	2,0820	2,0820	2,0887	2,0860	2,0797	2,0931	2,0925	2,0925	2,0925
100 სერბიული დინარი	2,5819	2,5819	2,5829	2,5994	2,5890	2,5681	2,5630	2,5630	2,5630	2,5754	2,5641	2,5538	2,5485	2,5442	2,5442	2,5442
10 ნორვეგიული კრონი	2,6022	2,6022	2,6268	2,6506	2,6265	2,6045	2,6298	2,6298	2,6298	2,6536	2,6479	2,6407	2,6272	2,6349	2,6349	2,6349
10 პოლონური ზლოტი	7,2494	7,2494	7,2323	7,2918	7,2156	7,1754	7,1600	7,1600	7,1600	7,2174	7,2089	7,1801	7,1166	7,1363	7,1363	7,1363
10 რუმინული ლეი	6,0813	6,0813	6,0820	6,1216	6,0968	6,0469	6,0366	6,0366	6,0366	6,0647	6,0416	6,0139	6,0005	5,9906	5,9906	5,9906
100 უნგრული ფორინტი	0,7579	0,7579	0,7585	0,7653	0,7600	0,7533	0,7522	0,7522	0,7522	0,7584	0,7542	0,7474	0,7449	0,7403	0,7403	0,7403
10 შვედური კრონი	2,7345	2,7345	2,7486	2,7695	2,7543	2,7236	2,7446	2,7446	2,7446	2,7558	2,7702	2,7589	2,7576	2,7527	2,7527	2,7527
1 შვეიცარიული ფრანკი	3,1415	3,1415	3,1448	3,1690	3,1702	3,1469	3,1456	3,1456	3,1456	3,1583	3,1491	3,1383	3,1338	3,1350	3,1350	3,1350
10 ჩეხური კრონა	1,2081	1,2081	1,2107	1,2154	1,2126	1,2030	1,2016	1,2016	1,2016	1,2096	1,2082	1,2012	1,1977	1,1944	1,1944	1,1944
1 აშშ დოლარი	2,7755	2,7755	2,7759	2,7865	2,7850	2,7743	2,7738	2,7738	2,7738	2,7815	2,7794	2,7739	2,7712	2,7673	2,7673	2,7673
1 კანადური დოლარი	1,9242	1,9242	1,9343	1,9497	1,9429	1,9287	1,9350	1,9350	1,9350	1,9424	1,9443	1,9469	1,9393	1,9321	1,9321	1,9321
1 ავსტრალიური დოლარი	1,7505	1,7505	1,7630	1,7761	1,7626	1,7442	1,7444	1,7444	1,7444	1,7526	1,7541	1,7550	1,7478	1,7431	1,7431	1,7431
10 ეკვიპტური გირვანქა	0,5480	0,5480	0,5496	0,5518	0,5500	0,5487	0,5486	0,5486	0,5486	0,5496	0,5494	0,5485	0,5481	0,5472	0,5472	0,5472
1 თურქული ლირა	0,0757	0,0757	0,0757	0,0760	0,0728	0,0730	0,0730	0,0730	0,0730	0,0734	0,0732	0,0730	0,0729	0,0728	0,0728	0,0728
100 იაპონური იენი	1,8669	1,8669	1,8688	1,8626	1,8600	1,8678	1,8590	1,8590	1,8590	1,8590	1,8503	1,8467	1,8358	1,8367	1,8367	1,8367
10 არაბეთის გაერთიანებული სამედიტერანეის დირჰამი	7,5571	7,5571	7,5582	7,5871	7,5826	7,5532	7,5519	7,5519	7,5519	7,5728	7,5671	7,5521	7,5450	7,5342	7,5342	7,5342
10000 ირანული რიალი	0,6608	0,6608	0,6609	0,6635	0,6631	0,6605	0,6604	0,6604	0,6604	0,6623	0,6618	0,6605	0,6598	0,6589	0,6589	0,6589
10 ისრაელის შეკელი	7,5374	7,5374	7,5909	7,6007	7,5838	7,5604	7,4953	7,4953	7,4953	7,5003	7,5663	7,5602	7,5092	7,5223	7,5223	7,5223
1 სინგაპურული დოლარი	2,0801	2,0801	2,0837	2,0928	2,0885	2,0777	2,0779	2,0779	2,0779	2,0815	2,0798	2,0743	2,0688	2,0625	2,0625	2,0625
1 ქუვეითური დინარი	9,0084	9,0084	9,0156	9,0471	9,0422	9,0045	9,0029	9,0029	9,0029	9,0250	9,0152	8,9945	8,9828	8,9760	8,9760	8,9760
10 ჩინური იუანი	3,8375	3,8375	3,8375	3,8550	3,8504	3,8308	3,8252	3,8252	3,8252	3,8351	3,8282	3,8182	3,8139	3,8099	3,8099	3,8099
10 ჰონკონგური დოლარი	3,5705	3,5705	3,5727	3,5867	3,5843	3,5697	3,5682	3,5682	3,5682	3,5783	3,5747	3,5673	3,5635	3,5574	3,5574	3,5574
100 ინდური რუპია	3,1900	3,1900	3,1980	3,2189	3,2219	3,2120	3,2261	3,2261	3,2261	3,2480	3,2407	3,2362	3,2304	3,2377	3,2377	3,2377
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5887	1,5887	1,6061	1,6217	1,6111	1,5916	1,5969	1,5969	1,5969	1,5974	1,5948	1,5978	1,5912	1,5832	1,5832	1,5832
100 რუსული რუბლი	3,2505	3,2505	3,2969	3,4140	3,3455	3,2766	3,2819	3,2819	3,2819	3,3069	3,2896	3,2949	3,2976	3,2973	3,2973	3,2973
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6323	1,6323	1,6325	1,6387	1,6378	1,6319	1,6316	1,6316	1,6316	1,6361	1,6353	1,6321	1,6305	1,6282	1,6282	1,6282
1 ბელარუსული რუბლი	0,8498	0,8498	0,8499	0,8532	0,8527	0,8494	0,8493	0,8493	0,8493	0,8516	0,8510	0,8493	0,8485	0,8473	0,8473	0,8473
10 თურქმენული მანათი	7,9300	7,9300	7,9311	7,9614	7,9571	7,9266	7,9251	7,9251	7,9251	7,9471	7,9411	7,9254	7,9177	7,9066	7,9066	7,9066
10 მოლდოვური ლეი	1,5486	1,5486	1,5435	1,5500	1,5507	1,5421	1,5378	1,5378	1,5378	1,5425	1,5390	1,5359	1,5327	1,5327	1,5327	1,5327
1000 სომხური დრამი	7,0534	7,0534	7,0589	7,0921	7,0865	7,1034	7,0711	7,0711	7,0711	7,0957	7,0921	7,0793	7,0735	7,0625	7,0625	7,0625
10 ტაჯიკური სომონი	2,5415	2,5415	2,5363	2,5516	2,5447	2,5404	2,5388	2,5388	2,5388	2,5415	2,5451	2,5413	2,5376	2,5352	2,5352	2,5352
1000 უზბეკური სუმი	0,2143	0,2143	0,2144	0,2154	0,2153	0,2144	0,2144	0,2144	0,2144	0,2149	0,2149	0,2149	0,2146	0,2140	0,2140	0,2140
10 უკრაინული გრივნა	0,6682	0,6682	0,6701	0,6704	0,6697	0,6673	0,6678	0,6678	0,6678	0,6681	0,6661	0,6669	0,6680	0,6671	0,6671	0,6671
100 ყაზახური ტენგე	0,5540	0,5540	0,5562	0,5608	0,5532	0,5517	0,5515	0,5515	0,5515	0,5531	0,5527	0,5538	0,5548	0,5485	0,5485	0,5485
100 ყირგიზული სომი	3,1754	3,1754	3,1779	3,1878	3,1883	3,1768	3,1882	3,1882	3,1882	3,2137	3,1980	3,1953	3,1780	3,1734	3,1734	3,1734
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5255	1,5255	1,5300	1,5432	1,5315	1,5230	1,5234	1,5234	1,5234	1,5337	1,5290	1,5221	1,5210	1,5249	1,5249	1,5249
1 ბრაზილიური რიალი	0,4786	0,4786	0,4834	0,4903	0,4911	0,4912	0,4883	0,4883	0,4883	0,4856	0,4822	0,4867	0,4832	0,4817	0,4817	0,4817
10 კატარული რიალი	7,6141	7,6141	7,6152	7,6437	7,6396	7,6102	7,6088	7,6088	7,6088	7,6302	7,6231	7,6095	7,6015	7,5914	7,5914	7,5914
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9089	1,9089	1,9166	1,9191	1,9102	1,8915	1,8954	1,8954	1,8954	1,8985	1,8947	1,8947	1,8920	1,8857	1,8857	1,8857